ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 დეკემბერი 2001 №241 (1514) | ფასი 50 თეთრი


# მაიკლ ოუენი

## ევროპის პირველი კაცი ოქროს ბიჭია



## France Football

„ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის მონაწილე ჟურნალისტების რჩეულმა ჩესტერელმა ბიჭმა მაიკლ ოუენმა მხოლოდ ევროპულად დაიდგა გვირგვინი, მაგრამ მსოფლიომ მაძღარი კონტინენტის მედიური და მედიდური ხმა ხავერდოვნად დაახშო.

ლუიშ მადეირა ფიგუ. კაცი მბორგალი, ღონიერი და სასწაულმოქმედი, შობილი ლისაბონში და მცხოვრები მადრიდში. ოდესღაც ბარსელონელი და „კამპ ნოუსგან" შეჩვენებული, პორტუგალიის სახელი და სამეფო კლუბის სპასალარი. ლუიშ ფიგუ, რომლის ცალი ფეხი 26 მილიონ დოლარზე მეტი ღირს, ფიფას მწვრთნელთა პირველკაცია.

იქვე დევიდ ბექემი – გერმანელის დამოძღვრილი ბერძნების ბოლო წამს მგვემელი, შორეულ აღმოსავლეთში გაერთიანებული სამეფოს გულის ჩამდგმელი. დამრტყმელი და ჩამხვევი.

და კიდევ, რაულ გონსალეს ბლანკო – ცაცია ჯადოქარი, მშვიდი შვილიანი, სათნო მატადორი.

ასეა, მსოფლიომ ფიგუ ირჩია, ევროპის პირველი კაცი კი მეშვიდედ გაამწესა. ევროპამ მაიკლ ოუენი ამოავლო ოქროში, ლუიშ ფიგუ კი ხუთეულსაც არ გააკარა.

ევროპას მაინც თავისი პეწი აქვს. ოღონდ ეგაა, ჩემპიონთა ლიგის მომგები ოლივერ კანი ისევ კარში ჩააყენეს და წინ არ გაუშვეს. წინ 22 წლის ოქროს ბიჭია.

მაიკლ ოუენი, სეზონში ხუთი თასის ამწევი, გერმანიის გერმანიისვე საფეხბურთო ცენტრში დამნაცარტუტებელი, ზაფხულ-შემოდგომაზე ოლივერ კანის ბადის ხუთჯერ დამფხრეწი, „ბითლზის" ქალაქში ახალი ლეგენდის მშობელი.

სტენლი მეტიუზთან (1956), ბობი ჩარლტონთან (1966) და კევინ კიგანთან (1978, 1979) ერთად ის მეოთხე ინგლისელია, ევროპის პირველი ფეხბურთელი რომ გახდა.

ზუსტად 22 წელი ოუენამდელი ინგლისელის პირველკაცობიდან. მაიკლი სწორედ 1979 წელს დაიბადა.



„ოქროს ბურთის" მფლობელი მაქლ ოუენი და ფიფას რჩეული ლუიშ ფიგუ




# ფიგუ: ფაგუ!






REUTERS

**საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძისეული სამეული**

| | | |
|---|---|---|
| ფრანჩესკო | ტოტი | (რომა, იტალია) |
| ანდრეი | შევჩენკო | (მილანი, უკრაინა) |
| დევიდ | ბექემი | (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი) |

# 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (ფრანს ფუტბოლის ვერსია)

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი | 176 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 140 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 114 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი | 102 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია | 57 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 56 |
| რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია | 20 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 18 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 14 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 14 |
| ბიქსენტ ლიზარაზუ | ბაიერნი | საფრანგეთი | 10 |
| დავიდ ტრეზეგე | იუვენტუსი | საფრანგეთი | 7 |
| შტეფან ეფენბერგი | ბაიერნი | გერმანია | 6 |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | შვედეთი | 6 |
| ალესანდრო ნესტა | ლაციო | იტალია | 4 |
| ერნან კრესპო | ლაციო | არგენტინა | 3 |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | არგენტინა | 3 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | ბრაზილია | 2 |
| სემი ჰიიპია | ლივერპული | ფინეთი | 2 |
| გაისკა მენდიეტა | ლაციო | ესპანეთი | 2 |
| ემანუელ ოლისადებე | პანათინაიკოსი | პოლონეთი | 2 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 2 |
| ებე სანდი | შალკე | დანია | 2 |
| დამიანო ტომაზი | რომა | იტალია | 2 |
| რობერტო ბაჯო | ბრეშა | იტალია | 1 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი | 1 |
| მანუელ რუი კოშტა | მილანი | პორტუგალია | 1 |




1 მაიკლ ოუენი




2 რაული



3 ოლივერ კანი



4 დევიდ ბექემი




5 ფრანჩესკო ტოტი



ვესტჰემელმა პაოლო დი კანიომ ფეირ პლეის პრიზი ფრანც ბეკენბაუერისგან მიიღო

REUTERS



წლის გუნდად მიჩნეული ჰონდურასის ნაკრებია. ჩილდო კი ფედერაციის პრეზიდენტ ლისანდრო ფლორეს გუილენს მიშელ პლატინიმ გადასცა

**ინგლისი**

პრემიერლიგა

XIV ტური

ასტონ ვილა 2:1 იფსვიჩი

**თურქეთი**

XVI ტური

გალათასარაი — ძოჯაელი

გადაიდო

# France Football



## მაიკლ ოუენი

დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს ჩესტერში, ინგლისი
1996: მოიგო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი ახალგაზრდებს შორის
1997: მაისში ჰქონდა დებიუტი „ლივერპულსა" და ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში
1998: თებერვალში მიიწვიეს ეროვნულ გუნდში.გახდა ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი
1998: არგენტინასთან მატჩში მისი გატანილი გოლი მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ლამაზ გოლად აღიარეს
2001, თებერვალი: მოიგო ინგლისის ლიგის თასი
2001, მაისი: მოიგო ინგლისის ასოციაციის თასი
2001, 16 მაისი: მოიგო უეფას თასი
2001 1 სექტემბერი: „ოლიმპიაშტადიონზე" გერმანიის ნაკრებს სამი გოლი გაუტანა
2001 8 დეკემბერი: პრემიერლიგის 179 თამაშში გაიტანა 99-ე გოლი
2001 17 დეკემბერი: გახდა ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი

# FIFA WORLD PLAYER 2001

## ლუიშ ფიგუ

დაიბადა 1972 წლის 4 ნოემბერს ლისაბონში, პორტუგალია
1989: გახდა 16-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი
1990: დებიუტი ჰქონდა ლისაბონის „სპორტინგში"
1991: გახდა 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი, ლუქსემბურგთან პირველად მიიწვიეს პორტუგალიის ნაკრებში
1995: გადავიდა „ბარსელონაში"
1996: გავიდა ევრო 96-ის მეოთხედფინალში
1997: მოიგო ესპანეთის თასი, სუპერთასი და თასების მფლობელთა თასი
1998: გახდა ესპანეთის ჩემპიონი, მოიგო ესპანეთის თასი და ევროპის სუპერთასი
1999: „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში მე-5 ადგილზე გავიდა
2000: პორტუგალიის ნაკრები დამარცხდა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში
2000 24 ივლისი: მადრიდის „რეალმა" იმ დროისთვის სარეკორდო 56 მილიონ დოლარად იყიდა
2000 ნოემბერი: გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი „უორლდ სოკერის" ვერსიით
2000 დეკემბერი: გახდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი
2001: დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში
200 17 დეკემბერი: გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი




# 2001 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას ვერსია)

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 250 |
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი | 238 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 96 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 94 |
| რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია | 92 |
| ხუან სებასტიან ვერონი | მანჩესტერ იუნაიტედი | არგენტინა | 71 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 65 |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი | 61 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა | 46 |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | იტალია | 40 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 15 |
| მანუელ რუი კოშტა | მილანი | პორტუგალია | 14 |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი | საფრანგეთი | 13 |
| ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი | შვედეთი | 9 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 8 |
| გაბრიელ ბატისტუტა | რომა | არგენტინა | 8 |
| შტეფან ეფენბერგი | ბაიერნი | გერმანია | 5 |
| ალენ ბოკშიჩი | მიდლსბრო | ხორვატია | 5 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერ იუნაიტედი | ჰოლანდია | 4 |
| ერნან კრესპო | ლაციო | არგენტინა | 4 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | იტალია | 4 |
| ოსკარ კორდობა | ბოკა ხუნიორსი | კოლუმბია | 3 |
| გაისკა მენდიეტა | ლაციო | ესპანეთი | 3 |
| ებე სანდი | შალკე | დანია | 3 |
| ალესანდრო ნესტა | ლაციო | იტალია | 3 |
| ხავიერ სავიოლა | ბარსელონა | არგენტინა | 3 |
| ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | ბრაზილია | 2 |
| ჰიდეტოში ნაკატა | პარმა | იაპონია | 2 |
| სტივენ ჯერარდი | ლივერპული | ინგლისი | 1 |
| ლუის ენრიკე | ბარსელონა | ესპანეთი | 1 |
| იონ დალ ტომასონი | ფეიენოორდი | დანია | 1 |
| ალი დაეი | ჰერტა | ირანი | 1 |
| სიბუსისო ზუმა | კოპენჰაგენი | სამხრეთ აფრიკა | 1 |
| როი კინი | მანჩესტერ იუნაიტედი | ირლანდია | 1 |
| დიეგო სიმეონე | ლაციო | არგენტინა | 1 |

## ინგლისი

### XVII ტური

**ჩელსი 4:0 ლივერპული**

1:0 ლე სო (3), 2:0 ჰასელბაინკი (28), 3:0 დალა ბონა (71), 4:0 გუდიონსენი (90)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, გალასი, ბაბაიარო, ლე სო (ზენდენი 90), დალა ბონა, სტანიჩი (იოკანოვიჩი 67), ლამპარდი, ჰასელბაინკი (ძოლა 88), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლივერპული: დუდეკი, რიისე, ჰიპია, ანშო, კარაგერი, მაკალისტერი, ჯერარდი, მერფი, ბისკანი (ს. რაიტი 46), ჰესკი, ლიტმანენი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
გაფრთხილება: სტანიჩი, გუდიონსენი, ჰესკი, რაიტი, მერფი
მსაჯი: ჰელსი
41 174 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 მური (76)
ევერტონი: სიმონსენი, პისტონე (ჯ. მური 46), სტაბსი (ამსუორთი 15), ვეირი, ნეისმიტი, ალექსანდერსონი, ჯემილი, გრავესენი (გესქოინი 62), პემბრიჯი, უოტსონი, რადზინსკი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ს. ელიოტი, რიგოტი, მავენი (ქინქლაძე 78), ზავანო, დ. პაუელი (ბოლდერი 63), დიუკრო, გრენე (ბოერტიენი 90), კარბონე, დ. ბარტონი, კრისპი
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
გაფრთხილება: ჯემილი, რიგოტი, ზავანო
მსაჯი: უილკისი
30 615 მაყურებელი

**ლიდსი 2:2 ლესტერი**

1:0 კოუელი (7), 2:0 ვიდუკა (59), 2:1 დიინი (78), 2:2 სკოუკროფტი (89)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, გ. კელი, ბეტი, ს. ჯონსონი (ბაკე 18), კოუელი, ვიდუკა, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ლესტერი: ი. უოქერი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, მარშალი, დავიდსონი, სევიჯი, ს. ოუქსი, იზეტი, იმპი (აკინბიი 72), სკოუკროფტი, დიინი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: ბაკე, სევიჯი, ელიოტი, მარშალი
მსაჯი: სტაილზი
38 337 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ჩარლტონი**

ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ნოლანი, ვარჰურსტი, ფრანდსენი, გარდნერი, უოლესი (ჰოლდსუორთი 84), რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლაარდისი
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ფიში, ქორიე კონჩა, კ. პაუელი (კონჩესკი 89), გ. სტიუარტი, პარკერი (ჯ. იოჰანსონი 68), ფორტუნი, იენსენი, იუელი, ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ფრანდსენი, ფორტუნი, სტიუარტი
მსაჯი: ფოი
20 834 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროი (75)
მიდლსბრო: კროსლი, სტოკდეილი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, ინსი, გრინინგი, მასტო, მარინელი, ბოკშიჩი, რიკარდი (ველანი 63)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ბლანი, ოში (ფ. ნევილი 13), სილვესტრი, ვერონი, როი კინი, ბატი (გიგზი 65), სქოულზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ინსი, კედრუ, სილვესტრი, ბატი, კინი
მსაჯი: ელერეი
34 358 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ბლეკბერნი**

0:1 დაფი (34), 1:1 ბერნარი (65), 2:1 სპიდი (70)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დისტინი, რ. ელიოტი, სოლანო, ლი (დაიერი 46), სპიდი, ბერნარი, შირერი, ამეობი (ლუა-ლუა 59)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბლეკბერნი: ფრიდელი, კერტისი (გრაბი 78), ბერგი, შორტი, ნაილი, გილესპი, ფლიტკროფტი, თუგაი, დაფი, დანი, იანსენი (მ. ჰიუზი 26; მ. ტეილორი 71)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: დანი, ჰიუზი, ნაილი
მსაჯი: დანი
50 064 მაყურებელი

# პრემიერლიგას გაუმარჯოს!
## ამ პატარა ჭიქით და ათი ათასი გოლით




ჩელსი — ლივერპული. სტუმართა რბევა გრემ ლე სოს ამ გოლით დაიწყო

**საუთჰემპტონი 2:0 სანდერლენდი**

1:0 კრადოკი (43ა.კ.), 2:0 პახარსი (67)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, პ. უილიამსი, ტელფერი, ოკლი, სვენსონი, მარსდენი, ბიტი, პახარსი (ორმეროდი 84)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, გრეი, კრადოკი, დ. უილიამსი, მაკატირი, კევინ მაკენი, ტირლველი (ლასლანდი 66), კ. რეინა, კილბეინი (ნ. ქუინი 81), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: მარსდენი, კრადოკი, მაკენი
მსაჯი: პაფი
29 459 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:0 ფულემი**

1:0 ფერდინანდი (20), 2:0 ანდერტონი (40), 3:0 დევისი (71), 4:0 რებროვი (77)
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, კინგი, რიჩარდსი, ს. დევისი, ფრიინდი, ანდერტონი, პოიეტი, ტარიკო, ლ. ფერდინანდი (რებროვი 62), შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გომა, ბრევეტი, ბოა მორტე, ლეგვინსკი, მალბრანკი, კოლინზი (კლარკი 73), საჰა, ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ფერდინანდი, პერი, ფრიინდი, საჰა, ბოა მორტე
მსაჯი: ბერი
36 054 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 არსენალი**

1:0 კანო (36), 1:1 ეშლი კოული (39)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შეპლი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი, ჰაჩისონი, კარიკი, ჯ. კოული, ტ. სინკლერი, კანო (დეფო 46), დი კანიო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, პირესი (ნ. კანუ 77), ვიეირა, გრიმანდი, ვილტორდი (ედუ 72), ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კარიკი, რეპკა, დი კანიო, კოული, ლორენი, ვიეირა, პირესი
მსაჯი: რილი
34 523 მაყურებელი

**ასტონ ვილა — იფსვიჩი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ჯიბეები მოისინჯეთ, ბიჭებო, რამე ხომ არ მოგვპარეს?

ასე დასძახა „ჩელსის“ ერთმა გახარებულმა ფანმა, როცა ჩელსელ ქომაგთა მოზრდილი ბრბო ლივერპულელი გულშემატკივრებით სავსე ავტობუსთა გრძელ მწკრივს გაუსწორდა.

ბარე ორასმა კაცმა ჯიბეებში იკრა ხელი და ყველამ ერთად დაიგუგუნა: არა! არა! ვერაფერი წაიღეს... მერე იმ მეთაურმა კვლავ გასძახა: გახსოვდეს 89 წელი!!!

12 წლის წინ „ლივერპულმა“ უკანასკნელად მოიგო „სტემფორდ ბრიჯზე“. ამ კვირისთვის „ლივერპულს“ ზურგს უკან ჰქონდა თორმეტთამაშიანი წაუგებელი სერია, რამაც ფილ ტომპსონის ხელში დარჩენილი გუნდი პრემიერლიგის მარაგიან ლიდერად აქცია და „ლივერპულს“ არ ჰყავდა მაიკლ ოუენი, რაც თურმე უმრავლეს შემთხვევაში გადამწყვეტია.

„ჩელსი“, რა თქმა უნდა, ძნელად რომ ჩემპიონი გახდეს, მაგრამ კარლო კუდიჩინიმ ზედიზედ მეორე თამაშში მოიგერია პენალტი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის დამკავებელი კი ლივერპულელთა შორის ვერ მოიძებნა.

0:4-ზე დამარცხებულ სტუმართა შორის საუკეთესონი იონ არნე რიისე და გარი მაკალისტერი იყვნენ. ამათგან პირველმა პენალტი აკიდა მარიო მელხიოტს, მეორემ კი ეს პენალტი ვერ გაიტანა. ამ დროს მასპინძლები უკვე ორი ბურთით იგებდნენ, მაგრამ „ლივერპულს“ გარღატეხის შანსი ჰქონდა. კუდიჩინიმ ყველაფერი მოიგერია და მერე სტუმრებიც აირივნენ. კლაუდიო რანიერიმ თავის მეკარეს ფანტასტიკური უწოდა, „ლივერპული“ კი თუმცა პირველ ადგილზე დარჩა, მაგრამ უკვე აშკარად გრძნობს ზურგს უკან გამხეცებულ ლონდონელ „მეთოფეთა“ სუნთქვას.

ეს სუნთქვა ეგებ უფრო ხმაურიანი ყოფილიყო ამ უქმეების შემდეგ, მაგრამ წინა კვირას „მანჩესტერის“ მძლეველმა „ვესტ ჰემმა“ „აპტონ პარკზე“ კინაღამ გააფართხალა არსენ ვენგერის გუნდი. ფრე ამ შეხვედრის სამართლიანი შედეგი გამოდგა, თუმცა მსაჯმა აქეთ-იქით თითო ნაღდი პენალტი არ დანიშნა. პატრიკ ვიეირამ საერთოდაც ფრენბურთელივით გამოიტანა ბურთი თავისი საჯარიმოდან. ყრმა ჯო კოულმა კი „არსენალის“ ნახევარდაცვა გატანჯა. „ბედმა გვიმუხთლა, — თქვა ვენგერმა — ბერხკამპმა ძელი გატეხა“. პაოლო დი კანიომ კი ფეირ პლეის ჯილდოს ოფიციალურ მიღებამდე ზუსტად ორი დღით ადრე მიიღო ყვითელი ბარათი სიმულაციისთვის.

„ნიუკასლი“ ასე კარგი ხუთი წელიწადია არ ყოფილა, თუმცა გარი სპიდის თავური, რომელმაც გუნდს გამარჯვება მოუტანა „ბლექბერნთან“ შეხვედრაში გვარიანად კურიოზული იყო. არა, მეტად კურიოზული, ვიდრე „კაჭკაჭთა“ მეკარის შეი გივენის მიერ სტუმართაგან გაშვებული.

ტედი შერინგემი 35 წლისაა და კვლავ თამაშობს ნაკრებში. „თავს დავდებ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ერიკსონს თავი მოვაწონო“ — ეს პოლ გესქოინის სიტყვებია. შაბათს ის კვლავ შევიდა მოედანზე მეორე ტაიმში და მისი მაგალითით და უნარიანი თამაშით დაქოქილმა ლივერპულელმა ნაბოლარებმა კვლავ მოიგეს. „ის არ ბერდება — თქვა მენეჯერმა უოლტერ სმიტმა — მისი მოედანზე სიარულიც კი გუნდს გმირობისთვის განაწყობს. ის ყველასთვის საყვარელი კაცია და ინგლისს ბარე ნახევარი საუკუნეა არ ჰყოლია ამგვარი ნიჭის ფეხბურთელი“.

ტედი შერინგემსა და ჩრდილოლონდონელ „დეზებს“ კი სამხრეთელი ახალბედები დაეჭირათ და ლივერპულიდან მშრალად ჩასულ „ფულემს“ ნამდვილი რბევა გაუმართეს. ამ შეხვედრის პირველი გოლი, რომელიც ლეს ფერდინანდმა გაიტანა, მეათიათასე გამოდგა პრემიერლიგის ისტორიაში.

ამასობაში კი მძიმე დღეშია „ლიდსი“. არა იმიტომ, რომ „ლესტერი“ ძველლესტერულად გაისარჯა და ორი ბურთი ამოუღო „ელანდ როუდზე“, არამედ იმიტომ, რომ გუნდზე მორალურ დაწოლას ა[illegible]ენს მედია და [illegible]ზოგადოება. სასამართლოდან [illegible]დახსნილი ხულიგნების ლი ბოიერისა და ჯონათან ვუდგეიტის მოედანზე გაყვანის ყოველ [illegible] ლი [illegible] კი [illegible] [illegible] უბრალო შეფასებაა. დევიდ ოლირი კი მუქარის წერილებს იღებს უცნობ აზიელთაგან თუ რასისტი ბოიერი ითამაშებს, შენ დაისჯებიო. „ლიდსში“ დისციპლინის გამკაცრებას გეგმავენ, ცდილობენ დაიშალოს ძმაკაცების მაფია, რომელსაც ბოიერი და კოუელი თავკაცობენ.

საშაბათოდ კი მომჯობინდა რაიან გიგზი. მოსწავლისა და მასწავლებლის ჯახში მიდლსბროს „რივერსაიდზე“ რომ გაიმართა, კვლავ არ მონაწილეობდა დევიდ ბექემი. მეორე ტაიმში შესულმა რაიან გიგზმა კი შეხვედრის ბედი გადაწყვიტა, მის პასს მეკარე კროსლი ჯეროვნად ვერ დაუხვდა და რუუდ ვან ნისტელროიმაც ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. თამაშის შემდეგ ბოროელთა თავკაცმა სტივ მაკლარენმა წითელ ღვინოზე მიიწვია ალექს ფერგიუსონი, თუმცა ისიც აღნიშნა, ამ ღვინოს მისთვის უფრო კარგი გემო ექნებაო.

„მანჩესტერმა“ ექვსი ქულა აიღო ამ კვირაში ისე, რომ გოლი არ გაუშვია. ეს თუ იყო განთქმული კომენტატორის დესმუნდ ლაინენის ოხუნჯობის მიზეზი: გადაცემას ერთი ხუმრობით დავამთავრებ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ აღარ იბრძვის ჩემპიონობისთვის. მეტიც, მას ამის აღარანაირი შანსი არა აქვს.

**ირაკლი ბამყრელიძე ლონდონიდან**



ტოტენჰემი — ფულემი. არის გოლი! ლეს ფერდინანდმა მეათიათასე გაიტანა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 16 | 10 | 3 | 3 | 25:15 | 10 | 33 | 8 | 5 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 17 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 16 |
| 2 არსენალი | 16 | 8 | 6 | 2 | 34:18 | 16 | 30 | 7 | 3 | 2 | 2 | 17:13 | 4 | 11 | 9 | 5 | 4 | 0 | 17:5 | 12 | 19 |
| 3 ნიუკასლი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:19 | 8 | 30 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:9 | 3 | 16 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:10 | 5 | 14 |
| 4 ლიდსი | 16 | 7 | 8 | 1 | 20:11 | 9 | 29 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 9 | 4 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 16 |
| 5 ჩელსი | 17 | 6 | 9 | 2 | 23:12 | 11 | 27 | 8 | 3 | 4 | 1 | 12:6 | 6 | 13 | 9 | 3 | 5 | 1 | 11:6 | 5 | 14 |
| 6 მანჩესტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 37:27 | 10 | 27 | 9 | 5 | 1 | 3 | 20:10 | 10 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 17:17 | 0 | 11 |
| 7 ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 29:23 | 6 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 20:13 | 7 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 |
| 8 ასტონ ვილა | 16 | 6 | 6 | 4 | 21:18 | 3 | 24 | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 12:13 | -1 | 9 |
| 9 ევერტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21:19 | 2 | 23 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 17 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 6 |
| 10 ფულემი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:17 | 0 | 23 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 16 | 8 | 1 | 4 | 3 | 5:10 | -5 | 7 |
| 11 ჩარლტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 21:20 | 1 | 22 | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | -1 | 10 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 |
| 12 ბოლტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:21 | -1 | 21 | 8 | 2 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 9 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 4 | 12 |
| 13 სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 13:17 | -4 | 20 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 3:9 | -6 | 5 |
| 14 ვესტ ჰემი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:29 | -10 | 20 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:23 | -13 | 8 |
| 15 ბლეკბერნი | 17 | 4 | 7 | 6 | 23:21 | 2 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 6 |
| 16 მიდლსბრო | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | -6 | 19 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 17 საუთჰემპტონი | 16 | 5 | 1 | 10 | 17:24 | -7 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 9 | 3 | 0 | 6 | 9:12 | -3 | 9 |
| 18 ლესტერი | 17 | 3 | 5 | 9 | 11:31 | -20 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 4:16 | -12 | 6 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 8 |
| 19 დერბი ქაუნთი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:30 | -19 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:9 | -1 | 12 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:21 | -18 | 1 |
| 20 იფსვიჩი | 16 | 1 | 6 | 9 | 14:25 | -11 | 9 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:13 | -5 | 5 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 12 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 10 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 8 |

**XVIII ტური**

22 დეკემბერი

ჩარლტონი - ბლეკბერნი
ჩელსი - ბოლტონი
დერბი ქაუნთი - ასტონ ვილა
ლიდსი - ნიუკასლი
ლესტერი - ვესტ ჰემი
ლივერპული - არსენალი
მანჩესტერი - საუთჰემპტონი
მიდლსბრო - ფულემი
სანდერლენდი - ევერტონი
ტოტენჰემი - იფსვიჩი

## პირველი დივიზიონი

### XXIV ტური

**მანჩესტერ სიტი 3:1 ბრედფორდი**
0:1 დაინ (15ა.კ.), 1:1 მეტომო (35), 2:1 ჰოროკი (58), 3:1 რაიტ-ფილიპსი (64)

**უიმბლდონი 1:0 ნოტინგემი**
1:0 ვილმოტი (66)

**ვულვერჰემპტონი 2:1 ბირმინგემი**
1:0 ბლეიკი (38), 1:1 მარსელო (40), 2:1 რაე (66)

**ბარნლი 3:2 სტოკპორტი**
1:0 ლიტლი (9ვ), 1:1 მაკშეფრი (11), 2:1 ტეილორი (66), 3:1 იან მური (70), 3:2 კუქი (90ვ)

**კრიუ 1:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ჯორდაო (28), 1:1 ტომასი (31)

**ჯილინგემი 2:1 შეფილდ უენსდი**
1:0 შოუ (20), 1:1 სიბონი (23ვ), 2:1 ოსბორნი (28)

**ნორვიჩი 2:0 ქოვენთრი**
1:0 რივერსი (12), 2:0 ნილსენი (88)

**როტერჰემი 1:0 პრესტონი**
1:0 მაკინტოში (3)

**უოლსოლი 4:0 გრიმსბი**
1:0 ბიანკალანი (33), 2:0 ანჯელი (68), 3:0 ლეიტაუ (89), 4:0 ეროველტო (90)

**უოტფორდი 1:0 კრისტალ პალასი**
1:0 ნოელ-უილიამსი (41)

**შეფილდ იუნაიტედი 1:1 ბარნსლი**
0:1 შერონი (58), 1:1 პეშისოლიდო (81)

**მილუოლი 1:0 პორტსმუთი**
1:0 სადლიერი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 24 | 15 | 4 | 5 | 48:33 | 49 |
| სიტი | 24 | 14 | 3 | 7 | 55:34 | 45 |
| ვულვზი | 24 | 13 | 6 | 5 | 36:19 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 13 | 3 | 8 | 27:20 | 42 |
| ნორვიჩი | 24 | 13 | 3 | 8 | 33:32 | 42 |
| მილუოლი | 23 | 11 | 5 | 7 | 39:28 | 38 |
| კრისტალ პალასი | 24 | 12 | 1 | 11 | 45:35 | 37 |
| ქოვენთრი | 24 | 11 | 4 | 9 | 28:24 | 37 |
| პრესტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 39:31 | 36 |
| ბირმინგემი | 24 | 10 | 6 | 8 | 39:32 | 36 |
| უოტფორდი | 23 | 10 | 5 | 8 | 36:26 | 35 |
| ჯილინგემი | 24 | 9 | 6 | 9 | 36:33 | 33 |
| პორტსმუთი | 24 | 9 | 6 | 9 | 36:36 | 33 |
| უიმბლდონი | 24 | 8 | 8 | 8 | 39:37 | 32 |
| ბრედფორდი | 24 | 9 | 5 | 10 | 44:44 | 32 |
| შეფილდი | 24 | 7 | 10 | 7 | 26:28 | 31 |
| ნოტინგემი | 24 | 7 | 9 | 8 | 26:24 | 30 |
| კრიუ | 24 | 7 | 8 | 9 | 25:37 | 29 |
| როტერჰემი | 24 | 7 | 7 | 10 | 30:37 | 28 |
| უოლსოლი | 24 | 6 | 5 | 13 | 28:40 | 23 |
| უენსდი | 24 | 5 | 8 | 11 | 26:38 | 23 |
| ბარნსლი | 24 | 5 | 7 | 12 | 31:49 | 22 |
| გრიმსბი | 24 | 5 | 6 | 13 | 22:47 | 21 |
| სტოკპორტი | 24 | 2 | 6 | 16 | 24:54 | 12 |

## მეორე დივიზიონი

22-ე ტური: ბლეკპული — კარდიფი 1:1; ბრენტფორდი — რედინგი 3:0; კემბრიჯი — ბრისტოლი 0:3; ჩესტერფილდი — ქუინზ პარკი 2:3; კოლჩესტერი — პიტერბორო 2:1; ნორთჰემპტონი — ბორნმუთი 1:0; ნოტსი — ბერი 1:2; ოლდემი — უიგანი 1:1; სტოკი — უიკომბი 5:1; ტრანმერი — პორტ ვეილი 3:1

## მესამე დივიზიონი

22-ე ტური: ექსეტერი — კიდერმინსტერი 2:1; ჰალიფაქსი — შრუსბერი 1:2; ლინკოლნი — ტორკი 0:0; ლუტონი — რაშდენი 1:0; მაკლსფილდი — ლეიტონი 2:1; ოქსფორდი — მენსფილდი 3:2; პლიმუთი — დარლინგტონი 1:0; როჩდეილი — საუთენდი 0:1; სკანთორპი — ჰალი 2:1; სუონსი — კარლაილი 0:0; იორკი — ჩელტენემი 1:3

## გერმანია

### XVII ტური

**ჰამბურგი 1:1 ფრაიბურგი**

1:0 პრეგერი (30), 1:1 მიულერი (69)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოლტრიცი, ჰოლერბახი, ტოფტინგი (კარდოზო 73), ვიკი, ალბერტცი, ბენჯამინი (მაჰდავიკია 69), პრეგერი, მეიერი
მწვრთნელი: კურტ იარა
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, ცხადაძე, კობიაშვილი, ჰერმელი, კელი, ა. ცაიერი (ვილი 66), კულიბალი, რამდანე (სელიმი 61), იაშვილი (ბრუნსი 83)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ჰოლერბახი, იუფფალუში, ვილი, მიულერი
მსაჯი: მერკი
35 012 მაყურებელი

**კიოლნი 0:0 კოტბუსი**

კიოლნი: პრიოლი, ცელვეგერი, სიხონი (ბარანეკი 69), სონგი, კელერი, კელმანი, შპრინგერი, ლოტნერი (კროიცი 58), ტიმი, რაიხი, კურტი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, სკერბე, ბეეკი, ვაჟერეიჩეკი, აკრაპოვიჩი (ტიელმანი 86), კალუჟნი, რეგეკამპფი (ვიჩიცე 83), შრიოტერი, კობილანსკი, ფელდჰოფი (ლაბაკი 66)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: შპრინგერი, კობილანსკი, რეგეკამპფი, ბეეკი
მსაჯი: კრუგი
29 000 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 ლევერკუზენი**

1:0 ნოინდორფი (19), 1:1 ნოივილი (37), 2:1 დარდაი (62)
ჰერტა: ფიდლერი, შმიდტი, ვან ბურიკი (ჰარტმანი 13), რემერი, სიმუნიჩი, მაასი, დარდაი, ტრეჩოკი (ლაპაჩინსკი 80), ნოინდორფი (სვერისონი 78), მარსელინიო, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი (სებესკენი 34), ფივკოვიჩი, პლასენტე (ბაშთურქი 74), რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბერბატოვი, ნოივილი, კირსტენი (ბრდარიჩი 74)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: დარდაი, მაასი, ტრეჩოკი, პლასენტე, ბალაკი, ბრდარიჩი
მსაჯი: ვაკი
34 635 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 დორტმუნდი**

1:0 ფრინგსი (40), 1:1 ევერტონი (56)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ტიკუზე, სკრიპნიკი, ფრინგსი, ფ. ერნსტი, ლისტეში, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, იურგენ კოლერი, ჰაინრიხი (სორენსენი 46), დედე, როიტერი, ოლისე, რიკენი (სტევიჩი 88), როსიცკი, ევერტონი, იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ვერლაატი, ევერტონი
მსაჯი: ბერგი
35 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:0 ბაიერნი**

1:0 ჰირში (86)
ჰანზა: შობერი, ლანგე, იაკობსონი, ოსვალდი, ემარა, რიდლევიჩი, ლანცი, ვიბრანი (ვაილანდტი 90), იასერი (ჰირში 83), ბაიერლე, არვიდსონი (კოვაჩიჩი 90)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ბაიერნი: კანი, ტიამი, ლინკე, რ. კოვაჩი (ნ. კოვაჩი 46), ტარნატი, ჰარგრივსი, ფინკი, ეფენბერგი, ციკლერი (შოლი 66), ელბერი (იანკერი 78), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ლანცი, იასერი, რ. კოვაჩი, ლინკე, იანკერი, ეფენბერგი, ფინკი
მსაჯი: შტაინბორნი
29 500 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:2 შტუტგარტი**

1:0 რატინიო (4), 1:1 მაისნერი (32), 2:1 ლოკვენცი (63), 2:2 კურანი (85)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ვესტი, ბასლერი, ჰ. რამზი, მალცი, რატინიო (მარშალი 79), ჰენგენი (რიდლი 58), ლინკოლნი, კლოზე (გაბრიელი 85), ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში (კურანი 69), ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი, გლები (დანდი 83), ბალაკოვი, კარნელი (მ. გერბერი 46), ადემარი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბასლერი, მალცი, ვენცელი, კურანი
მსაჯი: იანსენი
39 030 მაყურებელი

# გათბობა გნებავთ? მეტი ირბინეთ...



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ჰერტა — ლევერკუზენი. ბერლინელმა მიხაელ პრეეცმა ლუსიო მოგვერდით წამოიღო

**ვოლფსბურგი 3:1 შალკე**

1:0 ნემეცი (5ს.კ.), 2:0 მარიჩი (61), 2:1 ვილმოტსი (66), 3:1 მარიჩი (74პ)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ფრანცი, ბილისკოვი, ვაიზერი, კარჰანი, კუპბაუერი (რაუ 88), დ. მუნტიანუ, პონტე (კლიმოვიჩი 46), პეტროვი (ს. მიულერი 69), ტ. მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შალკე: რეკი, უდე კამპუისი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, კმეტჩი, ნემეცი (აგალი 65), მიოლერი, ასამოა, ბიომე (ვერმანტი 55), ვილმოტსი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: პონტე, რიტერი, კლიმოვიჩი, მარიჩი, ბიომე, ნემეცი, ვან ჰოოგდალემი, კმეტჩი
მსაჯი: ვაგნერი
15 147 მაყურებელი

**მიუნხენი 2:2 მიონხენგლადბახი**

0:1 კორზინეცი (22), 1:1 მაქსი (23), 1:2 ვან ლენტი (26), 2:2 მაქსი (42)
ვან ლენტმა ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)
მიუნხენი: იენჩი, ჩერნი, ელერსი, ჰუუდერერი, ტაპალოვიჩი, ტ. ჰოფმანი, ვიზინგერი, მ. ვაისენბერგერი (შუკერი 65), ჰესლერი, მაქსი, ბიერკე
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
მიონხენგლადბახი: შტილი, პლეტჩი, ასანინი, ებერლი, მიუნხი, ჰაუსვაილერი, ნილსენი, ულიხი (დემო 75), ვან ჰუდტი (კოუნცელი 71), კორზინეცი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ვან ლენტი, კორზინეცი
მსაჯი: ფანდელი
19 700 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:0 ზანკტ პაული**

ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოში, ტავკარი, ვობლიშაუზერი, ლ. მიულერი, ლარსენი, კრიონოვკა, იაროლიმი, რინკი, მიხალკე (კაკუ 62)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ზანკტ პაული: ჰენლერი, სტანისლავსკი, ტრულსენი, ჰიბსი, ჰელდი, კინცი, ბიურგერი, რანი, მეგლე, პაჩინსკი (ბარისი 84), რატი (სენჩი 88)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: ლარსენი, რანი, გიბსი, ბიურგერი
მსაჯი: ფროილიხი
20 000 მაყურებელი

**პირველი წრის** ბოლო ტური ფრეებისა და ლიდერთა წაფორხილებისა იყო. ცხრიდან ექვს მატჩში მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მშვიდობით დაშორდნენ, ხოლო პირველი ხუთეულიდან ვერცერთმა გაიმარჯვა. შედეგად ცხრილის ზედა ნაწილში ცვლილებები არ მომხდარა, ლევერკუზენის „ბაიერი“ კი ბერლინში „ჰერტასთან“ დამარცხების მიუხედავად თავის ისტორიაში პირველად გახდა შემოდგომის ჩემპიონი: უკეთესი იქნება თუ პირველობას გაზაფხულზე მოგვილოცავენო — თქვა მერე სტუმართა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა. საინტერესოა, რომ ბუნდესლიგის წინა 38 გათამაშებაში პირველი წრის გამარჯვებული ჯამში 26-ჯერ გამხდარა ქვეყნის ჩემპიონი. „ბაიერი“ კი საშემოდგომო ეტაპის მიხედვით მართლაც საუკეთესო იყო გერმანიაში.

შემოდგომის ჩემპიონობით ვერაფერს იყიდიო — ესეც ტოპმიოლერის სიტყვებია. კაცისა, ვისაც 1993-94 წლებში ფრანკფურტის „აინტრახტთან“ და კახა ცხადაძესთან ერთად უკვე გაუმარჯვია პირველ წრეში, მაგრამ სეზონის ბოლოს მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერებია. თუმცა ახლანდელი „ბაიერი“ უფრო სოლიდურად გამოიყურება.

„ჰერტამ“ ნოინდორფისა და დარდაის გოლებით მოიგო. უნგრელმა მეორე ტაიმის შუაში 22 მეტრიდან გაუტანა სტუმრებს, მანამდე სამი თავდამსხმელით მოთამაშე ლევერკუზენელები მეტს უტევდნენ, კირსტენისა და ნოივილის მხარდამხარ ბერბატოვიც ილვწოდა, რომელმაც ბოლო წუთებში ორი კარგი შანსი ვერ გამოიყენა. გოლი კი მხოლოდ ერთხელ, პირველი ტაიმის მიწურულს შეაგდეს.

კვლავ ყველა გააოცა მიუნხენის „ბაიერნმა“: ევროპის საკლუბო ჩემპიონებმა როსტოკში საშუალო „ჰანზასთან“ წააგეს. საოცარია, „ბაიერნს“ ზედიზედ ხუთი ტურია აღარ გაუმარჯვია... ასეთი ჩავარდნა ოტმარ ჰიცფელდის გაწვრთნილ გუნდს არასოდეს ჰქონია. ასე რომ, ჰერ ოტმარმა საკუთარი ანტირეკორდი გაიფორმა.

საგოლე მომენტები ბაიერნელებს მეტი ჰქონდათ, მათგან ყველაზე სახიფათო 61-ე წუთზე შეიქმნა, როცა ტარნატის პასს ციკლერმა უხეიროდ დაუხვედრა თავი. მერე კი სტუმრები ქაოსურად ათამაშდნენ და დაისაჯნენ კიდეც. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა დიტმარ ჰირშმა ახლოდან გამარჯვებისა შეაგდო. გასაკვირი იცით კიდევ რა არის? „ჰანზამ“ ზედიზედ მესამედ დაამარცხა „ბაიერნი“, შარშანდელ ჩემპიონატში შინაც სძლია და სტუმრადაც, ისტორია წლეულსაც მეორდება.

„ძალიან დავიღალეთ. სათამაშო ჟინიც აღარ გვყოფნის. ასეთი რამ დიდი ხანია აღარ მომხდარა. ვიმედოვნებ, ზამთრის არდადეგები სასიკეთოდ წაგვადგება. ძალას მოვიკრებთ და ჩვეულად ავთამაშდებით“ — განაცხადა მიუნხენელთა მეკარე ოლივერ კანმა.

ბრემენის „ვეზერშტადიონზე“ ერთმანეთს ბოლო დროს ალმა მიმავალი გუნდები შეხვდნენ. შაბათის მატჩამდე „ვერდერსაც“ და „დორტმუნდსაც“ ზედიზედ ექვსჯერ გაემარჯვათ. „ვერდერი“ ლიდერებს წამოეწია, ხოლო „დორტმუნდი“ მოგების შემთხვევაში, რაკი „ლევერკუზენმა“ წააგო, საშემოდგომოდ იპირველებდა, მაგრამ სტუმრებს არ ჰყავდათ ბრაზილიელები, საუკეთესო მეგოლე ამოროზო და ევანილსონი, ხოლო მათი თანამემამულეები ევერტონი და დედე უჩვეულო სიცივეს შეეწუხებინა. ამ სამხრეთამერიკულ ახირებას მწვრთნელი მათიას ზამერი მშვიდად შეხვდა: გერმანელებსაც ისევე სცივათ, როგორც ბრაზილიელებს. თუ გათბობა უნდათ, მინდორზე მეტი უნდა ირბინონო...

პირველ ტაიმში „ვერდერი“ უკეთ თამაშობდა და ფრინგსის გოლით დაწინაურდა კიდეც, მაგრამ შესვენების მერე დორტმუნდელებმა დაამტკიცეს, რომ მაღალი კლასის მეტი ფეხბურთელი ჰყავთ და არც ბრძოლა დავიწყებიათ. საპასუხო გოლი ლოგიკური გახლდათ. ბოლო დროს ჩრდილში მოქცეულმა ჩეხმა როსიცკიმ კონტრშეტევისას ცრუულად მოხვნა „გახურებული“ ევერტონი და ამანაც სადღაც 17 მეტრიდან ზუსტად დაარტყა. „ბორუსია“ შინ ერთი ქულით გაბრუნდა.

ზემოთ სიცივე ვახსენეთ და ამ პრობლემამ სხვა გუნდებსაც შეუშალა ხელი. მაგალითად, მიუნხენის დათოვლილ „ოლიმპიაშტადიონზე“ „1860“-ისა და „გლადბახის“ ფეხბურთელებს ხელთათმანები ჩაეცვათ და ნარინჯისფერი ბურთის მოთვინიერებას ხშირად უშედეგოდ ცდილობდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, თერმომეტრი მინუს შვიდ გრადუსს უჩვენებდა. სირბილით ბევრი ირბინეს, ერთმანეთს ორ-ორი გოლიც გაუტანეს, მაგრამ იმ სანახაობას ფეხბურთი ნაკლებად ეთქმოდა.

ფრედ ითამაშა „ფრაიბურგმაც“. ჰამბურგის „აოლ არენაზე“ სამივე ქართველი ძირითადში მოხვდა, მხოლოდ იაშვილი შეცვალეს ბოლოსკენ. კობიაშვილი ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე ირჯებოდა და „კიკერისგან“ ოთხიანი მიიღო, ცქიტიშვილი (4,5), ისევე როგორც ბოლო დროს საქართველოს ნაკრებში, მარჯვენა ნახევარმცველად გამწესეს, ხოლო იაშვილი (3,5) თავდასხმაში ფრანგ აბდერ რამდანეს შეუწყვილეს.

მატჩის ყველაზე ლამაზი ეპიზოდი 30-ე წუთზე გათამაშდა, როცა ჰამბურგელმა როი პრეგერმა მაკრატელათი ულამაზესი ბურთი შეაგდო. სტუმრებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს, კობიაშვილის პასით შტეფან მიულერმა გაიტანა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | ბომბარდირები |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 10 |
| პიზარო (ბაიერნი) | 10 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 9 |
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 8 |

**XVIII ტური**
19 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | - | გლადბახი |
| ვოლფსბურგი | - | ლევერკუზენი |
| ჰერტა | - | ზანკტ პაული |
| ნიურნბერგი | - | დორტმუნდი |
| ვერდერი | - | ფრაიბურგი |
| ჰამბურგი | - | კოტბუსი |
| კიოლნი | - | შტუტგარტი |
| ლაუტერნი | - | მიუნხენი |
| ჰანზა | - | შალკე |

## მეორე ბუნდესლიგა

### XVII ტური

**ჰანოვერი 3:1 ფიურტი**

1:0 კრიტა (28), 2:0 კაუფმანი (55), 2:1 კიოიო (83), 3:1 კაუფმანი (89)
გიორგი დეკანოსიძე სარეზერვო გუნდშია

**უნტერჰახინგი 0:0 კარლსრუე**

**ალენი 1:1 არმინია**

1:0 ბელა (76), 1:1 ვან დერ ვენი (82)

**ობერჰაუზენი 0:2 დუისბურგი**

0:1 ვოლტერსი (17), 0:2 გუვენისიკი (20)

**ბაბელსბერგი 1:3 აინტრახტი**

0:1 პრეისი (14), 0:2 კრიშალოვიჩი (27პ), 0:3 პრეისი (32), 1:3 ჩალასკიევიჩი (47პ)

**როიტლინგენი 3:0 ზაარბრიუკენი**

1:0 ბეკერი (66), 2:0 ფრომერი (70), 3:0 გერსტერი (81)

**მაინცი 1:0 უნიონი**

1:0 ნკუფო (13პ)

**ბოხუმი 5:3 ალემანია**

1:0 ბაკლი (1), 2:0 ჰაშემიანი (8), 3:0 მაიხელბეკი (19), 3:1 ბელიმსენი (37), 4:1 ჰაშემიანი (54პ), 4:2 ზერნიცკი (65), 4:3 ქაიე (66), 5:3 ტობლაკი (77)

**ვალდჰოფი 2:0 შვაინფურტი**

1:0 პასიეკა (44), 2:0 კლაუშცი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 17 | 12 | 3 | 2 | 37:18 | 39 |
| ჰანოვერი | 17 | 10 | 7 | 0 | 49:18 | 37 |
| არმინია | 17 | 9 | 4 | 4 | 33:18 | 31 |
| აინტრახტი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:19 | 29 |
| ბოხუმი | 17 | 7 | 6 | 4 | 31:25 | 27 |
| ალენი | 17 | 8 | 3 | 6 | 32:37 | 27 |
| ფიურტი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:21 | 26 |
| უნიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 32:21 | 25 |
| როიტლინგენი | 17 | 7 | 2 | 8 | 29:29 | 23 |
| ვალდჰოფი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:23 | 23 |
| უნტერჰახინგი | 17 | 6 | 3 | 8 | 18:22 | 21 |
| კარლსრუე | 17 | 6 | 3 | 8 | 21:26 | 21 |
| ალემანია | 17 | 6 | 3 | 8 | 22:34 | 21 |
| დუისბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 25:31 | 18 |
| შვაინფურტი | 17 | 5 | 3 | 9 | 16:32 | 18 |
| ბაბელსბერგი | 17 | 4 | 3 | 10 | 21:40 | 15 |
| ობერჰაუზენი | 17 | 3 | 3 | 11 | 21:31 | 12 |
| ზაარბრიუკენი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:29 | 10 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

21-ე ტური: პადერბორნი — ქემნიცი 0:1; ფორტუნა — დრეზდენი 0:2; ბუე — ფერლი 1:1; ბრაუნშვაიგი — მაგდებურგი 1:0; მიუნსტერი — ლიუბეკი 1:4; კილი — ოსნაბრიუკი 0:0; დიუსელდორფი — ლევერკუზენი (მ.) 0:3; ვერდერი (მ.) — იურდინგენი 1:2. ვატენშაიდი — ქსენი 2002 წლის 26 თებერვალს გაიმართება

## სამხრეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩები: ელვერსბერგი — შტუტგარტი (მ.) 0:2; ანსბახი — რეგენსბურგი 0:2; აალენი — ზიგენი 2:1

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 17 | 12 | 3 | 2 | 43:21 | 22 | 39 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:9 | 15 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:12 | 7 | 17 |
| 2 დორტმუნდი | 17 | 12 | 2 | 3 | 28:10 | 18 | 38 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 7 | 16 | 9 | 7 | 1 | 1 | 16:5 | 11 | 22 |
| 3 ლაუტერნი | 17 | 11 | 2 | 4 | 37:22 | 15 | 35 | 9 | 7 | 2 | 0 | 24:9 | 15 | 23 | 8 | 4 | 0 | 4 | 13:13 | 0 | 12 |
| 4 ბაიერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 34:11 | 23 | 33 | 8 | 6 | 2 | 0 | 20:4 | 16 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 14:7 | 7 | 13 |
| 5 ვერდერი | 17 | 10 | 3 | 4 | 28:17 | 11 | 33 | 9 | 6 | 2 | 1 | 14:8 | 6 | 20 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 5 | 13 |
| 6 ჰერტა | 17 | 9 | 4 | 4 | 27:20 | 7 | 31 | 9 | 7 | 0 | 2 | 19:9 | 10 | 21 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 10 |
| 7 შალკე | 17 | 7 | 5 | 5 | 20:20 | 0 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 14:9 | 5 | 17 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:11 | -5 | 9 |
| 8 შტუტგარტი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:18 | 2 | 24 | 9 | 4 | 4 | 1 | 11:3 | 8 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:15 | -6 | 8 |
| 9 მიუნხენი | 17 | 7 | 3 | 7 | 23:29 | -6 | 24 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:20 | -10 | 11 | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 29:25 | 4 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:7 | 8 | 14 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:18 | -4 | 8 |
| 11 ჰანზა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:22 | -6 | 19 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:11 | -3 | 9 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 10 |
| 12 ფრაიბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 20:27 | -7 | 18 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 12 | 9 | 1 | 3 | 5 | 7:17 | -10 | 6 |
| 13 ჰამბურგი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:27 | -7 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 16:15 | 1 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 4:12 | -8 | 5 |
| 14 გლადბახი | 17 | 3 | 7 | 7 | 19:26 | -7 | 16 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 9 | 2 | 3 | 4 | 13:17 | -4 | 9 |
| 15 კოტბუსი | 17 | 3 | 5 | 9 | 13:28 | -15 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 8 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:15 | -9 | 6 |
| 16 კიოლნი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:28 | -17 | 13 | 9 | 2 | 1 | 6 | 6:15 | -9 | 7 | 8 | 1 | 3 | 4 | 5:13 | -8 | 6 |
| 17 ნიურნბერგი | 17 | 3 | 3 | 11 | 12:31 | -19 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:14 | -6 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:17 | -13 | 4 |
| 18 ზანკტ პაული | 17 | 1 | 5 | 11 | 16:34 | -18 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:13 | -7 | 4 | 9 | 0 | 4 | 5 | 10:21 | -11 | 4 |

## იტალია

### XV ტური

### რომა 1:0 მილანი

1:0 ტოტი (43)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ, ემერსონი, ასუნსაო, ლიმა (ტომაზი 70), კანდელა, ტოტი, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მილანი: აბიატი, პელეგრი, შამოტი, როკე ჟუნიორი, მალდინი, გატუზო, ალბერტინი (დონატი 46), უმითი (ბროკი 62), რუი კოშტა, შევჩენკო, ხოსე მარი (ხავი მორენო 70)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: სამუელი, გატუზო, როკე ჟუნიორი, შამოტი, დელვეკიო
მსაჯი: კოლინა
60 000 მაყურებელი

### ინტერი 1:2 კიევო

0:1 კორადი (20), 1:1 ვიერი (25), 1:2 მარაცინა (54)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, სორონდო, გრეშკო, ოკანი (ს. კონსეისაუ 61), დი ბიაჯო, ფარინოსი (კალონი 76), გულიელმინპიეტრო (რეკობა 37), რონალდო, ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ს. ლანა, ერიბერტო, პეროტა, კორინი, მანფრედინი (ბარონე 73), კორადი (მაიელე 90), მარაცინა (კოსატო 86)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კორინი, დი ბიაჯო, კორდობა, ერიბერტო
მსაჯი: როზეტი
60 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 2:0 პიაჩენცა

1:0 ფერარა (35), 2:0 ტრეზეგე (90)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, პესოტო (ბირინდელი 86), ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი (ა. კონტე 66), ნედვედი (მარესკა 72), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, ა. ლუკარელი, ტოსტო, დი ფრანჩესკო, ვოლპი, სტატუტო (მატუზალემი 65), გაუტიერი, პოჯი (ამბროზეტი 76), უბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: იულიანო, სტატუტო, ამბროზეტი
მსაჯი: ტრეფოლონი
36 246 მაყურებელი

### ვერონა 3:1 ლაციო

1:0 კოლუჩი (21), 2:0 კამორანეზი (41), 2:1 კრესპო (55), 3:1 მუტუ (72)
ვერონა: ფერონი, გონელა, ძანკი, მ. კანავარო, ოდო, იტალიანო, ლ. კოლუჩი, ტეოდორანი, კამორანეზი, ფრიკი, მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (სეზარი 30), პობორსკი, ჯანიკედა, ლივერანი (კლაუდიო ლოპესი 78), დ. სტანკოვიჩი (ფიორე 71), კრესპო, ს. ინძაგი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, კოლუჩი, კამორანეზი
გაძევება: ინძაგი (75)
მსაჯი: ბორიელო
15 158 მაყურებელი

### ატალანტა 4:1 პარმა

1:0 ბერეტა (23), 2:0 სალა (43), 3:0 დონი (57), 4:0 კომანდინი (64), 4:1 მიკუ (66)
ატალანტა: ტაიბი (პინატო 81), სალა, პაგანინი, კარერა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო (რინალდი 72), დონი, კოლომბო (საუდატი 46), კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
პარმა: ფრეი, ჟუნიუ, ფერარი, ფ. კანავარო, დიანა (ბოლანო 67), ალმეიდა, ლამუში, ფალზინი, მარკიონი (ბონაცოლი 46), მიკუ, დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
გაფრთხილება: ალმეიდა
მსაჯი: ჩეზარი
13 000 მაყურებელი

### ბოლონია 2:1 პერუჯა

0:1 ტედესკო (22), 1:1 პეკია (28), 2:1 ფრეზი (45)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი, ნერვო (ბრიოსკი 89), ოლივე, ბრიგი, ტარანტინო, პეკია, ხ. კრუზი (ბელუჩი 74), ძაული
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
პერუჯა: მაცანტინი, ზე მარია, დი ლორეტო, რეზაეი, მილანეზე, ტედესკო, კაჩალია (კორდოვა 60), ბლაზი (ანი 80), ბაიოკო, ბაცანი, ვრიზასი (ზემერენი 80)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: პეკია, დი ლორეტო, კაჩალია, კრუზი, ბაიოკო
მსაჯი: ბრასკი
15 000 მაყურებელი

# ჩინ მენდლებითა, პრიალ-პრიალა ქუშტებითა...


REUTERS მიღებიდან

ინტერი — კიევო. კრისტიან ვიერიმ მეტოქე „დაბლოკა“ და ბურთი რონალდოს გადააბარა

### ფიორენტინა 1:0 ბრეშა

1:0 განცი (90)
ფიორენტინა: მანინგერი, ტაროცი (აგოსტინი 56), ჩეკარელი, ტორიჩელი, მორეტი, კოისი, ამარალი, დი ლივიო, მორფეო (განცი 80), მიატოვიჩი (მ. როსი 70), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, ბონერა, მ. ესპოზიტო, ა. ფილიპინი, ჯუნტი, ე. ფილიპინი (გუანა 78), სუსი, ტონი (მერო 87), ტარე (სალგადო 68)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ა. ფილიპინი, სუსი, ნუნუ გომეში
მსაჯი: პიერი
10 000 მაყურებელი

### ლეჩე 1:1 ტორინო

1:0 ციმეროტიჩი (48), 1:1 ლუკარელი (75)
ლეჩე: კიმენტი, სილვესტრი, მალუსკი, სავინო, ჯორჯეტი (სუპერბი 86), კონტიკიო (კოლონელო 65), პიანჯერელი, ჯაკომაცი (ვუგრინეცი 81), ტონეტო, ციმეროტიჩი, ჩევანტონი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ტორინო: სორენტინო, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ასტა, კომოტო, დე აშენტისი (მასპერო 46), ვერგასოლა, მეცანო (მ. კასტელინი 52), ფერანტე (კოე 89), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: მეცანო, ტონეტო, დელი კარი, დე აშენტისი, სილვესტრი
მსაჯი: რაკალბუტო
20 000 მაყურებელი

### ვენეცია 2:1 უდინეზე

1:0 მანიერო (39), 1:1 ელგერა (66), 2:1 ვალტოლინა (75)
ვენეცია: ჯ. როსი, კონტეპი, ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი, ბრესანი, მარასკო, პაბლო გარსია, დე ფრანჩესკი (ვალტოლინა 69), მანიერო (დი ნაპოლი 84), მაგალიანესი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, კაბალიერო, ნომვეტე (ბედინი 55), ლ. ელგერა, დ. პიზარო, მარკოს პაულუ (მარტინესი 55), პიერი, სოზა (იაკინტა 81), მუცი
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
გაფრთხილება: ბეტარინი, პაბლო გარსია, სოტილი, ბრესანი, დე ფრანჩესკი
მსაჯი: მორგანტი
6 909 მაყურებელი

**ნუ გაგვეცინებათ**, ისე დავიწყოთ: „კიევო“ იტალიური ლიგის მწვერვალს დაუბრუნდა, არა, სჯობს ფრთოსანი ფრაზა მოვიფიქროთ, მაგალითად, ასეთი: იტალიაში „კიევოზე“ მაღლა ალაფერია, ხოლო იტალიურ ლიგას ხშირად მსოფლიოში უძლიერესს ეძახიან. თუ გნებავთ მხატვრულ ლიტერატურას დავესესხოთ: როდესაც იტალიაში დეკემბრის ციდან ქარმა წამით ღრუბელი გაჰყარა, სულ მაღლა, თვალუწვდენელ სიმაღლეზე, მფრინავი ვირის დიადი გამოსახულება გამოჩნდა...

თუმცა, მეტიც ნუ მოგვივა. ნუ დაგვავიწყდება, რომ სპორტული ჟურნალისტიკის სფეროში ვმუშაობთ და ეს სფერო პირდაპირ ითხოვს ჩვენგან თხრობის სისადავეს, თორემ ვერონელი კონკია, თუ გნებავთ რომეო (ან ჯულიეტა, ეს ამ შემთხვევაში სულერთია) ჰაი, ჰაი, რომ პოემასაც კი იმსახურებს.

ერთი სიტყვით, შაბათს, მილანში, ცნობილ „სან სიროზე“ „კიევო“ ადგა და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ კოლოსს, „ინტერს“ 2:1 მოუგო: ეს გახლდათ ჩემპიონატის ორი ლიდერის ბრძოლა ცხრილში პირველ ადგილზე ასასვლელად. მოედანზე ერთი მხრივ იდგა მხოლოდ და მხოლოდ „კიევო“, ხოლო მეორე მხრივ „ინტერი“ თავის კრისტიან ვიერით, რონალდოთი, ალვარო რეკობათი და მწვრთნელით, ამა თუ იმ ევროთასის ფინალში ზედიზედ სამჯერ გასული ექტორ რაულ კუპერით.

„ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით — განაცხადა მატჩის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ „კიევოს“ ახალგაზრდა პრეზიდენტმა, „ინტერის“ ქომაგმა ლუკა კამპედელიმ — მე, ცხადია, მერჩივნა ამ სტადიონზე „მილანი“ დაგვემარცხებინა („მილანთან“ „კიევომ“ 2:3 წააგო), მაგრამ ესეც დიდებული საქმე გამოვიდა“.

„მეტოქე მართლაც იმსახურებდა გამარჯვებას. ის შეტევაშიც ერთსულოვანი იყო და დაცვაშიც. სრულიად სამართლიანი შედეგი მივიღეთ“ — აღიარა კუპერმა.

„კიევოს“ მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი: „მატჩის ბედი გარემარბებმა, კრისტიან მანფრედინიმ და ერიბერტომ გადაწყვიტეს. განსაკუთრებით მარჯვენაფლანგელი ერიბერტო მინდა გამოვარჩიო“.

ვინაიდან საკმაოდ შეზღუდულ ფართობზე მთელი, ნომრით მეთხუთმეტე, სინამდვილეში კი მეთოთხმეტე ტურის აღწერა გვევალება, ამ მილანურ ტრაგიკომედიაზე ლაპარაკი აქ შევწყვიტოთ და გადავინაცვლოთ ტურინის „დელე ალპიზე“, სადაც „პიაჩენცამ“ „იუვენტუსს“ ვერც მოუგო და ვერც ფრე გაუხერხა — „ბებერმა ქალბატონმა“ 2:0 მოიგო.

კაცმა რომ თქვას, „იუვენტუსს“ განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია, უბრალოდ, ვეტერანმა ჩირო ფერარამ თავურით გახსნა ანგარიში — ამ ეპიზოდში პიაჩენცელებმა მსაჯს ოფსაიდის ვერშემჩნევა უსაყვედურეს — სულ მთლად ბოლო წუთზე თუ წამზე კი ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ მეორეც გაიტანა.


REUTERS ტელეფოტო

იუვენტუსი — პიაჩენცა. სტუმარმა ჯუზეპე კარდონემ პაველ ნედვედს ბურთი არ დაანება

მოგეხსენებათ „პიაჩენცაში“ იტალიის მიმდინარე პირველობის ბომბარდირთა ლიდერი, დარიო უბნერი თამაშობს, მაგრამ ამ შეხვედრაში მას თავი არ გამოუჩენია. [illegible] „იუვეს“ თავკაცს, მარჩელო ლიპის... „კიევოზე“ ჰკითხეს. ლიპიმ უპასუხა: „ჯერჯერობით ისინი ყველაფერს კარგად აკეთებენ, მაგრამ ჩემპიონატის დამთავრებამდე დიდი დროა“.

„ვერონამ“ კი არც აცია, არც აცხელა და ნაქებ „ლაციოს“ 3:1 მოუგო.

„ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით და თამაშის შინაარსი კარგად ვერ ამოვიკითხეთ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის“ — განაცხადა რომაელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

სასიხარულო დღე დაუდგა „ვენეციას“. მან პირველად გაიმარჯვა და ვენეციელთა ეს გამარჯვება „უდინეზეს“ დებიუტანტი მწვრთნელის, საქმეში ინგლისელი როი ჰოჯსონის ნაცვლად ჩაყენებული ჯამპიერო ვენტურას ზურგზე გადატყდა.

ჯამპიერო ვენტურამ განაცხადა: „სულ რამდენიმე დღეა აქ ვარ, ასე რომ, ეს მხოლოდ დასაწყისია და არა დასასრული.“

გამარჯვებულთა თავკაცს, ალფრედო მანის კი გულში იმედი ჩაესახა: „ახლა პირველი გამარჯვება უკვე მოვიპოვეთ და იმედი მაქვს, რომ ამას სხვა წარმატებებს მივაყოლებთ“.

**ბაბუნა ძიდია**

## სერია B

### XVII ტური

### სიენა 0:1 ჩიტადელა

0:1 სკარპა (31)
დავით დიღმელაშვილი და ლევან მელქაძე განაცხადში ვერ მოხვდნენ

### ანკონა 0:3 მოდენა

0:1, 0:2 ფაბრინი (38, 74), 0:3 ძირონელი (89)

### კომო 3:1 სამპდორია

1:0 ოლივეირა (12), 1:1 ფლაკი (33), 2:1 სტელინი (52), 3:1 ტალდო (64)

### კოზენცა 1:0 კალიარი

1:0 პარიზი (86)

### მესინა 1:2 ბარი

1:0 აკურზი (11), 1:1 დე როსა (39), 1:2 სპინეზი (55)

### პისტოიეზე 1:1 ნაპოლი

1:0 ბანკელი (3), 1:1 იანკულოვსკი (27)

### ჯენოა 3:3 ემპოლი

1:0 ფრანკიოზი (10), 1:1 მაკარონე (16), 2:1 ფრანკიოზი (26პ), 2:2 როკი (31), 3:2 ფრანკიოზი (40პ), 3:3 მაკარონე (78პ)

### სალერნიტანა 2:1 პალერმო

0:1 ბომბარდინი (37), 1:1 ტედესკო (70), 2:1 ვინიაროლი (79)

### ტერნანა 3:2 კროტონე

1:0 ბუკი (43), 1:1 პორკია (50), 2:1 ადეშინა (54), 3:1 მიკოლი (58), 3:2 დეფლორიო (80პ)

### ვიჩენცა 1:2 რეჯინა

0:1 ჟირანეკი (15), 0:2 სავოლდი (22), 1:2 მარჯოტა (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 16 | 11 | 2 | 3 | 23:14 | 35 |
| მოდენა | 16 | 9 | 5 | 2 | 33:11 | 32 |
| ემპოლი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:17 | 31 |
| რეჯინა | 16 | 8 | 6 | 2 | 23:13 | 30 |
| კოზენცა | 16 | 8 | 2 | 6 | 25:26 | 26 |
| სალერნიტანა | 16 | 7 | 4 | 5 | 22:21 | 25 |
| ჯენოა | 16 | 6 | 6 | 4 | 20:14 | 24 |
| ვიჩენცა | 16 | 6 | 6 | 4 | 24:24 | 24 |
| ბარი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:17 | 24 |
| ნაპოლი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:20 | 23 |
| მესინა | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | 21 |
| პალერმო | 16 | 6 | 3 | 7 | 21:25 | 21 |
| სამპდორია | 16 | 5 | 5 | 6 | 20:20 | 20 |
| ანკონა | 16 | 5 | 3 | 8 | 13:20 | 18 |
| პისტოიეზე | 16 | 3 | 6 | 7 | 11:16 | 15 |
| ტერნანა | 16 | 2 | 8 | 6 | 17:23 | 14 |
| ჩიტადელა | 16 | 4 | 2 | 10 | 19:29 | 14 |
| კალიარი | 16 | 2 | 7 | 7 | 11:18 | 13 |
| სიენა | 16 | 2 | 6 | 8 | 14:23 | 12 |
| კროტონე | 16 | 2 | 5 | 9 | 18:24 | 11 |

## სერია C1/a

მე-16 ტური: ალბინოლეფე — ჩეზენა 0:0; კარარეზე — არეცო 1:1; ლეკო — პიზა 2:1; ლივორნო — ტრევიზო 4:1; ლუკეზე — ალძანო 5:1; პადოვა — სპეცია 2:1; რეჯანა — მონცა 1:0; სპალ — ლუმეცანე 1:1; ტრიესტინა — ვარეზე 1:1

## სერია C1/b

მე-16 ტური: ასკოლი — ჯულიანოვა 1:1; დი სანგრო — კატანია 2:1; კიეტი — ვიტერბეზე 0:1; აკილა — ბენევენტო 1:1; ლანჩანო — ფერმანა 1:1; ტორესი — ნოჩერინა 3:0; ტარანტო — სორა 2:0; პეზარო — პესკარა 1:1. აველინო — ლოდიჯანი გადაიდო

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 კიევო | 14 | 9 | 2 | 3 | 28:16 | 12 | 29 | 6 | 6 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 14:13 | 1 | 11 |
| 2 რომა | 14 | 8 | 5 | 1 | 21:9 | 12 | 29 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 |
| 3 ინტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 25:14 | 11 | 28 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:8 | 6 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 11:6 | 5 | 13 |
| 4 იუვენტუსი | 14 | 6 | 6 | 2 | 22:12 | 10 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:8 | 9 | 17 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 5 ლაციო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:10 | 9 | 23 | 7 | 4 | 3 | 0 | 12:1 | 11 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 6 მილანი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:16 | 6 | 23 | 7 | 3 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 0 | 10 |
| 7 ბოლონია | 14 | 7 | 2 | 5 | 11:12 | -1 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 7 |
| 8 ვერონა | 14 | 6 | 4 | 4 | 21:19 | 2 | 22 | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 5 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 9 ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 20:24 | -4 | 20 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 10 |
| 10 უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 23:24 | -1 | 18 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:8 | 3 | 10 |
| 11 ბრეშა | 14 | 4 | 5 | 5 | 19:24 | -5 | 17 | 7 | 2 | 4 | 1 | 14:13 | 1 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 7 |
| 12 პიაჩენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 18:19 | -1 | 15 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:8 | 2 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 6 |
| 13 ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 16:20 | -4 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 2 | 9 | 8 | 0 | 5 | 3 | 7:13 | -6 | 5 |
| 14 ლეჩე | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | -6 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:14 | -7 | 5 |
| 15 პერუჯა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:18 | -6 | 13 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 4 | 12 | 7 | 0 | 1 | 6 | 4:14 | -10 | 1 |
| 16 ფიორენტინა | 14 | 4 | 1 | 9 | 16:29 | -13 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 8:20 | -12 | 3 |
| 17 პარმა | 14 | 2 | 5 | 7 | 15:23 | -8 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 9 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:13 | -8 | 2 |
| 18 ვენეცია | 14 | 1 | 4 | 9 | 8:21 | -13 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:17 | -12 | 1 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 12 |
| დონი (ატალანტა) | 11 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| მუცი (უდინეზე) | 10 |
| მარაცინა (კიევო) | 9 |

## გადადებული VI ტური

20 დეკემბერი

ატალანტა - მილანი
ბოლონია - უდინეზე
კიევო - ლაციო
ფიორენტინა - იუვენტუსი
ინტერი - ვერონა
ლეჩე - პერუჯა
რომა - ბრეშა
ტორინო - პარმა
ვენეცია - პიაჩენცა

# იტალიის ჩემპიონატი

## მეთხუთმეტე ტურის მატჩი

## რომა 1:0 მილანი

კახა კალაძე სათადარიგო იყო

# კოლინამ არ ჩათვალა

„სტადიო ოლიმპიკოდან" გამომავალ მიმომხილველთა დიდ ნაწილს ისეთი შთაბეჭდილება გამოჰყოლია, თითქოს იტალიის ჩემპიონის თამაში მაინცდამაინც საჩემპიონო არ ყოფილა, მაგრამ გამარჯვებით გაიმარჯვა და ამ სამ ქულას კაცი ვერ დააყვედრისო. აქ მარტივ ლოგიკას იშველიებენ: თითებზე დათვლამ აჩვენა, რომ „რომამ" „მილანის" კართან უფრო მეტი სახიფათო მომენტი შექმნა, ვიდრე „მილანმა" „რომას" კართანო.

ასე და ამგვარად (საპირისპირო მოსაზრების მქონეთ სრული უფლება აქვთ მიმომხილველებს არ დაეთანხმონ), „მილანმა" წააგო და წააგო პირველად მას მერე, რაც მწვრთნელის თანამდებობაზე კარლო ანჩელოტიმ თურქი ფათიჰ თერიმი შეცვალა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ პირველი ტაიმის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გაიტანა და რაგინდ უცნაურად, თუგინდ სენსაციურადაც კი გეჩვენოთ, მიზეზი პაოლო მალდინის შეცდომა გახლდათ — მალდინიმ ლემეტრიო ალბერტინის ისეთი პასი მისცა, რომაელმა ასუნსაოდ რომ ჩაჭრა და ბურთი ტოტის გადააწოდა. შემდეგ ტოტიმ დაარტყა, „მილანის" კიდევ ერთმა [illegible]ველმა, ხოსე ანტონიო შამოტმა ბურთის მიმართულება უცვალა, ბურთმაც ერთი სკუპით ზედმეტი მოინდომა, „შავ-წითელთა" მეკარე კრისტიან აბიატი გააწბილა და ბადეში შევარდა.

საგანგებოდ კიდევ ერთი მომენტი გამოვარჩიოთ. მეორე ტაიმში ბრაზილიელმა როკე ჟუნიორმა ესპანელ ხოსე მარის გადააწოდა ბურთი, ამან თავური დაარტყა, გოლი გაიტანა, მაგრამ ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ არ ჩათვალა — როკე ჟუნიორს, მისი აზრით, ბურთის ჩაწოდებამდე ხელით უთამაშია, რაც გულწრფელად რომ ვთქვათ, არ მომხდარა. რა გაეწყობა, შეცდომებისგან თვით კოლინაც არ არის დაზღვეული.

მატჩის შემდგომ „რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა: „ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა, მოწინააღმდეგეს ვაჯობეთ და საგოლე მომენტებიც შევქმენით. გამარჯვების მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ბიჭები საკუთარ შესაძლებლობებში სრულიად არიან დარწმუნებულნი".

არჩათვლილ გოლზე კაპელომ ასე ბრძანა: „ვგონებ, მსაჯი მართალი იყო. მისი კრიტიკა უსამართლო და აბსურდულია".

კარლო ანჩელოტი, „მილანის" თავკაცი: „როცა მსაჯი კოლინაა, ჩვენ არ გვიმართლებს. იმ ეპიზოდში მე წესის დარღვევა ვერ შევნიშნე, თამაშის ბედი კი „რომას" შემართებამ გადაწყვიტა".

კარლო ვახსენეთ და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს კარლო (კახა) კალაძეს ამ შეხვედრაში არ უთამაშია.

**ბაჩუნა ძიდია**



ფრანჩესკო ტოტის (მარჯვნივ) დარტყმულს როკე ჟუნიორმა ვერ მიუსწრო

## თურქეთი

მე-16 ტური: ფენერბაჰჩე — ბურსა 3:1; რიზე — ისთანბული 1:1; გაზიანთეფი — იოზგათი 3:2; გიოზთეფე — ბეშიქთაში 0:6; გენჩლერბირლიგი — ტრაბზონი 1:1; მალათია — დიარბაქირი 0:3; ანთალია — სამსუნი 1:1; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 3:4. გალათასარაი — ქოჯაელი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 11 | 2 | 2 | 38:19 | 35 |
| ფენერბაჰჩე | 16 | 11 | 1 | 4 | 35:17 | 34 |
| ბეშიქთაში | 16 | 10 | 3 | 3 | 42:22 | 33 |
| გაზიანთეფი | 16 | 8 | 4 | 4 | 24:16 | 28 |
| ისთანბული | 16 | 8 | 3 | 5 | 15:14 | 27 |
| ანკარაგიუჯიუ | 16 | 8 | 2 | 6 | 39:27 | 26 |
| ბურსა | 16 | 8 | 2 | 6 | 22:25 | 26 |
| ტრაბზონი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:21 | 22 |
| ქოჯაელი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:20 | 22 |
| გიოზთეფე | 16 | 5 | 5 | 6 | 13:27 | 20 |
| დენიზლი | 16 | 4 | 6 | 6 | 29:23 | 18 |
| რიზე | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| დიარბაქირი | 16 | 5 | 3 | 8 | 26:31 | 18 |
| ანთალია | 16 | 4 | 5 | 7 | 23:35 | 17 |
| იოზგათი | 16 | 4 | 3 | 9 | 21:29 | 15 |
| სამსუნი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:25 | 15 |
| გენჩლერბირლიგი | 16 | 2 | 6 | 8 | 23:34 | 12 |
| მალათია | 16 | 4 | 0 | 12 | 12:34 | 12 |

## საბერძნეთი

მე-10 ტური: ქსანთი — პანიონიოსი 3:1; აეკ — არისი 4:2; ეგალეო — ეთნიკოსი 1:0; პანაჰაიკი — ირაკლისი 1:1; იონიკოსი — პანათინაიკოსი 0:2; აკრატიტოსი — ოლიმპიაკოსი 2:3; პაოკ — ოფი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 10 | 9 | 0 | 1 | 25:7 | 27 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 6 | 4 | 0 | 26:12 | 22 |
| ქსანთი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:11 | 18 |
| პაოკ | 10 | 5 | 3 | 2 | 17:13 | 18 |
| არისი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:11 | 16 |
| პანათინაიკოსი | 10 | 4 | 3 | 3 | 23:12 | 15 |
| ოფი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:13 | 14 |
| ირაკლისი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| ეთნიკოსი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| პანიონიოსი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:21 | 10 |
| აკრატიტოსი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:14 | 9 |
| პანაჰაიკი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:23 | 6 |
| იონიკოსი | 10 | 0 | 5 | 5 | 7:17 | 5 |
| ეგალეო | 10 | 1 | 2 | 7 | 12:25 | 5 |

## ბელგია

თასის მერვედფინალი

**ბევერსხოტი 0:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 ვერკანსი (29)

**გენკი 2:1დ.დ. (1:1) ვესტერლო**

0:1 სმიტსი (10), 1:1 სონკი (41), 2:1 სკოკო (102)

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XVIII ტური

**ფეიენოორდი 0:0 პსვ ეინდჰოვენი**

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ფაბერი, ჰაინცე, ვან ბომელი, ლუსიუსი, ბუმა (ბახოპიძე 85), რომედალი, ბრუგინკი (ა. რამზი 26), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

მსაჯი: ლუინგე

43 000 მაყურებელი

**ნაიმეგენი 1:0 ჰერენვენი**

1:0 კლომპე (77ს.პ.)

**გრონინგენი 2:2 უტრეხტი**

1:0 დრენტე (8), 1:1 იოკემსენი (59), 1:2 გლუშკევიჩი (62), 2:2 ჰოოგსტრეიტი (86)

**ვალვაიკი 1:1 სპარტა**

0:1 ბუხარი (11), 1:1 ჰუგენდორპი (58)

**დენ ბოსხი 4:1 ვიტესი**

1:0 ვან დერ ეიდე (42), 1:1 კრეეკე (44), 2:1 ვან დერ ეიდე (60), 3:1 მურადი (82), 4:1 დეკერსი (90)

**გრააფსხაპი 1:1 ტილბურგი**

1:0 ვან-დერ ჰაარი (66), 1:1 სეკტიუ (72)

**როდა 1:1 აიაქსი**

1:0 ანასტასიუ (23პ), 1:1 ქნოპერი (69)

**ტვენტე 0:0 ალკმაარი**

**სიტარდი 2:3 ბრედა**

0:1 ბობსონი (14), 0:2 სერჟიო (20), 1:2 ვოლმერი (31პ), 2:2 ჰამინგი (56), 2:3 პეტო (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 11 | 2 | 3 | 36:11 | 35 |
| აიაქსი | 16 | 10 | 3 | 3 | 36:19 | 33 |
| პსვ | 18 | 9 | 4 | 5 | 32:23 | 31 |
| ბრედა | 18 | 9 | 4 | 5 | 33:27 | 31 |
| ჰერენვენი | 17 | 8 | 5 | 4 | 29:13 | 29 |
| ვიტესი | 17 | 8 | 5 | 4 | 19:15 | 29 |
| უტრეხტი | 17 | 8 | 4 | 5 | 34:23 | 28 |
| ვალვაიკი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:20 | 27 |
| დენ ბოსხი | 17 | 5 | 7 | 5 | 28:25 | 22 |
| ნაიმეგენი | 18 | 6 | 4 | 8 | 14:30 | 22 |
| ტილბურგი | 18 | 4 | 9 | 5 | 27:29 | 21 |
| ალკმაარი | 18 | 6 | 3 | 9 | 19:23 | 21 |
| როდა | 18 | 5 | 4 | 9 | 18:26 | 19 |
| გრონინგენი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:31 | 19 |
| სპარტა | 18 | 4 | 7 | 7 | 18:34 | 19 |
| გრააფსხაპი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:33 | 18 |
| ტვენტე | 17 | 3 | 8 | 6 | 17:22 | 17 |
| სიტარდი | 17 | 2 | 3 | 12 | 16:40 | 9 |

II დივიზიონი

მე-18 ტური: ოსი — ჰერაკლესი 1:2; ჰაარლემი — კამბური 2:0; ექსელსიორი — ტელსტარი 1:1; დენ ჰააგი — დოორდრეხტი 0:1; როზენდალი — იგლსი 0:1; ზვოლე — მაასტრიხტი 1:0; ვეენდამი — ვენლო 1:3; ემენი — ვოლენდამი 1:0; ჰელმონდი — ეინდჰოვენი 3:0

## პორტუგალია

I ლიგა. XV ტური

**ლეირია 2:1 ჟილ ვისენტე**

1:0 სილასი (19), 2:0 დერლეი სილვა (75), 2:1 ჰაულუ ალვეში (78)

**ბელენენსეში 2:1 გიმარაეში**

1:0, 2:0 მარკაუ (7, 37), 2:1 სუარეში (75)

**სალგეირუში 2:1 მარიტიმუ**

0:1 დანი (44), 1:1 ჟოაუ პედრუ (57), 2:1 ლიტერა (67პ)

**ბეირა მარი 0:1 სანტა კლარა**

0:1 მინერ გარსია (75)

**ალვერკა 1:0 ფარენსე**

1:0 რ. რამირესი (40პ)

**სეტუბალი 1:3 ფერეირა**

0:1, 0:2 ზე მანუელი (44, 53), 0:3 ლეონარდუ (67), 1:3 უგო ენრიკე (90)

**პორტუ 0:0 ბრაგა**

**ვარზიმი 0:2 ბოავიშტა**

0:1 ელპიდიუ სილვა (16), 0:2 მარტელინიუ (77)

**ბენფიკა 2:2 სპორტინგი**

1:0 სიმაო (11), 2:0 ზაჰოვიჩი (55), 2:1, 2:2 ჟარდელი (85პ, 88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 35:12 | 30 |
| პორტუ | 15 | 9 | 2 | 4 | 27:12 | 29 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 2 | 4 | 26:12 | 29 |
| ბენფიკა | 15 | 7 | 7 | 1 | 25:16 | 28 |
| ლეირია | 15 | 6 | 6 | 3 | 27:14 | 24 |
| ბელენენსეში | 15 | 7 | 3 | 5 | 21:21 | 24 |
| გიმარაეში | 15 | 6 | 4 | 5 | 16:16 | 22 |
| მარიტიმუ | 15 | 7 | 0 | 8 | 19:18 | 21 |
| ბრაგა | 15 | 5 | 5 | 5 | 18:12 | 20 |
| ფერეირა | 15 | 5 | 5 | 5 | 20:25 | 20 |
| სანტა კლარა | 15 | 5 | 4 | 6 | 12:18 | 19 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 5 | 3 | 7 | 18:25 | 18 |
| ბეირა მარი | 15 | 4 | 5 | 6 | 26:26 | 17 |
| სალგეირუში | 15 | 5 | 2 | 8 | 14:33 | 17 |
| სეტუბალი | 15 | 4 | 4 | 7 | 18:19 | 16 |
| ალვერკა | 15 | 4 | 3 | 8 | 19:29 | 15 |
| ფარენსე | 15 | 4 | 3 | 8 | 11:22 | 15 |
| ვარზიმი | 15 | 2 | 3 | 10 | 10:32 | 9 |

II ლიგა

მე-15 ტური: ოლივეირენსე — რიუ ავე 0:3; ოვაირენსე — ლამაში 0:1; ნაციონალი — მაჲეში 0:1; ფელგეირაში — ავეში 1:1; მორეირენსე — აკადემიკა 2:0; ამადორა — ნასიონალი 3:1; კამპომაიორენსე — მაია 1:3; პორტიმონენსე — ლეცა 1:0; პენაფიელი — ესპინიუ 0:1

# დანდის ციხე

## შოტლანდია

XIX ტური

**სელტიკი 3:1 დანდი**

0:1 ფან ჟი (19), 1:1 სატონი (50), 2:1 ლარსონი (56), 3:1 ჰართსონი (65)

დანდი: ლენგფილდი, ხიზანიშვილი (სმიტი 55), ფან ჟი, დელ რიო, არტერო (კარანსა 61), რავეტორესი, ძიგბაია, ბეგეტო, კაბალიერო, სარა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

57 198 მაყურებელი

**დანდი იუნაიტედი 1:1 აბერდინი**

1:0 იუსტონი (30), 1:1 ვინტერსი (57პ)

**დანფერმლაინი 1:0 ჰიბერნიანი**

1:0 ნიკოლსონი (74)

გაძევება: ლუნა (29, ჰიბერნიანი)

**ჰართსი 2:0 კილმარნოკი**

1:0 საიმონსი (9პ), 2:0 ფულერი (25)

**ლივინგსტონი 2:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 ჰარტლი (48), 1:1 ფერნანდესი (53), 2:1 ლაუნდერი (80)

**მოზერუელი 2:2 რეინჯერსი**

1:0 ლესლი (16), 1:1 არველაძე (38), 1:2 დე ბური (63), 2:2 კელი (81პ)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ვილმარი, ნუმანი, კონტერმანი, ფერგიუსონი, მაკკანი, ლატაპი (ჰიუზი 46), დე ბური, შ. არველაძე (კანიჯა 86)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაძევება: მური (90)

9 894 მაყურებელი

„ზურამ მუხლი დაიშავა, მაგრამ რამდენად სერიოზულად, ჯერ არ ვიცით. ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენ ხიზანიშვილს ბოლონიაში გამგზავრებას ვურჩევთ — იქ ყველაფერს დაადგენენ" — „დანდის" იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი, როგორც ჩანს, მხოლოდ თვისტომ ექიმებს ენდობა, ხიზანიშვილმა კი ტრავმა 55-ე წუთზე მიიღო და გამოსაცვლელი შეიქნა. სწორედ ამ დროს დაინგრა დანდური დაცვის კედელიც — 10 წუთში „სელტიკი" უკვე 3:1-ს იგებდა.

არადა, შესვენებაზე სტუმრები კარგ ხასიათზე ჩავიდნენ გასახდელში. ანგარიშიც მიჰყავდათ და თამაშითაც სჯობდნენ ლიდერებსა და, აწ უკვე თამამად ვიტყვით, მომავალ ჩემპიონებს. ერთი სახიფათო მომენტი რაა, ისიც კი არ შექმნილა ჯეიმი ლენგფილდის კართან. სამაგიეროდ, ამის კოლეგა რობ დუგლასი იყო გახვითქული: ჯერ ქეცბაიას 35-მეტრიანი პასით მომარაგებული არტეროს დარტყმა მოიგერია კუთხურზე, მერე კაბალიეროსი, ბოლოს კი გევინ რაეს უძლიერეს გასროლასაც შესწვდა. მოკლედ, ონილის გუნდი მეკარეს უნდა უმადლოდეს, რომ ჩინელი ფან ჟის გოლი ტაიმში ერთადერთი გამოდგა — დაცვაში ხიზანიშვილის მეწყვილემ თავისი პირველი შოტლანდიური გოლით „სელტიკ პარკს" შოკი მოჰგვარა, მშობლიური შანხაი კი, სადაც მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია მიდიოდა, მთლად ყირაზე დააყენა.

მთავარია, მეორე ტაიმის საწყის შტურმს გავუძლოთო — დაახლოებით ასე მსჯელობდნენ ბონეტი და მისი შეგირდები შესვენებისას, მაგრამ ეს საფრთხე თავიდან მაინც ვერ აიცილეს: ოთხ წუთში სატონმა უთავა ზუსტად, კიდევ ხუთ წუთში ზურა დაშავდა და სანამ მისი შემცვლელი სმიტი თავის ადგილს იპოვიდა, გლაზგოელები შვედმა სუპერმეგოლემ დააწინაურა, კიდევ ხუთ წუთში კი სტადიონი წყვდიადში მოექცა — იქაურ თელასს 20 წუთი დასჭირდა პრობლემის მოსაგვარებლად, „სელტიკს" კი მორიგი სასტარტო შტურმის საშუალება მიეცა. შანსი ჯონ ჰართსონმა გამოიყენა.

„ჩვენ ყველას ვუჩვენეთ, რომ დიდ გუნდებთან ღირსეული თამაში შეგვიძლია" — თქვა ბონეტიმ და მას ლიდერთა თავკაცი მარტინ ონილიც დაეთანხმა.

ირლანდიელ ონილს რა უჭირს — ზედიზედ 14 მატჩი მოიგო და უახლოეს მდევარს (ამას თუ მდევარი ჰქვია) უკვე 13 ქულით უსწრებს. აი, ალექს ფერგიუსონის აღზრდილ ალექს მაკლიშს კი მძიმე დღეები უდგას: „რეინჯერსის" თავკაცად დანიშვნის მეექვსე დღეს მისმა ახალმა გუნდმა „მოზერუელი" ვერ დაამარცხა. ორი ქულა სტუმრებმა მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე დაკარგეს, როცა ფერნანდო რიკსენმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი დევიდ კელიმ შეაგდო.



შოთა არველაძემ მეექვსე სქოთური გაიტანა

თავისი გოლი გაიტანა შოთა არველაძემაც. ქართველმა ამჯერად ოთხი მეტრიდან იხეირა და ანგარიში გაათანაბრა. მერე რონალდ დე ბურმაც გამოიჩინა თავი, მაგრამ ეს მხოლოდ ქულის მოსაპოვებლად აღმოჩნდა საკმარისი.

უარესი დებიუტი ჰქონდა „ჰიბერნიანში" მაკლიშის ნაცვლად დანიშნულ ფრენკ სოზეს. წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის გუნდმა „დანფერმლაინთან" 0:1 წააგო, თუმცა ექვსეულში მოხვედრის შანსი ჯერ არ დაუკარგავს.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 18 | 17 | 1 | 0 | 44:7 | 52 |
| რეინჯერსი | 19 | 11 | 6 | 2 | 42:15 | 39 |
| ლივინგსტონი | 18 | 10 | 6 | 2 | 28:13 | 36 |
| აბერდინი | 19 | 9 | 3 | 7 | 29:28 | 30 |
| კილმარნოკი | 19 | 7 | 3 | 9 | 20:23 | 24 |
| დანდი | 19 | 6 | 5 | 8 | 19:28 | 23 |
| დანდი იუნ. | 19 | 5 | 7 | 7 | 20:32 | 22 |
| ჰართსი | 19 | 6 | 3 | 10 | 23:26 | 21 |
| ჰიბერნიანი | 19 | 5 | 5 | 9 | 26:30 | 20 |
| დანფერმლაინი | 19 | 6 | 2 | 11 | 23:37 | 20 |
| მოზერუელი | 19 | 4 | 6 | 9 | 23:36 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 2 | 3 | 14 | 13:35 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფლო (რეინჯერსი) | 13 |
| ლარსონი (სელტიკი) | 12 |
| უინტერსი (აბერდინი) | 9 |
| ზერუალი (აბერდინი) | 8 |
| ჰართსონი (სელტიკი) | 8 |
| **არველაძე** (რეინჯერსი) | 6 |
| დ. კელი (მოზერუელი) | 6 |

### პირველი დივიზიონი

მე-19 ტური: ერდრი — რეით როვერსი 1:1; კლაიდი — ინვერნესი 1:0; ფოლკირკი — ეარი 0:2; პარტიკ თისლი — სტ. მირენი 1:0; როს ქაუნთი — არბროთი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერდრი | 19 | 11 | 7 | 1 | 39:15 | 40 |
| პარტიკ თისლი | 19 | 11 | 4 | 4 | 35:20 | 37 |
| სტ. მირენი | 19 | 7 | 6 | 6 | 23:25 | 27 |
| კლაიდი | 19 | 7 | 5 | 7 | 25:34 | 26 |
| ეარი | 19 | 7 | 4 | 8 | 30:29 | 25 |
| ფოლკირკი | 19 | 7 | 4 | 8 | 32:35 | 25 |
| არბროთი | 19 | 8 | 1 | 10 | 23:38 | 25 |
| ინვერნესი | 19 | 7 | 2 | 10 | 37:33 | 23 |
| როს ქაუნთი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:29 | 20 |
| რეით როვერსი | 19 | 3 | 7 | 9 | 29:36 | 16 |

### მეორე დივიზიონი

მე-17 ტური: ალოა — ქუინ ოფ საუთ 2:0; ბერიკი — ფორფარი 1:1; მორტონი — ჰამილტონი 1:1; სტენჰაუზმური — ქოუდენბითი 0:3; სტრენრარი — კლაიდბენკი 0:1

### მესამე დივიზიონი

მე-17 ტური: დამბარტონი — ისტ ფაიფი 1:0; მონტროუზი — ელგინი 0:2; პიტერჰედი — ალბიონი 0:0; ქუინზ პარკი — სტირლინგი 2:2

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მიმდინარე რეალობა

## ესპანეთი

### XVII ტური

### რეალი 3:1 სოსიედადი

0:1 ხოხლოვი (39), 1:1 კვარმე (45ს.კ.), 2:1 რაული (60), 3:1 ფიგუ (78პ)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ი. ელგერა (გუტი 85), მაკელელე (სელადესი 82), ფიგუ (მუნიტისი 89), ზიდანი, რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე (გურუსეტა 71), არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ტაიფური, დე პედრო (ხაბილონდო 64), ხოხლოვი, იდიაკესი, იანკაუსკასი (დე პაულა 76)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: იდიაკესი, სალგადო, ტაიფური
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
52 712 მაყურებელი

### ვილიარეალი 0:1 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (39)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, გალვანი (ხავი როჩა 50), კიკე ალვარესი, უნაი, გალკა, გრასია (ქსკუდა 68), ხორხე ლოპესი, კალეხა (კიკე მარტინი 53), კრაიოვეანუ, ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, კრისტენვალი, კოკო, პუიოლი, ხავი, კოკუ (სერხი 84), როჩემბაკი (ოვერმარსი 60), გაბრი, სავიოლა (ხერარდი 49), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ხავი, ხავი, როჩემბაკი, ხავი როჩა, ბონანო
გაძევება: ხავი (43)
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
22 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:3 ვალენსია

1:0 პალენსია (23), 2:0 ალექს ფერნანდესი (43), 2:1, 2:2 რუფეტე (58, 62), 2:3 ილიე (65)
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, ლობო, სოლდევილა, დავიდ გარსია, მორალესი (ველამასანი 64), პალენსია (ვატესი 69), ალექს ფერნანდესი, როხერი (აგანსო 83), მარტინ პოსე, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ფაბიო აურელიო, აიალა, კურრო ტორესი, ალბელდა, ვისენტე, რუფეტე (ბარახა 75), აიმარი (სალვა 46), ა. ილიე (ანგლომა 81), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: პელეგრინო, ვატესი, ილიე, აიალა, პელეგრინო
გაძევება: პელეგრინო (90)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
7 900 მაყურებელი

### ბილბაო 1:1 რაიო ვალეკანო

0:1 მიჩელი (72), 1:1 ურსაისი (78)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ოსკარ ვალესი, აიტორ ოკიო (მურილიო 46), ურუტია (ი. გერერო 77), იესტე (ხ. ეჩებერია 67), ხავი გონსალესი, ალკისა, ტიკო, ესკერო, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი, დე კინტანა, კორინო, მაინსი, მიჩელი, კვედო, პაბლო სანსი, პერაგონი, ბოლო (ბოლიჩი 83), ბალიჩი (ელდერი 82)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: პერაგონი, ხავი გონსალესი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
35 000 მაყურებელი

### ბეტისი 1:0 მალიორკა

1:0 ჟოაუ ტომასი (45პ)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, რივასი, კაპი, იტო, დენილსონი, ხოაკინი (ბელენგერი 78), ბენჯამინი (კანიასი 69), ვარელა, ჟოაუ ტომასი (ამატო 84)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, სოვიერო (ფერნანდო ნინიო 31), ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, ნოვო (კარლოსი 67), მარკოსი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 74), ეტოო, ლუკე
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
გაფრთხილება: ფერნანდო ნინიო, კამპანო, ბენჯამინი, კაპი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
30 000 მაყურებელი

### სელტა 2:0 სარაგოსა

1:0 კატანია (5), 2:0 გუსტავო ლოპესი (75)
სელტა: კავალიერო, კასერესი, ხუანფრანი, კოირა, იაგო, მოსტოვოი, ედუ, ხესული (სილვინიო 86), ლუქსენი, ვაგნერი (დორივა 80), კატანია (გუსტავო ლოპესი 66)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, სუნდგრენი, პაკო ხემესი, ესკურდინია, არაგონი (კორონა 68), ველისკა (მარკოს ვალესი 68), შაინიუ, აკუნია, იორდი, გალეტი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: არაგონი, ვაგნერი, ლუქსენი, ესკურდინია, სუნდგრენი, პაკო ხემესი, სილვინიო
მსაჯი: მეია დავილა
20 000 მაყურებელი

### ალავესი 0:1 სევილია

0:1 კასკერო (84)
ალავესი: ერერა, კოლოჩინი, ტელიესი, კ. კანოლორენსი, პაბლო, კრუიფი (კარმონა 69), ასტუდილიო, ტურიელი (იბონ ბეგონია 53), რუბენ ნავარო, მაგნო (ვიჩგე 83)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი, ფრანსისკო, ტომასი, კასკერო, გალიარდო (ალფონსო 90), მოიზესი (პრიეტო 90), რეიესი (ვიქტორ სალასი 63)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ნიეგესი, ერერა, ხავი ნავარო, ტომასი, პაბლო, ვიქტორ სალასი
გაძევება: ტელიესი (67)
მსაჯი: პინო სამორანო
14 756 მაყურებელი

### მალაგა 1:1 დეპორტივო

1:0 დარიო სილვა (32), 1:1 ნაიბეტი (78)
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლიტუში, როტეტა, მიგელ ანხელი, ფერნანდო სანსი, ხოსემი, მუსამპა, რომერო, ხერარდო, დელი ვალესი (კანაბალი 81), დარიო სილვა (სანდრო 70)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, დონატო, ექტორი, მაურო სილვა (ელდერი 75), ფრანი (ამავისკა 59), სერხიო (ხოსე მანუელი 63), ვალერონი, მაკაი, ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ნაიბეტი, მიგელ ანხელი, ხოსე მანუელი, რომერო, როტეტა, მოლინა
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
14 000 მაყურებელი

### ლას პალმასი 1:1 ოსასუნა

0:1 არმენტანო (28), 1:1 რუბენი (88)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუი, ხოსიკო (ტევენეტი 46), სემვისი, ხაიო (სარასუა 37), ედუ ალონსო, ხორხე, პაბლო ლაგო, ორლანდო (სეკეიროსი 59), რუბენი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ოსასუნა: უნსუე, იანგუსი (ლეკუმბერი 23), კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო კონტრერასი, ისკიერდო, პალასიოსი, პუნიალი, განსელო, არმენტანო (ივან როსადო 88), ალოიზი (საბინო 59)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ტევენეტი, კრუჩაგა, ედუ ალონსო, პუნიალი, პაბლო კონტრერასი
მსაჯი: პერეს ლასა
14 924 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 0:0 ტენერიფე

ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, სანტამარია, ტორეს გომესი, ტენა, ფერნანდო სალესი (ოსკარი 83), ფერნანდო, ტოტე (ტურუ ფლორესი 71), ბლანკო, ლუის გარსია (ეუსებიო 64)
მწვრთნელი: პეპე მორე
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი, ხავი ვენტა, დავიდ ჩარკოსი, ბასავილბასო, მანელი, მარტი, ივან ანია (ხაიმე 76), მარიონი, უგო მორალესი (ბინუ 58), ხისკო (ბერმუდო 88)
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
გაფრთხილება: პენია, ტენა, ფერნანდო, მანელი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
11 000 მაყურებელი



REUTERS მადრიდიდან

რეალი — სოსიედადი. ფერნანდო მორიენტესმა მოხდენილად გაისროლა

**„რეალ სოსიედადმა"** მადრიდში კარგად ითამაშა — თითქმის უშეცდომოდ ანუ მთელი მატჩის განმავლობაში სულ სამჯერ შეცდა. კაცმა რომ თქვას, რაა სამი შეცდომა 90 წუთში, თუმცა „რეალის" დონის მეტოქე თუ გყავს, რომელსაც შეცდომების პატიება არ უყვარს, ძალიან ბევრიც არის.

ბასკებმა მასპინძლები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და დმიტრი ხოხლოვის გარჯით ანგარიშიც გახსნეს. პირველი ტაიმის დასრულებას ბევრიც არაფერი უკლდა და სანსებასტიანელები კარგ გუნებაზე უნდა გასულიყვნენ შესვენებაზე. ამ დროს კი, ტაიმის ბოლო წუთზე, სეზონის წინ ნაყიდმა ნორვეგიელმა ბიორნ ტორნე კვარმემ მოიქნია და საკუთარი კარი დალაშქრა. სტუმრებს ხასიათი წაუხდათ და რაკი ბუნებაში არაფერი იკარგება, მასპინძლებს გამოუკეთდათ.

მეორე ტაიმში კიდევ ორი შეცდომა და ჯერ რაულმა, მერე კი ფიგუმ თერთმეტმეტრიანით „სოსიედადს" თავისი ადგილი მიუჩინეს. პენალტი კი ზინედინ ზიდანის წაქცევისთვის დაინიშნა.

„ფეხბურთი ჭკვიანური თამაშია, „რეალი" კი ჭკვიანი გუნდი. თუნდაც რაულის გოლი გავიხსენოთ — თუ ვერ აზროვნებ, ასეთ ბურთს ვერ შეაგდებ" — თქვა ჯონ ტოშაკმა ყოფილ შეგირდზე, როცა მან ფეხებს შორის გაუძვრინა ბურთი ბასკთა მეკარეს.

ვიტორიაში გარღატეხა 67-ე წუთზე მოხდა, როცა მასპინძლებს ოსკარ ტელიესი გაუძევეს და „სევილია" შეტევაზე გადავიდა. თხუთმეტ წუთში სტუმართა იერიშებს გოლი მოჰყვა — ფრანსისკო კასკერომ ფრანსისკო გალიარდოს პასით შეაგდო და ვინ იცის, იქნებ შეშინდა კიდეც — გალიარდო ხომ ის კაცია, თანაგუნდელებს გოლის გატანას ფეხებს შორის კბენით რომ ულოცავს.

ამგვარად, „რეალი" — „სოსიედადისა" და „ალავესი" — „სევილიას" მატჩების დასრულების შემდეგ ცხრილში გადანაცვლება მოხდა: დედაქალაქელები ლიდერად იქცნენ, ბასკები კი მესამემდე დაქვეითდნენ. ერთ დროს მეჩვიდმეტე ადგილზე მყოფ „რეალის" მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ მეჩვიდმეტე ტურისა და ზედიზედ ხუთი გამარჯვების მერე განაცხადა: „პირველ ადგილზე კიდევ დიდხანს ვიქნებით".

„ვალენსიას" ამ სეზონში სტუმრად თამაში არ მოეგო, ბარსელონაში „ესპანიოლი" კი სულაც თორმეტი წელი ვერ დაეჯაბნა. რაფაელ ბენიტესს ბლომად ფეხბურთელებიც აკლდა და მოკლედ, ყველა წინაპირობა არსებობდა, რათა „ვალენსიას" ამ ტურშიც წაეფორხილა.

ყველაფერი აქეთკენაც მიდიოდა, პირველი ტაიმი მასპინძლებმა 2:0 მოიგეს, მერე კი... რა მოხდა მერე, მეორე ტაიმის შვიდწუთიან მონაკვეთში, ესპანიოლელები ვერ ხსნიან, ამიტომ მშრალი აღწერით დავკმაყოფილდეთ — ფრანსისკო რუფეტეს დუბლს ადრიან ილიემ მესამე დაამატა და „ვალენსიამ" მოიგო.

რივალდოზე, რომელსაც ამ სეზონში ტრავმიანობა დაებედა, კარლოს რექსაჩმა თქვა, სანამ სრულად არ მომჯობინდება, არ ვათამაშებ, ვშიშობ, ტრავმა არ გაუმ[illegible]ზეზღვსო. ურივალდო „ბარსელონა" კი მეორე ტაიმში მეტ დროს ვილიარეალელთა [illegible] ბდა. [illegible] [illegible] გააკეთა — პატრიკ კლუივერტს მატჩის ერთადერთი გოლი გაატანინა.

„რეალ ბეტისი" როგორც იყო მეორე ადგილზე, ისევე დარჩა. სევილიელებმა ამისთვის მადლობა მსაჯს უნდა გადაუხადონ, საეჭვო პენალტით რომ დააჯილდოვა — მალიორკელმა ფერნანდო ნინიომ საჯარიმოში ხელით ითამაშაო. ისე, პენალტი კი იყო საეჭვო, მაგრამ „ბეტისის" გამარჯვება მაინც დამსახურებული გახლდათ, რაკი კუნძულელებს მასპინძელთა კართან ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ.

სამაგიეროდ, სრულიად დამსახურებული პენალტი ვერაფერში წაადგა „სარაგოსას" — სანტი არაგონს ვიგოელმა მეკარე პაბლო კავალიერომ აუღო. დავუშვათ, გაეტანა, მერე? არაფერი შეიცვლებოდა, „სელტა" 2:0-ის ნაცვლად 2:1 მოიგებდა, ეს არის და ეს. გოლები კი დიეგო კატანიამ და გუსტავო ლოპესმა გაიტანეს.

ბილბაოს „ატლეტიკმა" წაუგებელი სერია ცხრა მატჩამდე გაზარდა, თუმც კი დიდი წვალებით — ჯერ იყო და, ბოლოადგილოსან „რაიო ვალეკანოს" კარს ვერაფრით ლაშქრავდა, მერე საკუთარ კარში მიიღო გოლი და რომ არა ისმაელ ურსაისი, სამარცხვინოდ წააგებდა.

„დეპორტივომ" კი, როგორც იქნა, ოთხმატჩიანი სტუმრად წაგებათა სერია გვიანი გოლით შეწყვიტა. ხუან კარლოს ვალერონმა მალაგელ მცველებს ბურთი ზემოდან გადაუგდო და მცველმა ნურედინ ნაიბეტმა შეძლო ის, რაც დიეგო ტრისტანმა და ლაკორუნიელთა სხვა წინახაზელებმა ვერ მოახერხეს. მალაგელთაგან კი მათმა საუკეთესო თავდამსხმელმა, დარიო სილვამ გახსნა ანგარიში.

„ვალიადოლიდს" აქამდე ზედიზედ სამი მატჩი მოეგო შინ, მეოთხეს კი ვერ შესწვდა. მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, საკუთარ საჯარიმოსთან კი მშვიდად იყვნენ, რაკი მეტოქე „ტენერიფეს" პრიმერადივიზიონში ყველაზე სუსტი თავდასხმა ჰყავს. მაგრამ რად გინდა, ერთადერთი გოლი, რომლის ავტორიც მე-80 წუთზე კვატემოკ ბლანკო იყო, თამაშგარედან გატანილი აღმოჩნდა, მეტი კი ვალიადოლიდელებმა ვერ შეძლეს.

**გიორგი დარჯანია**

|  |  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № |  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:20 | 12 | 31 | 9 | 6 | 3 | 0 | 20:8 | 12 | 21 | 8 | 3 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 10 |
| 2 | ბეტისი | 17 | 9 | 4 | 4 | 19:13 | 6 | 31 | 9 | 7 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 22 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 9 |
| 3 | ალავესი | 17 | 9 | 3 | 5 | 19:10 | 9 | 30 | 9 | 6 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 3 | 11 |
| 4 | დეპორტივო | 17 | 9 | 3 | 5 | 30:22 | 8 | 30 | 8 | 6 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 19 | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 11 |
| 5 | სელტა | 17 | 7 | 7 | 3 | 33:20 | 13 | 28 | 9 | 6 | 2 | 1 | 21:8 | 13 | 20 | 8 | 1 | 5 | 2 | 12:12 | 0 | 8 |
| 6 | ბილბაო | 17 | 7 | 7 | 3 | 25:23 | 2 | 28 | 9 | 2 | 5 | 2 | 9:11 | -2 | 11 | 8 | 5 | 2 | 1 | 16:12 | 4 | 17 |
| 7 | ბარსელონა | 17 | 7 | 6 | 4 | 25:15 | 10 | 27 | 8 | 4 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 15 | 9 | 3 | 3 | 3 | 7:8 | -1 | 12 |
| 8 | ვალენსია | 17 | 6 | 9 | 2 | 18:14 | 4 | 27 | 8 | 5 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 18 | 9 | 1 | 6 | 2 | 10:12 | -2 | 9 |
| 9 | სევილია | 17 | 6 | 6 | 5 | 27:21 | 6 | 24 | 8 | 3 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 11 |
| 10 | ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17:17 | 0 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 8 |
| 11 | ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 18:26 | -8 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 14 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | -9 | 8 |
| 12 | მალაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 19:22 | -3 | 21 | 9 | 3 | 3 | 3 | 13:14 | -1 | 12 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 9 |
| 13 | ესპანიოლი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:29 | -7 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 16:12 | 4 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 5 |
| 14 | ლას პალმასი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:15 | 2 | 20 | 9 | 4 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 16 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:8 | -4 | 4 |
| 15 | სარაგოსა | 17 | 6 | 2 | 9 | 15:23 | -8 | 20 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 10 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 10 |
| 16 | მალიორკა | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | -6 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:7 | 3 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | -9 | 8 |
| 17 | ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 15:23 | -8 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 11 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 8 |
| 18 | ტენერიფე | 17 | 5 | 3 | 9 | 11:19 | -8 | 18 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 2 | 13 | 9 | 1 | 2 | 6 | 2:12 | -10 | 5 |
| 19 | სოსიედადი | 17 | 4 | 3 | 10 | 17:27 | -10 | 15 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | -2 | 9 | 9 | 2 | 0 | 7 | 8:16 | -8 | 6 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 17 | 3 | 3 | 11 | 16:30 | -14 | 12 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:10 | -1 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:20 | -13 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 10 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 8 |
| კატანია (სელტა) | 8 |
| რაული (რეალი) | 8 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 7 |
| მოიზესი (სევილია) | 7 |

### XVIII ტური

23 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ესპანიოლი | - | ბარსელონა |
| სარაგოსა | - | ვილიარეალი |
| სევილია | - | სელტა |
| რაიო ვალეკანო | - | სელტა |
| ოსასუნა | - | ბილბაო |
| ტენერიფე | - | ლას პალმასი |
| სოსიედადი | - | ვალიადოლიდი |
| მალიორკა | - | რეალი |
| დეპორტივო | - | ბეტისი |
| ვალენსია | - | მალაგა |

## მეორე დივიზიონი

### XIX ტური

### ლევანტე 4:3 სპორტინგი

0:1 ვილა (2), 0:2 ლოსანო (27), 1:2 კაიკუ (50), 2:2 ფურიგა (59), 2:3 პაბლო ამო (66), 3:3 ალბერტო (86), 4:3 ხოსემი (90)

### ხერესი 2:1 ხიმნასტიკი

1:0, 2:0 პინედა (11, 43), 2:1 კუელიარი (68)

### ლეგანესი 1:0 ბადახოსი

1:0 სივორი (90)

### რასინგი 1:0 მურსია

1:0 ბოდიპო (11)

### ეიბარი 1:0 ალბასეტე

1:0 სანჩესი (58)

### ესტრემადურა 2:0 ატლეტიკო

1:0 ხესუსი (45), 2:0 მორენო (63)

### ხაენი 1:2 კორდობა

1:0 პეპელუ (43პ), 1:1, 1:2 მანოლო (79, 90)

### სალამანკა 2:3 უელვა

1:0 მაკუკულა (11), 1:1, 1:2 რაულ მოლინა (23, 60), 1:3 ხავი გარსია (74), 2:3 რობერტო (75)

### ბურგოსი 0:0 ელჩე

### ოვიედო 1:1 პოლი ეხიდო

0:1 არმონი (72), 1:1 პაბლო დიასი (90)

### ფეროლი 2:1 ნუმანსია

1:0 ისმაელი (38), 1:1 კურრო ვაკასი (42), 2:1 ფრან ნოგეირა (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 19 | 12 | 4 | 3 | 30:14 | 40 |
| ხერესი | 19 | 12 | 2 | 5 | 24:16 | 38 |
| რასინგი | 19 | 8 | 7 | 4 | 23:16 | 31 |
| უელვა | 19 | 8 | 7 | 4 | 20:16 | 31 |
| ოვიედო | 19 | 7 | 9 | 3 | 19:11 | 30 |
| ბურგოსი | 19 | 8 | 5 | 6 | 19:15 | 29 |
| ალბასეტე | 19 | 7 | 6 | 6 | 18:11 | 27 |
| ფეროლი | 19 | 8 | 3 | 8 | 26:24 | 27 |
| ბადახოსი | 19 | 8 | 3 | 8 | 16:17 | 27 |
| სალამანკა | 19 | 6 | 8 | 5 | 26:26 | 26 |
| ელჩე | 19 | 6 | 8 | 5 | 15:18 | 26 |
| ეიბარი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:12 | 25 |
| სპორტინგი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:26 | 24 |
| კორდობა | 19 | 6 | 5 | 8 | 21:23 | 23 |
| ლეგანესი | 19 | 5 | 8 | 6 | 12:17 | 23 |
| მურსია | 19 | 5 | 7 | 7 | 17:21 | 22 |
| ნუმანსია | 19 | 5 | 7 | 7 | 20:27 | 22 |
| ხაენი | 19 | 6 | 4 | 9 | 17:26 | 22 |
| ესტრემადურა | 19 | 5 | 6 | 8 | 15:19 | 21 |
| ლევანტე | 19 | 4 | 7 | 8 | 18:28 | 19 |
| ხიმნასტიკი | 19 | 3 | 6 | 10 | 17:24 | 15 |
| პოლი ეხიდო | 19 | 2 | 7 | 10 | 16:27 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკოცეთ ფეხბურთს...
## სასამართლოც საჭრდენი ითამაშა



ჯონათან ვუდგეიტს ახალი სამუშაო ელის

**საფრაზ ნაიჯებისთვის** იმ თხუთმეტი მილიონი გირვანქიდან, სასამართლო პროცესი რომ დაჯდა, რამე მიეცათ, ეგებ უფრო სამართლიანიც ყოფილიყო...

ბოლოდან დავიწყოთ: წინა ხუთშაბათს ნაფიცი მსაჯულები, შვიდი ქალი და ხუთი კაცი, სათათბიროდ გავიდნენ და მეორე დღეს ჰალის სამეფო სასამართლოს დარბაზში ვერდიქტით დაბრუნდნენ. უფრო სწორად, ვერდიქტი ოთხი იყო და მოსამართლე ენრიკესმა ისინი სათითაოდ გამოაცხადა — პოლ კლიფორდი დამნაშავეა, ნილ ქეველი ნაწილობრივ დამნაშავეა, ჯონათან ვუდგეიტი ნაწილობრივ დამნაშავეა, ლი ბოიერი უდანაშაულოა. ამის შემდეგ პატივცემულმა მოსამართლემ საბოლოო განაჩენი გამოიტანა — კლიფორდს ექვსწლიანი პატიმრობა, ქეველისა და ვუდგეიტს ას-ას საათიანი გამოსასწორებელი სამუშაო, ხოლო ბოიერს სახლში მშვიდად ჯდომა.

ახლა, შედეგს რომ გავეცანით, უფრო სწორად კი გავიხსენეთ, ის ვთქვათ, რითაც ყველაფერი დაიწყო.

2000 წლის 19 იანვარს, ღამით, ლიდსის ერთ-ერთ არცთუ ჩაბნელებულ ქუჩაზე, კლუბ „მარჯესტიკის" მახლობლად, 19 წლის აზიელს, სამხრეთ იორკშირის ქალაქ როტერჰემის მცხოვრებ საფრაზ ნაიჯებს თავს დაესხნენ და სცემეს. თუმცა სიტყვა ცემა აქ ძალიან მსუბუქად ჟღერს. ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმი იმავე ღამეს ავადმყოფის ისტორიაში ჩაწერს: ტვინის შერყევა, ცხვირის, ყბის და ხელის მოტეხილობა, მთელ სხეულზე დაჟეჟილობები.

ღამე იყოო კი ვთქვით, მაგრამ ისიც ხომ აღვნიშნეთ, უკუნეთი სიბნელე არ ყოფილაო, ჰოდა, თვითმხილველებმა, შემდგომში კი ბრალდების მოწმეებმა, თავდამსხმელებში ჯონათან ვუდგეიტი, ლი ბოიერი და მათი ძმაკაცები, პოლ კლიფორდი და ნილ ქეველი ამოიცნეს. „მაჯესტიკის" ბარმენმა კი გაიხსენა, აქედან რომ გავიდნენ, ოთხივენი უგონოდ მთვრალები იყვნენო. მოკლედ, ბრალდებულნი ფულიანი და ცნობილი ჯეელები კი იყვნენ, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, საქმე მაინც სასამართლომდე მივიდა.

პროცესის მსვლელობა გავიხსენოთ. თავიდან რასიზმზე ალაპარაკდნენ, რადგან ევროპაში ასეთი წესია: აზიელი ან ზანგი თეთრკანიანს თუ გალახავს ან შეაგინებს, ხულიგანია, მაგრამ თეთრკანიანმა თუ იგივე გააკეთა აზიელის ან ზანგის მიმართ, რასისტია. მაგალითები გნებავთ? რამდენიც გინდა. აი, მაგალითად, წინა ჩემპიონთა ლიგაში, „ლაციო" — „არსენალის" მატჩისას, სინიშა მიხაილოვიჩმა და პატრიკ ვიეირამ ერთმანეთს უწესო სიტყვები უძახეს. არავინ დაინტერესებულა, ვინ იყო მოთავე, მაგრამ რაკი ვიეირა შავკანიანია, ყველაფერი მიხაილოვიჩს დაბრალდა.

ამ შემთხვევაში კი რასიზმის თემა ნელ-ნელა მიივიწყეს, ალბათ, ეშმაკი ვექილების წყალობით, რომლებიც ამტკიცებდნენ, ჩვენი კლიენტები უგონოდ მთვრალები იყვნენ, ერთმანეთს ვერ სცნობდნენ და იმ ბიჭის კანის ფერს როგორ გაარჩევდნენო.

ისიც გავიხსენოთ, რომ მოგვიანებით, ამ ზაფხულს, პროცესი სულაც შეჩერდა. ერთმა ინგლისურმა გაზეთმა ნაცემი ბიჭის მამასთან ინტერვიუ დაბეჭდა და მუჰამად ნაიჯების სიტყვებმა მთელი ინგლისი აატირა. ცრემლი ეგებ მოსამართლესაც მოადგა თვალზე, მაგრამ შეშინებულმა, ვაითუ, ამ ინტერვიუთი გულაჩუყებულმა ნაფიცმა მსაჯულებმა სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღონო, პროცესის ოქტომბრამდე გადადება ბრძანა — სამ თვეში ხალხს და მსაჯულებს ინტერვიუთი მიღებული შთაბეჭდილება უნდა გაჰქრობოდათ.

შთაბეჭდილება გაქრა და რაც უფრო საინტერესოა, ოქტომბრისთვის ძველი ჩვენებების ნაწილიც ახლებმა შეცვალა. ლი ბოიერის ადვოკატმა მოწმეებს ოსტატური კითხვებით (აბა, ფულს რაში უხდიან) ისე აუბნია გზა-კვალი, მათი ჩვენებების სისწორე საეჭვო გახადა და ბოლოს დაასკვნა — ასე და ამგვარად, ჩემი კლიენტი ჩხუბის დროს იქ არ ყოფილაო.

ეგ როგორ, ხომ არ დაესიზმრათ მოწმეებსო? გაიკვირვებს მავანი. როგორო და, ბოიერი ჯერ კლუბში დაინახეს, მერე კი ქუჩაშიც, ოღონდ ცემა-ტყეპა რომ დამთავრდა, მერეო. აბა, რომელს გახსოვთ, როგორ იქნევდა ჩემი კლიენტი წიხლებსო? მიამიტურად იკითხა ვექილმა და მსაჯულებიც დაარწმუნა, მოწმეებს ბოიერის დანახვის დრო აერიათ, ჩხუბის დროს ლი პატარა საქმეზე იყო გასულიო.

მაგრამ რაც შეძლო ბოიერის ადვოკატმა, სხვებმა ვერ მოახერხეს. სასეირო კი იქნებოდა, ყველას ერთად რომ დაეწყო მტკიცება, ეს პატიოსანი ბიჭები რა შუაში არიან, ნაიჯებმა თავისი თავი ცემაო.

საბოლოოდ, როგორც განაჩენიდან ჩანს, ხელები პოლ კლიფორდს შეაწმინდეს — აბა, ვუდგეიტისთვის ასი საათი საზოგადოებრივი სამუშაოს მისჯა რა დასჯაა. სასამართლოს წარმომადგენელმა კი იჩქარა და განაცხადა, ბოიერისა და ვუდგეიტის გამოძრომა მათი ფეხბურთელობის მიზეზით არ მომხდარაო.

„ეს არის სამართალი? — დაიჩივლა პროცესის დასრულების მერე მუჰამად ნაიჯებმა — ჩემს შვილს ფეხბურთის ბურთივით ურტყეს, სიკვდილს ძლივს გადაურჩა, ამათმა კი ვითომ არაფერი მომხდარაო. ისე გამოიყვანეს, თითქოს კლიფორდმა ერთხელ ჩაარტყა და სულ ეგ იყო. საფრაზი სარკეში რომ იყურება და დამახინჯებულ სახეს უყურებს, გული უკვდება და როგორ გგონიათ, ჩემთვის ეს იოლი გადასატანია? მე ჩემი ოჯახისთვის ვცხოვრობ და სანამ სიმართლეს არ ვიპოვი, ამ საქმეს არ შევეშვები".

ამის პასუხად ბრალმოხსნილმა ბოიერმა თქვა, ჩემი ოჯახი აგერ, თითქმის ორი წელია, სტრესის ქვეშ ცხოვრობდა და ბედნიერი ვარ, ვერდიქტმა მძიმე ტვირთი რომ მოუხსნა გულიდანო. ჯონათან ვუდგეიტმა ადვოკატის რჩევით დუმილი ამჯობინა, თავად ვექილმა კი, ვერ წარმოიდგინეთ, ჯონათანს როგორ ეცოდება ნაიჯები, მაგრამ რა ქნას, მას ხომ არ უცემიაო. ეს ასი საათიც იმიტომ დაიმსახურა, შველა რომ ვერ შეძლოო.

ვუდგეიტი და ბოიერი კი გამოძვრნენ, „ლიდსის" თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმაც თქვა, მათ მოედანზე გაყვანას წინ აღარაფერი უდგასო, ხოლო ბოიერი ეგებ ნაკრებშიც მიიწვიონ, მაგრამ ეს ამბავი შესაძლოა, კარგა ხანს ვერ მოხერხდეს. მათ ამ უქმეებზეც არ უთამაშიათ. საქმე ისაა, რომ როგორც ჩვენი კორესპონდენტი ლონდონიდან გვწერს, საზოგადოება ისეა დარაზმული, იმათ მოედანზე შეშვებას დიდი უკმაყოფილება მოჰყვება და „ლიდსიც" თავს იკავებს.

**ირაკლი ნინიძე**



ლი ბოიერს სტადიონზე აღარ მიუსვლებს



სანდერ ვესტერფელდი

# სოსიედადმა კარიდან დაიწყო

**„რეალ სოსიედადი"** გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს, რათა სეზონის ბოლოს ესპანეთის მეორე დივიზიონში არ ამოყოს თავი. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. სანსებასტიანურმა კლუბმა „ლივერპულისგან" ჰოლანდიელი კარის დარაჯი, სანდერ ვესტერფელდი იყიდა. ეს ტრანსფერი ხუთი მილიონი დოლარი დაჯდა.

„მოხარული ვარ, ყველაფერი რომ მოგვარდა. ჩემი მთავარი მიზანია, „სოსიედადს" კრიზისი დაძლევაში დავეხმარო. პრიმერადივიზიონში თამაში ფორმის შენარჩუნებაშიც შემიწყობს ხელს" — განაცხადა 27 წლის ვესტერფელდმა სამწლიან კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ მეკარე იძულებული გახდა, „ლივერპულიდან" წასულიყო, რადგან პრემიერლიგური გუნდის კარში აგვისტოს შემდეგ აღარ მდგარა. „ლივერპულმა" სეზონის დასაწყისში ირჟი დუდეკი და კრის კირკლენდი იყიდა, ჰოლანდიელმაც კონკურენციას ვერ გაუძლო და სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა.

„სოსიედადი" კი მარტო მეკარეზე შეჩერებას არ აპირებს. კლუბმა რამდენიმე ძლიერი თამაშე უკვე შეიგულა — მათ შორის თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი, რომელიც „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ვესტერფელდის არ იყოს, გუნდიდან წასვლა სურს.

**ნიკა შუბლაძე**

# ნუ ჩაიხედავ პასპორტში
## ლეონიდ ბურიაკს უკრაინის ნაკრები ჩააბარეს

**შაბათს** უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე 48 წლის ლეონიდ ბურიაკი უკრაინის ნაკრების მწვრთნელად აირჩიეს. ოცი დამსწრედან მას თვრამეტმა მისცა ხმა.



ლეონიდ ბურიაკი

მწვრთნელობის კანდიდატთა შორის თავდაპირველად ოლეგ ბლოხინი, მიხაილ ფომენკო, ვიქტორ პროკოპენკო და ხორვატი მიროსლავ ბლაჟევიჩიც იყვნენ. გაზეთ „კომანდას" ცნობით, ბლოხინმა თავად არ ინდომა ეს თანამდებობა და ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის არც დაურეკავს. მწვრთნელობა იუარა ფომენკომაც, რომელმაც დამსწრეთ სთხოვა, ჩემს მხარდასაჭერად ნუ შეწუხდებით, დღეისთვის კლუბში მუშაობა მირჩევნიაო. ბლაჟევიჩის აურჩევლობის მიზეზი ის ყოფილა, რომ უცხოელია, უკრაინელებს კი სურდათ ეროვნული გუნდის დამრიგებელი აუცილებლად მათი თანამემამულე ყოფილიყო. საბოლოოდ პროკოპენკოს ისევ ბურიაკი ამჯობინეს.

ბურიაკის მწვრთნელობაზე უკრაინული მედია ჯერ კიდევ გერმანიასთან პლეი ოფის წინ ალაპარაკდა. თავის დროზე კიევის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების უნიჭიერესი ნახევარმცველი 90-იანი წლების დასაწყისში ოდესის „ჩორნომორეცს" წვრთნიდა, ბოლო ექვს წელიწადს კი ეროვნულ გუნდში ჯერ იოჟეფ საბოს, მერე ვალერი ლობანოვსკის თანაშემწედ მუშაობდა.

„ნაკრების კარი ყველა ღირსეულისთვის ღია იქნება. ჩვენ არ ვაპირებთ ფეხბურთელების პასპორტებში ჩახედვას, მათ ახალგაზრდებად და ვეტერანებად დაყოფას. მთავარია, საჭირო დროს კარგ ფორმაში იყვნენ. მომდევნო შესარჩევ ციკლს თითქმის წელიწადი გვაშორებს, ასე რომ, ყველაფერი მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ჩემს ნაკრებში პრივილეგია არავის ექნება" — ასეთი გახლდათ ბურიაკის პირველი კომენტარი. მისი აზრით, კიევის „დინამოსა" და „შახტარის" ფეხბურთელებს არცთუ მეგობრული ურთიერთობები აკავშირებთ, რაც სანაკრებო შეკრებებზეც იჩენს ხოლმე თავს. ამ პრობლემის მოგვარება მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

„ვფიქრობ, უკრაინის ნაკრებს ჩემი გამოცდილება წაადგება. ამ გუნდს ხომ ბევრი დრო და ძალა შევალიე. მაგრამ ადრე მეორე კაცი ვიყავი, ახლა კი ჩინებული საშუალება მეძლევა, საქმე ჩემებურად წარვმართო. ვეცდები დავამტკიცო, რომ უკრაინელთა ჩავარდნა მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა ბრალი იყო" — აი, ასეთი განწყობით ეჭიდება ბურიაკი თავისი ქვეყნის მთავარი გუნდის მთავარმწვრთნელობას.

**სოლომონ ბულისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიზანიშვილმა ბონეტის სამშობლო გაახსენა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და „დანდის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი რომ მუხლის ტკივილმა შეაწუხა, გასულ კვირას გაუწყეთ. ერთი თამაშის გამოტოვების შემდეგ ჩვენებური შაბათს სქოთური პრემიერლიგის მომდევნო ტურში „სელტიკის“ წინააღმდეგ კი გავიდა მინდორზე, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაამთავრა შეხვედრა — 55-ე წუთზე შეცვალეს.

— ტკივილი კვლავ ვიგრძენი მუხლში და ივანო ბონეტიმ გადაწყვიტა, შევეცვალე. მისი რჩევით იტალიაში, ბოლონიაში წავალ ტრავმის მოსაშუშებლად. ჯერ შოტლანდიაში ვარ, „დანდის“ მორიგ თამაშს მხოლოდ ტრიბუნიდან მივადევნებ თვალს და მომავალ კვირას ჩავალ ბოლონიაში. იქ თურმე ძალიან კარგი სამკურნალო ცენტრია, ჩემამდე ორი დანდელი მკურნალობდა ბოლონიაში. აქაური ექიმები ამით განაწყენებულები კი არიან, მაგრამ რა გაეწყობა, ივანო ბონეტიმ ასე გადაწყვიტა — გვითხრა სატელეფონო საუბრისას ზურაბ ხიზანიშვილმა და იქვე დაამატა, ჰყვაზ ქემოკლიძის ქუთაისის „ტორპედოდან“ „დანდიში“ გადმოსვლის შესახებ არაფერი გამიგიაო.

რაც შეეხება დანდელ ექიმებს, მათ 17-ჯერ გადაუღეს სურათი მუხლზე ჩვენებურს, მაგრამ ზუსტი დიაგნოზი მაინც ვერ დაუსვეს. ჰოდა, ბონეტიმაც ხიზანიშვილი თანამემამულე დასტაქრებს გადაულოცა.

**დავით თავართქილაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი

ათიოდ დღე გავიდა, რაც საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ გიორგი ანჩაბაძემ კარიერის გასაგრძელებლად უცხოეთს მიაშურა. ლეგიონერის სახელი ანჩაბაძეს ადრეც უტარებია — მცირე ხნით ბელგიასა და ისრაელში უბურთავია. ამჯერად მისი სამიზნე კვლავ ბელგიაა...

თბილისის „ლოკომოტივის“ 28 წლის ლიდერი ამჟამად სწორედ ბელგიაშია და იქაური პირველი დივიზიონის „ლუვიეში“ ჩარიცხვას ლამობს...



გიორგი ანჩაბაძე (№26), სავარაუდოდ, ბელგიურ „ლუვიეში“ ითამაშებს

# ანჩაბაძე ბელგიელებს ოჯახზე ელაპარაკა

— ოთხშაბათს ალბათ ყველაფერი გაირკვევა. გუშინ მოლაპარაკება დაიწყო და თუ საერთო ენა გამოინახა, დავრჩები კიდეც.

**— „ლუვიეში“ სინჯები გაიარე თუ პირდაპირ კონტრაქტს გიფორმებენ?**

— სინჯების გავლას ამას ვერ დავარქმევ, თუმც ვერც იმას ვიტყვი, რომ პირდაპირ კონტრაქტზე ჩამომიგდეს სიტყვა. გუნდში სულ ორჯერ ვივარჯიშე და ერთხელაც ვითამაშე. ვფიქრობ, მწვრთნელს თავი მოვაწონე.

**— ამის თქმის საშუალებას რა გაძლევს?**

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი მენეჯერი გუნდის ხელმძღვანელებთან უკვე კონტრაქტის პირობებს ათანხმებს. დღეს საკონტროლო მატჩი გვაქვს დაგეგმილი ერთ-ერთ აქაურ კლუბთან და თამაში მეც მომიწევს.

**— როგორც ვიცით, ადრე „მოლენბეკის“ ვარიანტიც გქონდა...**

— ჩემი მენეჯერი სწორედ ამ კლუბთან მუშაობს, თუმც „ლუვიე“ ფინანსურად უფრო ძლიერი კლუბია. 17-18 წლის ბიჭი არა ვარ, მხოლოდ ენთუზიაზმზე რომ ვითამაშო და შემოთავაზებულ პირობებს ყურადღება არ მივაქციო. ჩემს უკან ოჯახი დგას და მეც შესაძლებლობის ფარგლებში სასურველ პირობებს უფრო ვაქცევ ყურადღებას. ვფიქრობ, „ლუვიე“ ურიგო ვარიანტი არ არის. ამ შემთხვევაში ჩემთვის სპორტულ და ფინანსურ მხარეებს ერთი და იგივე დატვირთვა აქვს.

**— „ლოკომოტივს“ რა უფლებები დარჩა შენზე?**

— რკინიგზელებთან კონტრაქტი დამთავრდა. თუმც გარკვეული თანხა ალბათ მაინც იქნება გადასახდელი. ყველაფერს მოლაპარაკებები გაარკვევს. ფაქტობრივად სამი მხარე უნდა შეთანხმდეს — „ლოკომოტივი“, „ლუვიე“ და ჩემი მენეჯერი. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

**— საბოლოოდ როდის გეცოდინება ახალი კლუბის ვინაობა?**

— შეიძლება ყველაფერი დღესვე გაირკვეს. თუმც, ვნახოთ, მოლაპარაკებები როგორ განვითარდება. მგონი, პრობლემები არ შემექმნება.

**ქახა შალამბერიძე**

# სად არის პაპადოპულო?



ლევან მელქაძე

**არ სწყალობს** ქართველებს პაპადოპულო. ჯერ იყო და მეოცე საუკუნის დასაწყისში გაქნილმა ვაჭარმა საწყალი ფოთელი მონადირის მთელი ქონება წაიღო და ცხრა მთას იქეთ გადაიკარგა. დატოვა წვრილშვილის პატრონი ფეხბურთის ამარა. მერე ერთი საუკუნის შემდეგ გამოჩნდა, ორი თბილისელი ბიჭი მოიწონა და იტალიისკენ გააქანა, ფეხბურთს ჩემს გუნდში ვათამაშებო. დაუჯერეს ქართველებმა, წავიდნენ იტალიაში და...

ისევ დაიკარგა პაპადოპულო, ქართველები კი შუა გზაზე მიატოვა. დღეს ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი სერია B-ს „სიენას“ სათადარიგო მოთამაშეები არიან. კლუბიდან დათხოვილი პაპადოპულოს მემკვიდრე ვინჩენცო გუერინი ჩვენებურებისკენ არც იყურება. ლევანს და დათოს მატჩის ოქმში მოხვედრაც კი სანატრელი აქვთ.

ითმინეს ბიჭებმა და გადაწყვიტეს, ნაახალწლევს „სიენას“ დავემშვიდობებითო. გუნდიდან წასვლა ადვილია, მაგრამ ახალ კლუბში მოწყობაც რომ სახათაბალო საქმეა?!

-გუშინ ჩვენც ავკრიფეთ ნაცნობი ნომერი, ყურმილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა წევრმა ლევან მელქაძემ აიღო და გაგვესაუბრა...

— ჩვენი ერთადერთი პრობლემა უთამაშებლობაა. ორი დღის წინ ახალ მწვრთნელ ვინჩენცო გუერინსაც ვესაუბრეთ, მაგრამ მისგან საიმედო ვერაფერი მოვისმინეთ: „გუნდი კრიტიკულ მდგომარეობაშია, გავარდნის ზღვარზე ვიმყოფებით და შემადგენლობის ხშირი ცვლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია“ — გუერინიმ პირდაპირ ვერ გვითხრა, თუმც მიგვანიშნა, არ მჭირდებითო.

18 დეკემბერს ჩვენი მენეჯერი ენცო გამბარო „სიენას“ თავკაცებს შეხვდება. მერე ჩვენც დაგველაპარაკება და გადაწყვეტილებასაც საბოლოოდ მივიღებთ. „სიენაში“ ჩვენი მომავალი მეტად საეჭვოა.

ლევან მელქაძე და დავით დიღმელაშვილი იტალიურ კლუბში განათხოვრებულები არიან. ორივეს „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი აკავშირებს. ჰოდა, თბილისში ხმა გავრცელდა, გამორიცხული არ არის, კლუბმა თავისი ფეხბურთელები დაიბრუნოსო. ასეთ ვარიანტს „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე არ გამორიცხავს:

— მელქაძისა და დიღმელაშვილის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. გუშინ ვესაუბრე ენცო გამბაროს და მისი თქმით, სერია B-ს სამი გუნდია ჩვენებურებით დაინტერესებული. ალბათ, იანვრის შუა რიცხვებისთვის გასარკვევი გაირკვევა, თუმც არც ის გაგიკვირდეთ, გაზაფხულიდან ლევანი და დავითი „ვიტ ჯორჯიაში“ იხილოთ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# საბლონის სალზუნი

**ჩეხმა** მწვრთნელმა ჯირამ არბიტრთა მომზადების საქმე ერთიან სივრცეში მოიაზრა და ჩანაფიქრი უეფას გაანდო. ამ ორგანიზაციამ კი „ჯირას კონვენცია“ დააფუძნა, რომელშიც ძირითადად წამყვანი საფეხბურთო ქვეყნები შედიან.

აწ უკვე გარდაცვლილი ჯირას მიერ დიფერენცირებული, კატეგორიებად დახარისხებული პროექტით მწვრთნელთა განათლებას ჩვენშიც შეუდგნენ. სფფ-მ ეს საქმე გაიოზ დარსაძეს მიანდო. ჯერჯერობით ქართველი მწვრთნელები ოდენ B კატეგორიის ლიცენზიებისთვის ირჯებიან და მათ მოსაპრვებლად გამოცდები იანვარში ელით.

წინა უქმეებზე კი ჩვენი მწვრთნელების სწავლა-განათლების ამბავზე უეფას ბელგიელი მოხელე მიშელ საბლონიც შეწუხდა, რომელიც უეფაში სფფ-ის კურატორიც გახლავთ. მიშელ საბლონი თავის დროზე ბელგიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს წვრთნიდა, 1986 და 1990 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე კი ეროვნულ ნაკრების დამრიგებელ გი ტისის თანაშემწე იყო.

— მწვრთნელთა მომზადების კურსები კარგადაა ორგანიზებული, იგრძნობა ენთუზიაზმი ახალგაზრდა მწვრთნელების მხრიდან. ჯერ B კატეგორიის სწავლება კარგად უნდა დახვეწოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადახვიდეთ A კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზირებაზე. ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებიდან საქართველო პირველია, რომელიც ასეთ კურსებს ატარებს. ცოტა ხნის წინ ეს რუსეთშიც წამოიწყეს, მაგრამ იქ არასწორი მიმართულებით წავიდნენ — გვითხრა მიშელ საბლონმა, რომელმაც მწვრთნელთა სწავლებაზე დასწრების შემდეგ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა.

**დავით თავართქილაძე**

# დინამოს ფოცხვერია გაახსენდა

**საშემოდგომო** ეტაპი დამთავრდა და ქართული გუნდებიც ზამთრის ძილს მიეცნენ. საშობაო არდადეგებმა მათდამი გაძლიერებული ინტერესი კიდევ უფრო ჩააქრო. თუმც ფეხი იქამდე გაშალე, სანამდეც საბანი გაგწვდებაო და ქართული კლუბებიც შეძლებისდაგვარად ფიქრობენ გაძლიერებაზე. ზოგი ფეხბურთელებს უშვებს, ზოგი ახლებს იმატებს, ზოგს ამის თავიც არა აქვს.

აი, თბილისის „დინამოს“ საქმე კი სულ სხვაგვარადაა. მისმა ხელმძღვანელობამ საშემოდგომო ეტაპის დასრულებისთანავე შვიდი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე, აქაოდა, მათ თავიანთი შესაძლებლობების დასამტკიცებლად გვარიანი დრო მივეცით, მაგრამ ვერ გამოიყენესო. აქედან გამომდინარე, „დინამოში“ ახალი ფეხბურთელების გამოჩენას ველით და ეგებ ერთ-ერთი მათგანი მიხეილ ფოცხვერია გახდეს.

— ფოცხვერიათი „დინამოს“ დაინტერესება რეალურია. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს და გარკვეული ჯერჯერობით არაფერია. შესაძლოა, ფოცხვერია ერთ-ერთ შეკრებაზეც ვიხილოთ და მისი ბედი ამის შემდეგ გადაწყდეს, თუმც წინასწარ ვერაფერს გეტყვით. „მერანისგან“ წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. სხვათა შორის, ამ ტრანსფერზე საუბარი თავად „მერანის“ ინიციატივა იყო. კონტრაქტის ვადა და სხვა ოფიციალური მხარე მოლაპარაკებების შედეგად გახდება ცნობილი — გვითხრა გუშინ „დინამოს“ პრესატაშემ დავით ერაძემ სატელეფონო საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ ფოცხვერია „მერანმა“ დონეცკის „შახტარისგან“ გამოისყიდა, თუმც ტრავმის გამო ფეხბურთელი მხოლოდ სამ შეხვედრაში დაეხმარა ავჭალელებს. ახლა ფოცხვერია გამოჯანმრთელდა და „მერანიც“ მის დაბრუნებას საგაზაფხულო ეტაპიდან აპირებდა, მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, შესაძლოა, მან თავი „დინამოში“ ამოყოს.

აქვე გეტყვით, რომ გივი ნოდიას მანჩესტერში წასვლა-არწავლის საკითხი დღეს გახდება ცნობილი. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მანჩესტერს საქმიანი ვიზიტით გივი ნოდიასთან ერთად აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა და კლუბის იურისტი ნიკა კობალავა ეწვევიან.

**ქახა შალამბერიძე**



მიხეილ ფოცხვერიას (მარცხნივ) „დინამო“ ელის

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური. 18 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 001 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 002 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 003 | ჰერტა-სტ. პაული | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 004 | ჰერტა-სტ. პაული 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 005 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 23.00 | 006 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 007 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 008 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 23.00 | 009 | კიოლნი-შტუტგარტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 010 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 011 | ჰანზა-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური. 18 დეკემბერი** | | | |
| 16.30 | 012 | ბაბელსბერგი-არმინია | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 013 | ალენი-დუისბურგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 014 | როიტლინგენი-აინტრახტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 015 | ბოხუმი-უნტერჰახინგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 016 | მაინცი-ალემანია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 017 | მაინცი-ალემანია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 018 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 019 | ვალდჰოფი-საარბრიუკენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 020 | შვაინფურტი-კარლსრუე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 021 | ჰანოვერი-უნიონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები. 18 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 022 | არსენალი-ნიუკასლი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 023 | ლიდსი-ევერტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 024 | დერბი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 026 | ლიდსი-ნიუკასლი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 027 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 028 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 029 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-ფულემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 031 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 032 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 033 | ტოტენჰემი-იფსვიჩი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 034 | ჩელსი-ბოლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 035 | ლივერპული-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXV ტური. 20 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 036 | კრისტალ პალასი-ნოტინგემი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 037 | ბარნსლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 038 | ბირმინგემი-უოლსოლი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 039 | ბირმინგემი-უოლსოლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 040 | ბარნლი-მილუოლი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 041 | ქრიუ-სიტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 042 | ნორვიჩი-უიმბლდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 043 | პორტსმუთი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 044 | პრესტონი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 045 | შეფილდი-როტერჰემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 046 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.15 | 048 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXIII ტური. 19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 049 | სტოკი-კარდიფი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **21 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 050 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 051 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 052 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 053 | ნოტსი-სუინდონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 054 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 055 | ბორნმუთი-ქუინს პარკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 056 | ბრისტოლი-რექსემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 057 | ბრისტოლი-რექსემი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბლეკპული | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 059 | კოლჩესტერი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 060 | პიტერბრო-ტრანმერი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 061 | რედინგი-უიგანი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 062 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 063 | უიკომბი-კემბრიჯი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXIII ტური. 21 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 064 | ჰალი-საუთენდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 065 | ჰალი-საუთენდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 066 | მენსფილდი-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 067 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.45 | 068 | სუონსი-როვერსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 069 | დარლინგტონი-ჩელტენემი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 070 | ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 071 | ლეიტონი-ლინკოლნი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 072 | ლუტონი-ჰარტლპული | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 073 | როჩდეილი-იორკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 074 | რაშდენი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 075 | სკანთორპი-პლიმუთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 076 | ტორკი-ოქსფორდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური. 18 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 077 | ლანსი-ნანტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 078 | ბორდო-მარსელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 079 | ტრუა-მეცი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 080 | რენი-სოშო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 081 | ბასტია-გენგამი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.30 | 082 | სედანი-ლიონი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.30 | 083 | ლორიანი-ლილი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 23.30 | 084 | პსჟ-ოსერი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.30 | 085 | მონპელიე-მონაკო | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XX ტური. 19 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 095 | ნიცა-სტრასბური | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.30 | 096 | გენიონი-ბოვე | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 23.30 | 097 | ვასკეალი-კანი | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 23.30 | 098 | აიაჩო-შატორუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.30 | 099 | სტ. ეტიენი-კრეტეი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.30 | 100 | ლე მანი-გრენობლი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.30 | 101 | ისტრი-ლავალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.30 | 102 | ამიენი-ნანსი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.30 | 103 | მარტიგი-ნიმი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.30 | 104 | ლე ავრი-ნიორი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| | | **იტალია. VI (გადადებული) ტური. 19 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 115 | ატალანტა-მილანი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 18.00 | 116 | ბოლონია-უდინეზე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 117 | კიევო-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 118 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 18.00 | 119 | ინტერი-ვერონა | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 120 | ინტერი-ვერონა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 121 | ლეჩე-პერუჯა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 122 | რომა-ბრეშა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 123 | რომა-ბრეშა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 124 | ტორინო-პარმა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 125 | ვენეცია-პიაჩენცა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **იტალია. სერია „ბ“. VIII (გადადებული) ტური. 19 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 135 | ანკონა-სამპდორია | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 136 | კომო-ტერნანა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 137 | კოზენცა-მოდენა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 18.00 | 138 | ემპოლი-კალიარი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 139 | ჯენოა-ჩიტადელა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 140 | მესინა-სიენა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 18.00 | 141 | პალერმო-კროტონე | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 142 | პისტოიეზე-რეჯინა | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 18.00 | 143 | ვიჩენცა-ბარი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ა“. XVII ტური. 23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 154 | ალბანო-ლივორნო | 3,4 | 2,7 | 2,2 |
| 17.30 | 155 | არეცო-სპალ | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 156 | ჩეზენა-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 157 | ლუმეცანე-პადოვა | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 158 | მონცა-ტრიესტინა | 2,9 | 2,5 | 2,6 |
| 17.30 | 159 | პიზა-რეჯანა | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 17.30 | 160 | სპეცია-ალბინოლეფე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 17.30 | 161 | ტრევიზო-ლეკო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 17.30 | 162 | ვარეზე-კარარეზე | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ“. XVII ტური. 23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 163 | ბენევენტო-კოზე | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 17.30 | 164 | კატანია-აველინო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 165 | ფერმანა-აკილა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 17.30 | 166 | ჯულიანოვა-ლანჩანო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 17.30 | 167 | ლოდიჯანი-ტარანტო | 2,8 | 2;5 | 2,7 |
| 17.30 | 168 | ნოჩერინა-დი სანგრო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 17.30 | 169 | პესკარა-ტორესი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 17.30 | 170 | სორა-პეზარო | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 171 | ვიტერბეზე-ასკოლი | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XVIII ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 172 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 173 | დეპორტივო-ბეტისი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 24.00 | 174 | სევილია-სელტა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 00.30 | 175 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 00.30 | 176 | ვალენსია-მალაგა | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 01.00 | 177 | ტენერიფე-ლას პალმასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 178 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 179 | რაიო-ალავესი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 180 | მალიორკა-რეალი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 181 | ოსასუნა-ბილბაო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XX ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 182 | ელჩე-ხაენი | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 21.00 | 183 | მურსია-ბურგოსი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 21.00 | 184 | ნუმანსია-ლეგანესი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 21.00 | 185 | ალბასეტე-ფეროლი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 21.30 | 186 | ატლეტიკო-რასინგი | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 23.00 | 187 | პოლი ეხიდო-ესტრემადურა | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 188 | სერესი-უელვა | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 20.00 | 189 | სპორტინგი-სალამანკა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 20.00 | 190 | ბადახოსი-ლევანტე | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 20.00 | 191 | კორდობა-ეიბარი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 20.00 | 192 | ხიმნასტიკი-ოვიედო | 3,3 | 2,6 | 2,3 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XVI ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 193 | ფარენსე-ლეირია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 194 | სალგეიროში-ჟილ ვისენტე | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.00 | 195 | მარიტიმუ-ვარზიმი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 20.00 | 196 | ფერეირა-ბეირა მარი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 197 | ბრაგა-ბელენენსეში | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 24.00 | 198 | სანტა კლარა-პორტუ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 01.00 | 199 | გიმარაეში-ალვერკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 01.00 | 200 | სპორტინგი-სეტუბალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 201 | სპორტინგი-სეტუბალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 202 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XVI ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 203 | ამადორა-მაია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 204 | ლამაში-ოლივეირენსე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 205 | ესპინიუ-ოვარენსე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 206 | შავეში-პენაფიელი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 207 | შავეში-პენაფიელი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 208 | ავეში-ნავალი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 209 | აკადემიკა-ფელგეირაში | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 210 | აკადემიკა-ფელგეირაში 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 20.00 | 211 | ნასიონალი-მორეირენსე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 212 | რიუ ავე-პორტიმონენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 213 | ლეცა-კამპომაიორენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები. 19 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 214 | ტვენტე-ფეიენოორდი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.00 | 215 | ჰერენვენი-დენ ბოსხი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 216 | ჰერენვენი-დენ ბოსხი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 217 | სიტარდი-უტრეხტი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.15 | 218 | აიაქსი-ვიტესი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XIX ტური. 21 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 219 | სპარტა-ალკმაარი | 1,95 | 3,2 | 3,3 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 220 | ბრედა-ჰერენვენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 221 | პსვ-გრონინგენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 222 | პსვ-გრონინგენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.30 | 223 | ტილბურგი-ტვენტე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 224 | ვიტესი-ვალვაიკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 225 | უტრეხტი-აიაქსი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 17.30 | 226 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,1 | 1,85 |
| 17.30 | 227 | ნაიმეგენი-როდა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XIX ტური. 21 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 228 | ვენლო-როზენდალი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 229 | კამბური-ჰელმონდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 230 | ეინდჰოვენი-ექსელსიორი | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 23.00 | 231 | მაასტრიხტი-ოსი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 23.00 | 232 | ტელსტარი-ზვოლე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 233 | დორდრეხტი-ჰაარლემი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 234 | ჰერაკლესი-ემენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 235 | იგლსი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 236 | ვოლენდამი-ვეენდამი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XVI ტური. 18 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 237 | მუსკრონი-ბრიუგე | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 23.00 | 238 | ბევერენი-ანდერლეხტი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 239 | შარლერუა-ბეერსხოტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 240 | სტანდარდი-ლომელი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 241 | სტანდარდი-ლომელი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 242 | მოლენბეკი-გენტი | 3,3 | 3,4 | 1,9 |
| 23.00 | 243 | სტ. ტრუიდენი-აალსტი | 1,75 | 3,3 | 4,2 |
| 23.00 | 244 | ვესტერლო-ლიერსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 245 | ლოკერენი-გენკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 246 | ანტვერპენი-ლუვიე | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები. 21 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 247 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 248 | ვესტერლო-სტანდარდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XVIII ტური. 21 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 249 | რუზელარე-ფლაანდერენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 250 | დესელი-ვირტონი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 251 | მეხელენი-ვიზეტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 252 | მეხელენი-ვიზეტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 253 | ინგელმუნსტერი-სტრომბეკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 254 | პატრო-მონსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 255 | ლიეჟი-ჰეუსდენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 256 | დენდერლეუ-ტინენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 257 | სერკლი-გეელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **თურქეთი. XVII ტური. 21 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 258 | დიარბაქირი-ფენერბაჩე | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| | | **22 დეკემბერი** | | | |
| 15.30 | 259 | მალათია-სამსუნი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 15.30 | 260 | ტრაბზონი-გიოზთეფე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 15.30 | 261 | ქოჯაელი-დენიზლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 15.30 | 262 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 15.30 | 263 | ისთანბული-ანთალია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 15.30 | 264 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 15.30 | 265 | იოზგათი-გალათასარაი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 21.00 | 266 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XIX ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 267 | დანდი-კილმარნოკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 268 | პართსი-მოზერუელი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 269 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 270 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 271 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 272 | რეინჯერსი-დანდი იუნ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 273 | სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 21.35 | 274 | აბერდინი-სელტიკი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XX ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 275 | ერდრი-სტ. მირენი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 276 | კლაიდი-როსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 277 | ინვერნესი-არბროთი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. XVIII ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 278 | ალოა-სტრანრარი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 279 | კლაიდბენკი-ბერვიკი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 280 | ქოუდენბითი-ჰამილტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 281 | ქუინი-მორტონი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XVIII ტური. 22 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 282 | ალბიონი-ელგინი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 283 | ბრეჩინი-სტირლინგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 284 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 2,3 | 3,4 | 2,5 |
| 19.00 | 285 | პიტერჰედი-მონტროუზი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 286 | ქუინს პარკი-დამბარტონი | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| | | **ინგლისი. თასის II წრე. გადათამაშება. 18 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 287 | როვერსი-პლიმუთი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 288 | საუთენდი-ჩესტერფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასის 1/4 ფინალი. 19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 289 | უენსდი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **ესპანეთი. თასი. მერვედფინალი. II წრე. 18 დეკემბერი** | | | |
| 00.30 | 290 | რეალი-ხიმნასტიკი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 291 | ბილბაო-სალამანკა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 292 | ვალიადოლიდი-ბადახოსი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 293 | მალიორკა-კორდობა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 24.00 | 294 | რაიო-სიუდადი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 24.00 | 295 | ვილიარეალი-ხიხონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | | **პორტუგალია. თასის 1/16 ფინალი. გადათამაშება. 18 დეკემბერი** | | | |
| 01.00 | 296 | ბრაგა-გიმარაეში | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 297 | მარიტიმუ-ბენფიკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. 19 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 298 | ოლიმპიაკოსი-ეგალეო | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 19.15 | 299 | არისი-პანაჰაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 19.45 | 300 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 301 | იონიკოსი-ქსანთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **შოტლანდია. თასის II ეტაპი. გადათამაშება. 18 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 302 | ისტ ფაიფი-ქუინს პარკი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასის 1/4 ფინალი. 19 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 303 | ლივინგსტონი-სელტიკი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| | | **მერკოსურის თასი. ფინალი. II წრე. 19 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 401 | სან ლორენსო (არგ)-ფლამენგო (ბრა) | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| | | **მერკონორტეს თასი. ფინალი. II წრე. 19 დეკემბერი** | | | |
| 03.15 | 402 | ემელეკი(ეკვ)-მილიონარიოსი(კოლ) | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| | | **კალათბურთი. 18 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 501 | შარლოტი-ნიუ იორკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.00 | 502 | კლივლენდი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 503 | მაიამი-იუტა | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 04.30 | 504 | ატლანტა-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 505 | მემფისი-მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 506 | მინესოტა-დალასი | 1,4 | 12,0 | 2.3 |
| 05.00 | 507 | ფინიქსი-კლიპერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 508 | ჰიუსტონი-პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 509 | დენვერი-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 07.00 | 510 | საკრამენტო-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 511 | ბოსტონი-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.00 | 512 | ვაშინგტონი-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 04.00 | 513 | ფილადელფია-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 514 | ნიუ ჯერსი-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 515 | ორლანდო-იუტა | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 05.00 | 516 | ინდიანა-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 517 | სან ანტონიო-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 518 | სიეტლი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 519 | გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 520 | ტორონტო-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 521 | ნიუ იორკი-მემფისი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 05.30 | 522 | დალასი-მილუოკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 06.00 | 523 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. IX ტური. 19 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 549 | ურალი-ოსტენდე | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.00 | 550 | ოლიმპიაკოსი-ალბა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 551 | კრკა-რეალი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 552 | პარტიზანი-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 553 | ვილერბანი-ტაუ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 554 | ციბონა-სკავოლინი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 555 | ბენეტონი-ეფესი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 556 | ულქერი-ჟალგირისი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 23.00 | 557 | პანათინაიკოსი-ცსკა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.00 | 558 | სკაილაინერსი-პერისტერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 559 | მაკაბი ტელ ავივი-შლიონსკი | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 23.30 | 560 | შარლერუა-უნიკახა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 23.30 | 561 | კინდერი-ბარსელონა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 562 | ოლიმპია-ლონდონი | 1,02 | 12,0 | 7,5 |
| 23.30 | 563 | პო ორტეზი-ზადარი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 564 | ბუდუჩნოსტი-სკიპერი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| | | **ჰოკეი. 18 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 565 | ბოსტონი-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 566 | აილენდერსი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 567 | ფილადელფია-სტ. ლუისი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 568 | კაროლინა-ოტავა | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 569 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 570 | მინესოტა-ანაჰაიმი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| | | **19 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 571 | ბუფალო-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 572 | პიტსბურგი-მონრეალი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 573 | ატლანტა-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 574 | ფლორიდა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 575 | დეტროიტი-ვანკუვერი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 05.00 | 576 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 06.00 | 577 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 06.00 | 578 | ფინიქსი-კალგარი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | | **20 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 579 | ბოსტონი-მონრეალი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 04.00 | 580 | ოტავა-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.00 | 581 | ფილადელფია-დალასი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 582 | ნიუ ჯერსი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 05.00 | 583 | ნეშვილი-ვანკუვერი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

**28 დეკემბრიდან „კროკოში“ საახალწლო შესვენებაა. მუშაობა 4 იანვარს განახლდება**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვიზიარებ, რუდი
## პატ რაილიმ ტომიანოვიჩს მიუსამძიმრა

14 დეკემბერი

**მაიამი 86:95 ნიუ ჯერსი**

მაიამი: სტრიკლენდი (4), ჯონსი (10), ჯე-
კონი (24), გრანტი (12 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (9 ქულა, 10 მოხსნა); ელისი (10), კარტერი (8), პაუსი (6), გილი (3), გეტლინგი

ნიუ ჯერსი: კიდი (13 ქულა, 11 პასი), კიტლზი (27), ვან ჰორნი (4), მარტინი (25), მაკკალოფი (4); ჯეფერსონი (9), ვილიამსი (6), კოლინზი (5), არმსტრონგი (2)

15 დეკემბერი

**ჰიუსტონი 73:76 მაიამი**

ჰიუსტონი: ნორისი (6), მობლი (17), ტორესი (12), ტომასი (26 ქულა, 11 მოხსნა), ვილისი (2 ქულა, 10 მოხსნა); მორისი (4), გრიფინი (4), ბრაუნი (2), კატო

მაიამი: სტრიკლენდი (12), ჯონსი (19), ჯეკსონი (15), გრანტი (6), მურნინგი (6); კარტერი (12), გილი (6), ელისი, სტეფანია (3 წუთი, 1 მოხსნა)

„მეტოქემ გვაჯობა სირბილში, ჩატენვებში, მოძრაობაში, მთლიანად თამაშში" — „ნიუ ჯერსისთან" მარცხის შემდეგ „მაიამის" მწვრთნელმა პატ რაილიმ ისიც აღიარა, რომ ყველაფერთან ერთად მან მეტოქის მწვრთნელთან პირადი დუელიც წააგო. პატ რაილის ნაცვლად ჩვენ გავამახვილოთ ყურადღება მეტოქის მწვრთნელზე, ბაირონ სკოტზე, ეს კაცი, რომელიც, სხვათა შორის, წინა სეზონში თავკაცობდა დღეს რაილის განკარგულებაში მყოფ ვლადიმერ სტეფანიას, 80-იან წლებში იმ „ლეიკერსში" თამაშობდა, რომელსაც ასე ნაყოფიერად წვრთნიდა პატ რაილი. სკოტი სულ მეორე წელია, მწვრთნელობას მისდევს და თითქოს ყოფილ მასწავლებელთან ამ საქმის ცოდნა-გამოცდილებით როგორ მივა, მაგრამ ფაქტი ჯიუტად სხვას ამტკიცებს. რაილის „მაიამი" ატლანტიკის ფსკერზეა, „ნიუ ჯერსი" კი თავმომწონედ ლიდერობს დივიზიონს.

ვინ იცის, როგორ სურდა „მაიამის" 213-სანტიმეტრიან ქართველ ცენტრ ვო... სტეფანიას 14 დეკემბერს მოედანზე შესვლა. იქ ხომ მისი ძველი და ახალი თანაგუნდელები შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისევე როგორც კიდევ ერთ ყოფილ გუნდთან — „სიეტლთან" შეხვედრაში, რაილიმ საჭიროდ არ ჩათვალა ვოვას თამაში. სამაგიეროდ, მას ქართველი გაახსენდა 15 დეკემბერს ჰიუსტონში, თუმც სამი წუთით მოედნის ორ ფარს შორის სირბილს განა თამაში დაერქმევა? ასე რომ, ფაქტობრივად ამ უქმეებმა უქმად ჩაიარა ნბა-ში ... ჩვედრილი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ქართველისთვის.

„მაიამი" ხშირად აგებს და რაილისაც მუდამ ბრძოლის შემდეგ უხდება მეტოქის სიძლიერის აღიარება. „ჰითი" „ნიუ ჯერსისთანაც" შეძლებისდაგვა... იბრძოდა. მასპინძლებმა მოახერხეს პირველ მეოთხედში 12-ქულიანი გარღვევის დაფარვა და შესანიშნავად ჩატარებული მეორე თორმეტწუთეულის შემდეგ დიდ შესვენებაზე ოთხქულიანი უპირატესობითაც წავიდნენ.



ტორონტო — ვაშინგტონი. მობერებული მაიკლ ჯორდანი შესაძლო მემკვიდრეს, ვინს კარტერს არ დაეჩაგვრინა

„ნიუ ჯერსი" მესამე მეოთხედში აფეთქდა, ნაპერწკალი კი კენიონ მარტინი გახლდათ. ამ ყმაწვილმა არად ჩააგდო, რომ „ჰითის" ფარქვეშეთში ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი ალონზო მურნინგი იდგა და ხელი მიჰყო თავხედურ გარღვევებსა და ...ოხდენილ ჩატენვებს. მარტინის თარეშით გათამამებულმა სტუმრებმა საკუთარი ...ძლიერე ირწმუნეს და მესამე მეოთხედი 31:18 მოუგეს მასპინძლებს, რომლებიც დარჩენილ დროში წელში ვეღარ გაიმართნენ.

ასევე დაძაბული გამოდგა შაბათის შეხვედრაც. „ჰიუსტონს" მანამდე ზედიზედ 12-ჯერ წაეგო. ზუსტად იმდენჯერ, რამდენჯერაც „მაიამის" მიმდინარე სეზონში, რაც სეზონის რეკორდია. „ჰითმა" ისარგებლა მეტოქის სისუსტით, რაც წამყვან მოთამაშეთა ტრავმების ბრალია, ზედიზედ მე-13 მარცხი აჰკიდა „როკიტსს" და საკუთარი ანტირეკორდიც მას გადააბარა.

დაძაბულ შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მაიამელი ჯიმ ჯეკსონის ბოლო წამებზე ჩაგდებული სამქულიანი.

„არ ვწუწუნებ, მაგრამ იძულებული ვარ, ვთქვა, რომ ხუთი მოთამაშე გვაკლია, მათგან სამი სასტარტო ხუთეულის წევრია. ნბა ჩინებული ლიგაა. კარგი მოთამაშეები თუ არ გყავს სკამზე, წასაგებად ხარ განწირული. ჩვენც ვაგებთ" — ამბობს „ჰიუსტონის" თავკაცი რუდი ტომიანოვიჩი.

პატ რაილისთვის ტომიანოვიჩის მდგომარეობა ამ ერთი წლის წინ იქნებ ძნელი გასაგები ყოფილიყო, მანამდე მას 12 და 13 კი არა, ზედიზედ ხუთი თამაში არ წაეგო. წლეულს კი იგი თავად იყო ტომიანოვიჩის მდგომარეობაში. რაილიმ კოლეგიალობა გამოიჩინა და ნამატჩევს თბილად გამოელაპარაკა ოპონენტს, რაც ძალიან ჰგავდა მისამძიმრებას.



დენვერი — ფინიქსი. პენი ჰარდევეიმ და შონ მარიონმა (№ 31) ვოშონ ლენარდი არ გაატარეს

14 დეკემბერი

**ფილადელფია 80:96 მილუოკი**

ფილადელფია: აივერსონი (17), კოულმენი (16 ქულა, 13 მოხსნა)

მილუოკი: რობინსონი (34 ქულა, 10 მოხსნა), კასელი (19 ქულა, 11 პასი

**ვაშინგტონი 96:80 ნიუ იორკი**

ვაშინგტონი: ჰამილტ...ი (34), ჯორდანი (19)

ნიუ იორკი: ჰარინგტონი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი 107:101 ჩიკაგო**

ბოსტონი: პირსი (38 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (20 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

ჩიკაგო: მერსერი (23), ენტონი (19 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ფიზერი (18)

**მინესოტა 114:94 საკრამენტო**

მინესოტა: გარნეტი (29 ქულა, 24 მოხსნა, 8 პასი), შჩერბიაკი (28)

საკრამენტო: ვებერი (26), თურქოღლუ 25)

**ფინიქსი 93:105 სან ანტონიო**

ფინიქსი: როჯერსი (29 ქულა, 12 მოხსნა), მარბერი (27)

სან ანტონიო: დანკანი (32 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება), სმიტი (19)

**იუტა 93:85 პორტლენდი**

იუტა: მარშალი (25), მელოუნი (24 ქულა, 13 მოხსნა)

პორტლენდი: ვოლესი (18)

**ლეიკერსი 110:80 კლიპერსი**

ლეიკერსი: ონილი (28 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (25)

კლიპერსი: ოდომი (17)

„ვაშინგტონ ვიზარდსს" ვეღარ იცნობთ. მას შემდეგ, რაც მაიკლ ჯორდანმა თავის გუნდზე თქვა, ავყროლდითო, დედაქალაქელებმა ხელი გამოილეს და ბევრი გაამწარეს, მათ შორის „ნიუ იორკი". ეს იყო მათი ზედიზედ მეხუთე გამარჯვება, რომელშიც ლომის წილი ეკუთვნოდა არა ჯორდანს, არამედ რიჩარდ ჰამილტონს, რომელმაც ამ ბოლო ხანებში დიად მაიკლს გუნდში პირველი მექულის წოდება ჩამოართვა, ამით ჯორდანი ძალიან კმაყოფილია.

„ვფიქრობ, ვიპოვეთ ჩვენი გზა და შევდექით რელსებზე. ბიჭები უკვე ხვდებიან, როდის რის გაკეთებაა საჭირო. „ნიქსი" დაღლილი იყო და ეს გამოვიყენეთ, ახლა უკეთ ვსარგებლობთ მეტოქეთა სუსტი წერტილებით. ვფიქრობ, სეზონის დასაწყისში ასეთ თამაშს წავაგებდით" — თქვა ჯორდანმა და იქვე ყმაწვილი ჰამილტონი შეაქო.

ჰამილტონი ჭეშმარიტად იმსახურებდა ქებას. წლევანდელ სეზონში უმეტესი 34 ქულიდან 27 პირველ ნახევარში ჩაუგდო „ნიქსს". „ვაშინგტონმაც" პირველი ტაიმი 13 ქულით მოიგო და ინერტულ მეტოქეს ადრევე მოუთავა ხელი.

ფიცხელ ბრძოლას ელოდნენ მინეაპოლისში, სადაც იქაური „მინესოტა" „საკრამენტოს" მასპინძლობდა, მაგრამ თამაში არცთუ დაძაბული გამოდგა. ადგილობრივმა „მგლებმა" იოლად შეჭამეს „მეფეები". მასპინძლები პირველი მეოთხედის შემდეგ 12 ქულით აგებდნენ, თუმც დარჩენილი დრო 91:59 მოიგეს (მესამე მეოთხედში 34:14 იმარჯვეს). საკრამენტოელები ვერ დაიჩივლებენ, პირველი მექულე პრედრაგ სტოიაკოვიჩი არ გვყავდა და ამან დაგვასუსტაო, რამეთუ მისმა შემცვლელმა ჰიდაიეთ თურქოღლუმ შესანიშნავად ითამაშა და „კინგზს" 25 ქულა შეაშველა, ამაოდ კი დაშვრა.

„მინესოტამ" ფარზე გააცამტვერა მეტოქე — 61:35, აჯობა მოხსნებში. მასპინძელმა კევინ გარნეტმა 24 ბურთი მოხსნა და კლუბის (პირადიც) ყველა დროის რეკორდი დაამყარა.

15 დეკემბერი

**გოლდენ სტეიტი 93:84 მემფისი**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (20), ფორტსონი (17 ქულა, 15 მოხსნა)

მემფისი: ვილიამსი (18), სვიფტი (16)

**პორტლენდი 117:106 ორლანდო**

პორტლენდი: ვოლესი (37 ქულა, 13 მოხსნა), პატერსონი (24), სტუდემაიერი (18 ქულა, 10 პასი), ანდერსონი (18)

ორლანდო: მაკგრეიდი (36), მილერი (18)

**დენვერი 106:98 ფინიქსი**

დენვერი: ვან ექსელი (24 ქულა, 10 პასი), ლენარდი (19), ლაფრენცი (19)

ფინიქსი: მარბერი (27), როჯერსი (18), ჰარდევეი (16 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

**დალასი 125:117 მინესოტა**

დალასი: ფინლი (30), ნოვიცკი (21 ქულა, 15 მოხსნა), ნეში (25), ჰოვარდი (19)

მინესოტა: შჩერბიაკი (27), გარნეტი (23)

**სან ანტონიო 100:80 იუტა**

სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 10 მოხსნა), დანიელსი (18)

იუტა: მელოუნი (31), კირილენკო (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო 79:80 ატლანტა**

ჩიკაგო: მერსერი (15)

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (20)

**მილუოკი 115:95 ინდიანა**

მილუოკი: რობინსონი (22), ალენი (21), რიდი (21), კასელი (19 ქულა, 11 პასი)

ინდიანა: ჰარინგტონი (26)

**შარლოტი 97:106 ბოსტონი**

შარლოტი: ვესლი (24), დევისი (18)

ბოსტონი: პირსი (30 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (18 ქულა, 10 მოხსნა)

**კლივლენდი 91:94 ფილადელფია**

კლივლენდი: პერსონი (28), მილერი (14 ქულა, 22 პასი, 9 ჩაჭრა)

ფილადელფია: აივერსონი (40)

შაბათს „კლივლენდის" გამთამაშებელ-ლიდერმა ანდრე მილერმა სასწაულები აკეთა — 14 ქულასთან ერთად კარიერაში სარეკორდო 22 პასი და ცხრა ჩაჭრა მიითვალა, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც წააგო, რადგან ანდრე მილერის მონახვეჭი მეტოქე გუნდის, „ფილადელფიას" ლიდერ ალენ აივერსონის 40 ქულამ გადაწონა. „ფილადელფიამ" ბოლო რვა ცდიდან პირველად დაამარცხა მეტოქე.

16 დეკემბერი

**ტორონტო 88:93 ვაშინგტონი**

ტორონტო: კარტერი (23), ვილიამსი (17), პეტერსონი (16)

ვაშინგტონი: ჰამილტონი (27), ჯორდანი (21)

**ნიუ იორკი 96:114 ნიუ ჯერსი**

ნიუ იორკი: [illegible]

ნიუ ჯერსი: კეტლიზი (27), [illegible] (26), კიდი (18 ქულა, 14 პასი)

**სიეტლი 114:91 ორლანდო**

სიეტლი: პეიტონი (25), ბერი (22)

ორლანდო: მილერი (23)

**ლეიკერსი 108:85 გოლდენ სტეიტი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ონილი (20)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (16)

**საკრამენტო 104:87 მემფისი**

საკრამენტო: ვებერი (22), ვოლესი (20), დივაცი (18)

მემფისი: გასოლი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**კლიპერსი 82:77 დეტროიტი**

კლიპერსი: ოდომი (25)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (26)

ტორონტოში ჩასულმა და იქაურ „დინოზავრებთან" დაჭიდებულმა დედაქალაქელმა „ჯადოქრებმა", როგორც მოედანზე მათ წინამძღოლ მაიკლ ჯორდანს უყვარს თქმა, საკუთარ თავს აჯობეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათმა მეტოქემ წააგო. მეტოქედ კი ჯორდანს და კამპანიას თვით ჯორდანის ერთერთი მემკვიდრე, ვინს კარტერი და სხვა ყოჩაღი ბიჭები ჰყავდა, რომელთაც აღმოსავლეთში პირველობის პრეტენზია გასჩენიათ.

ჯორდანსა და კარტერს, ძველ და ახალ მფრინავ-საოცრებათა შორის პირადი დუელი ერთ-ერთი მათგანის აბსოლუტური უპირატესობით დაიწყო. ოღონდ, რადგან ჯორდანის გუნდმა მოიგო, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ჯორდანი გახლდათ. საწყის წუთებში ყმაწვილი კარტერი უმოწყალოდ უსწორდებოდა მოხუც მეურვეს. პირველ მეოთხედში 19 ქულა ჩააგდო და ეს მონაკვეთი „ტორონტოს" 34:23 მოაგებინა. კარტერი გულშემატკივარიც ხარობდა, ჯერაც ბევრისშემძლე ჯორდანი ბევრი არაფერი ყოფილაო, მაგრამ ვინც მსგავსი რამ გადაულაპარაკა ტრიბუნაზე მეზობელს, შემდეგ ენაზე იკბინა. პირველი მეოთხედის შემდეგ კარტერმა ოთხი ქულალა მოინაგრა. სამაგიეროდ, ჯორდანის ჯერი დადგა და როცა მისმა თანაგუნდელებმაც გამოიღეს ხელი, ცხადი გახდა — „ვაშინგტონი" ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას გამოსჭედდა.

**ირაკლი ფირცხალავა**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 15 | 7 | 68,2 |
| ბოსტონი | 14 | 7 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 11 | 12 | 47,8 |
| ორლანდო | 12 | 14 | 46,2 |
| ნიუ იორკი | 1[illegible] | 13 | 45,8 |
| ფილადელფია | 9 | 14 | 39,1 |
| მაიამი | 5 | 17 | 22,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 14 | 7 | 66,7 |
| მილუოკი | 13 | 7 | 65,0 |
| ინდიანა | 13 | 12 | 52,0 |
| ტორონტო | 12 | 12 | 50,0 |
| შარლოტი | 11 | 12 | 47,8 |
| ატლანტა | 9 | 14 | 39,1 |
| კლივლენდი | 9 | 14 | 39,1 |
| ჩიკაგო | 4 | 18 | 18,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| სან ანტონიო | 17 | 4 | 81,0 |
| მინესოტა | 16 | 6 | 72,7 |
| დალასი | 15 | 9 | 62,5 |
| იუტა | 11 | 13 | 45,8 |
| დენვერი | 9 | 14 | 39,1 |
| ჰიუსტონი | 7 | 18 | 28,0 |
| მემფისი | 5 | 18 | 21,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 18 | 3 | 85,7 |
| საკრამენტო | 18 | 7 | 72,0 |
| ფინიქსი | 14 | 11 | 56,0 |
| კლიპერსი | 13 | 11 | 54,2 |
| პორტლენდი | 11 | 11 | 50,0 |
| სიეტლი | 11 | 15 | 42,3 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 16 | 36,0 |

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, 12 საათზე „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა






ჯონ რუისის მუშტმა ევანდერ ჰოლიფილდის დაცვა გაარღვია

REUTERS



დღევანდელი კრივის მართლა დონმა და მართლა კინგმა ჯონ რუისს ხელი გაუმართა

# რუისი ჩემპიონია ფრე ჰოლიფილდი არ ბრაზობს

WBA-ს ვერსიით მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი კვლავ ჯონ რუისია — მისი და პრეტენდენტის, ევანდერ ჰოლიფილდის 12-რაუნდიანი ბრძოლა ფრედ დასრულდა.

საერთო შთაბეჭდილება ისეთი დარჩა, რომ კონექტიკუტის შტატის ქალაქ მაშანტუკეტის საზოგადოებამ უფრო ჭიდაობა იხილა, ვიდრე მუშტი-კრივი. ეს განსაკუთრებით პირველ რაუნდებზე ითქმის.

სულ პირველ რაუნდში ჰოლიფილდმა რუისს ცხვირი გაუტეხა, რაზეც რუისის ასისტენტებმა პროტესტი გამოთქვეს, მეტოქემ მუშტი კი არა, იდაყვი გამოიყენაო. კიდევ, რუისის ასისტენტები იმას ჩიოდნენ, ჰოლიფილდი ხშირად ჩვენი მებრძოლის ყელს ეტმასნებოდაო. ალბათ, ყელში კბენას თუ უფრთხოდნენ.

საჩივარი ოთხგზის ჩემპიონსაც ჰქონდა. მისი აზრით, რუისი სულ ეკიდებოდა და ებღაუჭებოდა.

მე-11 და მე-12 რაუნდებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჰოლიფილდმა ახლანდელი ჩემპიონი მარწუხებში მოიქცია, მაგრამ 40 წლის მოკრივემ ამ უპირატესობის ზუსტ დარტყმებად ქცევა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, რუისი, რომელიც მეტოქეზე ათი წლით უმცროსია, ბოლოს გაცილებით დაღლილი ჩანდა და მართლაც ეკიდებოდა ჯანიან ვეტერანს.

ყველაზე სასეირო მე-10 რაუნდი გამოდგა. ოთხგზის ჩემპიონმა მეტოქე კუთხეში მოიმწყვდია და კარგი კომბინაციით თავში უთავაზა, მაგრამ ახლანდელი ჩემპიონი გასხლტა და საკუთარ ყბას ერთი-ორი გამოსაფხიზლებელი უთავაზა.

საბოლოოდ ქულები ასე დათვალეს: მსაჯმა ჯული ლიდერმანმა 116-112 ჰოლ ი -ფილდს მოაგებინა, დონ ონილმა 115-113 გამარჯვება რუისს მიაკუთვნა, ხოლო ტომი კაშმარეკმა ფრე ბრძანა 114-114.

„აშკარად გავიმარჯვე. ცოტა კი გამიჯანჯლდა, მაგრამ გავიმარჯვე. თუმცა გული მაინც დამწყდა, მე ხომ ნოკაუტი მინდოდა. მართალია, მეტოქემ ერთხელ კარგი დარტყმა მითავაზა, მაგრამ გონს მოვეგე და ბოლომდე დავდექი“ — თქვა ბრძოლის შემდეგ რუისმა.

ჰოლიფილდის პოზიცია კი ასეთი გახლდათ: „ცხადია, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მე გავიმარჯვე, მაგრამ მსაჯებისა რა მოგახსენოთ. ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

შემდეგ მას ჰკითხეს, სპორტიდან წასვლას ხომ არ აპირებთო. პასუხი ასეთი გახლდათ: „არც ახლა მივდივარ და არც მომავალში წავალ“.

შეგახსენებთ, რომ ეს იყო რუისისა და ჰოლიფილდის მესამე ბრძოლა. პირველი რუისმა მოიგო, მეორე ჰოლიფილდმა, მესამე კი, როგორც მოგახსენეთ, ფრედ დასრულდა.

და ისევ ჰოლიფილდი: „ამ ფრის გამო ნამდვილად არ გავბრაზდები. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, გამარჯვებასაც ვიმსახურებდი, ახლა კი დარბაზს დავუბრუნდები და უფრო მეტი მონდომებით განვაგრძობ ვარჯიშს“.

**ტუტა სიხარულიძე**

ავტორბოლა




აი, ესეთი გაუვალობა სჭირს „სილვერსტოუნის“ მისადგომ გზებს

# სილვერსტოუნი გადაარჩინეს

## ოღონდ კეთილები არ შეარჩინეს

**ავტორბოლის** საერთაშორისო ფედერაციის (ფია) კონგრესზე დებატების შემდეგ გადაწყდა: ფორმულა 1-ის უძველეს რბოლას, „დიდი ბრიტანეთის გრან პრის“, რომელიც სილვერსტოუნის ავტოდრომზე ტარდება, ისტორიის ხავსი კიდევ ერთხანს არ მოეკიდება. „სილვერსტოუნს“ ბოლო შანსი მიეცა, რბოლა 2002 და მომდევნო წლების კალენდარში შეიტანეს.

მოკლედ პრობლემის შესახებ: ავტოდრომზე მისასვლელ გზათა უხეირობის გამო 2000 წლის ეტაპს მრავალი მაყურებელი გამოაკლდა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც წლეულს ყოფილა. „ფორმულის“ შეფები ისტორიის ხათრით აქამდე ითმენდნენ, მაგრამ ყელში რომ ამოუვიდათ, დაიმუქრნენ.

ბრიტანელთა დაფაცურებამ ნაყოფი მოიტანა და აი, ფია-ს კონგრესის ვერდიქტიც — ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბმა, რომელიც „სილვერსტოუნზე“ რბოლებს მართავს, 5 მილიონი დოლარი ფია-ში გარანტიად უნდა მიიტანოს და თავიდან 10,6 მილიონი გირვანქა გზების კეთილმოწყობაზე უნდა დახარჯოს (უკვე შევუდექითო, ირწმუნებიან ალბიონიდან). თუ ბრიტანელებმა ვერ ივარგეს და საგაისო ეტაპზეც ფია უკმაყოფილო დარჩა, ეტაპი გაუქმდება და იმ ხუთმა მილიონმაც მოსჭამა ჭირი თავის პატრონებს.

ფია-ს ჩინოვნიკები კონგრესზე მართლა აღრენილები იყვნენ და მაგარ-მაგარი რამეები თქვეს. გამოირჩეოდა პრეზიდენტი მაქს მოსლი, რომელმაც მერე ჟურნალისტებსაც მიმართა.

„ფორმულა 1 ოლიმპიადის და ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დარი შეჯიბრება გახდა — თქვა მოსლიმ — ამიტომ უწესრიგობის უფლება არავის აქვს. ჩვენ დიდი ხანია ვცდილობთ, ვაიძულოთ ორგანიზატორები, რამე შეცვალონ, მაგრამ ბოლო ათ წელიწადში ერთადერთი, რაც „სილვერსტოუნზე“ გაკეთდა, სასახლეა ბრიტანეთის სამეფო კლუბის წევრებისთვის. „ბრიტანეთის გრან პრი“ აქამდე ჩემი და ბერნი ეკლსტოუნის ძალისხმევით გადარჩა, რადგან ჩვენ ბრიტები ვართ და სამშობლოს უფორმულოდ დატოვება არ გვსურდა. მაგრამ, მორჩა: ჩვენ მათ ბოლო შანსი მივეცით.“

ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ...

**დავით გულუა**

ჩოგბურთი

# მისი წმინდა ვალი არის...

## ბალკანეთის მთებში მწოლი ქართველის დანაბარები ბალკანეთის მთების შვილებს უფრო მსმით



REUTERS

გაჭარისკაცებული ჩემპიონის ფიცის მიღებას მისი მამა და მეჯნური ესწრებოდნენ



„მშობლიურო ჩემო მიწავ...“ გორან ივანიშევიჩის შესრულებით

ყველა ჩოგბურთელის ნანატრი უიმბლდონის მოგებისთანავე გორან ივანიშევიჩი ხორვატებმა გაალმერთეს, ოვაციებით დახვდნენ, საჩუქრებით აავსეს და ჯარში გაუშვეს: სადღეისოდ ნომერ პირველ ხორვატს თურმე ქვეყნის წინაშე ყველა ვაჟკაცისთვის აუცილებელი ვალი სდებია. ახლა ეს ჩვენი გორანი მწყობრად დააბიჯებს პლაცზე და სამხედროთა მასაში თითქმის არა ჩანს, თუმცა მარჯვე ფოტოგრაფები ჟამიდან ჟამამდე მის გადაღებას მაინც ახერხებენ, თან ისეთ მნიშვნელოვან მომენტებში, როგორიცაა ფიცის მიღება, მამის და გელფრენდის სტუმრობანი. გორანის მამას უხერხულად სათქმელი სრდიანი ჰქვია, კოხტა გოგოს კი — ტანია დრაგოვიჩი.

**დავით გულუა**

# პოგენბანდი იმ წყალში არ გადავარდა



პეტერ მანკოჩი

**პატარა** წყლის ევროპის ჩემპიონატის მესამე-მეოთხე დღის გაცურვებიდან თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, უპირველესი სლოვენიელი პეტერ მანკოჩია. 100 მეტრზე კომპლექსური ცურვის ნახევარფინალში მანკოჩი აუზის კიდეს 52,63 წამში შეეხო. ეს ამერიკელი ნეილ უოლკერის შარშანდელ მსოფლიოს რეკორდზე 52,79 უკეთესი მაჩვენებელია. ნათელი გახდა, რომ 23 წლის მსოფლიოს ახალ რეკორდსმენს ფინალში წარმატება არ უნდა გასჭირვებოდა და ასეც მოხდა, 200 მეტრზე ამავე დისციპლინაში ჩემპიონობას აქ გამარჯვებაც დაურთო.

50 მეტრზე ბრასის ფინალს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია. პრიზიორთა შორის სხვაობა მხოლოდ წამის მეათედები იყო. პირველობა კი უკრაინელმა ოლეგ ლისოგორმა მოიპოვა. მას ხელის ერთ მარჯვედ მოსმა დააკლდა, რათა მსოფლიოს რეკორდსმენობაც ეზეიმა, მეორეზე კი სწორედ იმ მსოფლიოს რეკორდის ავტორი გერმანელი მარკ ვარნეკი გავიდა.

„ვარნეკთან შეჯიბრი ძალიან ძნელი იყო, თუმც იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ მის შედეგს — 26,70 სულ რაღაც ერთი მეასედი წამი ჩამოვაკელი. ვიმედოვნებ, მალე მეტს შევძლებ" — განაცხადა ლისოგორმა.

„ლისოგორმა დღეს ძალიან სწრაფად გაცურა. მიუხედავად ჩემი მეორე შედეგისა, უკმაყოფილო მაინც არა ვარ. წინ კიდევ ბევრი შეხვედრა გველის. ჯერი ჩემზეა. მომავალში მე მას დავამარცხებ" — ვარნეკი დუელში იწვევს უკრაინელს.

ევროპის ჩემპიონატს უსიურპრიზოდაც არ ჩაუვლია. სლოვენიელმა ანია კარნანმა 400 მეტრზე „თავისუფალში" ჩემპიონატის რეკორდით მქუხარე სახელის მქონე უკრაინელ იანა კლოჩკოვას მოუგო. კლოჩკოვამ თავისი წარუმატებლობა გადაღლილობას დააბრალა. „გულსატკენია, როდესაც წარმატებამდე ერთი ნაბიჯი გაკლდება, ფინალური მეტრების გადალახვა ძალიან გამიჭირდა" — თქვა მან.

კლოჩკოვა მისთვის საფირმო დისციპლინაში, 400 მეტრზე კომპლექსურშიც დამარცხდა გერმანელ ნიკოლე ჰეცერთან, რომელმაც ევროპის რეკორდიც დაამყარა — 4.29,46.

„მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს შევძელი. გერმანიის რეკორდის გაუმჯობესებას ვგეგმავდი, ევროპის რეკორდი კი დავამყარე. კლოჩკოვა ბრასით ასპარეზობაში მოიკოჭლებს და როდესაც ჯერი ამაზე მიდგა, სწორედ აქ შევუტიე ორმაგი შემართებით" — საკუთარ სტრატეგიას გვამცნობს ჰეცერი.

100 მეტრზე „თავისუფალში" ტიტული დაიცვა შვედმა სტეფან ნისტრანდმა. თუ 50 მეტრზე ამავე დისციპლინაში ასე თუ ისე იოლად გაუმკლავდა ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰოგენბანდს, ამჯერად მისგან მეტ წინააღმდეგობას წააწყდა, თუმც მაინც გაიმარჯვა.

„მთელი დარჩენილი ენერგიის გალება დამჭირდა. მიუხედავად ამისა, სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც პიტერის დარ სპორტსმენს ამარცხებ" — კმაყოფილი ნისტრანდი.

შვედთან მარცხის შემდეგ, ბოლო დღეს ჰოგენბანდიც ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. 50 მეტრზე ბრინჯაოსა და 100 მეტრზე ვერცხლის შემდეგ ჰოლანდიელმა 200 მეტრზე „თავისუფალში" იყოჩაღა, თუმც აქ მისგან მარცხს არც არავინ ელოდა. ჰოგენბანდმა, რომელიც დიდი წყლის დიდოსტატად ითვლება, საკუთარი ევროპის რეკორდიც — 1.44,00 გააუმჯობესა — 1.42,46.

„გამარჯვება ჰაერივით მჭირდებოდა. მინდოდა, რამე აუცილებლად მომეგო. ასპარეზობის კარგი განწყობით დატოვებას რა სჯობს" — კმაყოფილება ვერ დაფარა ჰოლანდიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

შარშანდლისგან განსხვავებით, ევროპის ჩემპიონატზე პირველობა ამჯერად გერმანელებმა დაისაკუთრეს. რვა-რვა ოქრო-ვერცხლითა და ხუთი ბრინჯაოთი მათ მეორე ადგილზე დატოვეს შარშან საუკეთესო შვედები — 7 ოქრო, 4 ვერცხლი და 6 ბრინჯაო.

**ბიბა ბურასაშვილი**



ნიკოლ ჰეცერი



ილონა ჰლავაჩკოვა

## ევროპის ჩემპიონატი

### ტექნიკური შედეგები

**ვაჟები**

1500 მ. თავისუფალი
1. იორგ ჰოფმანი (გერმანია) 14.41,20
2. ალექსეი ფილიპეცი (რუსეთი) 14.41,98
3. ნიკოლას როსტუჩე (საფრანგეთი) 14.47,47

200 მ. ბატერფლაი
1. ჯეიმს ჰიკმანი (დიდი ბრიტანეთი) 1.52,93
2. დენის სილანტიევი (უკრაინა) 1.53,34
3. ანატოლი პოლიაკოვი (რუსეთი) 1.53,54

100 მ. თავისუფალი
1. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 47,15
2. პიტერ ვან დენ ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 47,42
3. რომან ბარნიე (საფრანგეთი) 47,53
3. დუიე დრაგანია (ხორვატია) 47,53

50 მ. ბრასი
1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) 26,71
2. მარკ ვარნეკი (გერმანია) 26,75
3. დარენ მიუ (დიდი ბრიტანეთი) 26,85

200 მ. ბრასი
1. მაქსიმ პოდოპრიგორა (ავსტრია) 2.07,79
2. იან ედმონდი (დიდი ბრიტანეთი) 2.08,03
3. დანიელ მალეკი (ჩეხეთი) 2.09,07

100 მ. კომპლექსური
1. პეტერ მანკოჩი (სლოვენია) 52,94
2. იენს კრუპა (გერმანია) 54,10
3. იანი სიევინენი (ფინეთი) 54,17

200 მ. თავისუფალი
1. პიტერ ვან დენ ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 1.42,46
2. კვეტოსლავ სვოდობა (ჩეხეთი) 1.44,78
3. შტეფან. ჰერბსტი (გერმანია) 1.45,32

100 მ. გულაღმა
1. ტომას რუპრატი (გერმანია) 50,99
2. სტივ ტელოკი (გერმანია) 51,92
3. გრეგორ ტაიტი (დიდი ბრიტანეთი) 52,90

50 მ. ბატერფლაი
1. ლარს ფროლანდერი (შვედეთი) 23,07
2. მარკ ფოსტერი (დიდი ბრიტანეთი) 23,11
3. ტერო ვალიმა (ფინეთი) 23,59

4X50 თავისუფალი
1. უკრაინა (დენის სილანტიევი, ალექსანდრ ვოლინეცი, ოლეგ ლისოგორი, ვიაჩესლავ შირშოვი) 1.26,09
2. ჰოლანდია 1.26,32
3. შვედეთი 1.26,77

**ქალები**

400 მ. თავისუფალი
1. ანია კარნანი (სლოვენია) 4.02,72
2. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.02,79
3. ირინა უფიმცევა (რუსეთი) 4.05,68

100 მ. კომპლექსური
1. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 1.00,16
2. ალენკა კეიზარი (სლოვენია) 1.00,90
3. ოქსანა ვერევკა (რუსეთი) 1.01,92

50 მ. გულაღმა
1. ილონა ჰლავაჩკოვა (ჩეხეთი) 27,06
2. ანუ კოივისტო (ფინეთი) 27,75
3. ჟანინ პიჩი (გერმანია) 27,79

4X50 კომპლექსური
1. შვედეთი (ტერეზა ალსამარი, ემა იგელსტრომი, ანა-კარინ კამერლინგი, იოანა სიობერგი) 1.48,32
2. გერმანია 1.49,92
3. ჰოლანდია 1.50,00

400 მ. კომპლექსური
1. ნიკოლ ჰეცერი (გერმანია) 4.29,46
2. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 4.31,31
3. ალენკა კეიზარი (სლოვენია) 4.33,46

200 მ. თავისუფალი
1. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 1.54,74
2. სოლენ ფიგუსი (საფრანგეთი) 1.55,83
3. ალისა რისი (გერმანია) 1.57,34

100 მ. ბრასი
1. ანე პოლესკა (გერმანია) 1.07,25
2. მირნა იუკიჩი (ავსტრია) 1.07,59
3. ჰეიდი ერპი (დიდი ბრიტანეთი) 1.08,25

100 მ. ბატერფლაი
1. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 57,20
2. იოანა სიობერგი (შვედეთი) 57,79
3. ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) 57,98

200 მ. გულაღმა
1. სარა პრაისი (დიდი ბრიტანეთი) 2.04,59
2. ნიკოლ ჰეცერი (გერმანია) 2.06,65
3. ანუ კოივისტო (ფინეთი) 2.07,10

50 მ. თავისუფალი
1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) 23,89
2. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 24,09
3. იოანა სიობერგი (შვედეთი) 24,61



მსოფლიოს ჩემპიონატი ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსი დიაცების ისტორიული ტრიუმფი

# დაბლა სლავები, მაღლა სლავები

## ნორვეგია გაჭყლიტეს

**ვერავინ** წარმოიდგენდა, რომ რუსეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა, ალბათ თავად ტრიუმფატორებიც კი. მართალია, მათი აშკარად ძლიერი გუნდი ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდა, მაგრამ მხოლოდ წინა პირველობის გამარჯვებულ ნორვეგიისა და სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონ დანიის შემდეგ.

სლავი ქალების უწინდელი წარმატებები დაკავშირებული იყო კიევის „სპარტაკის" სუპერკლუბის ბაზაზე შექმნილ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან, რომელსაც ლეგენდარული უკრაინელი მწვრთნელი. იგორ ტურჩინი წინამძღოლობდა. დიდი იმპერიის დაშლის შემდეგ ეს ყველაერი, ცხადია, ისტორიას ჩაბარდა. ასე რომ, ჩრდილოეთ იტალიის პატარა ქალაქ მერანოს „მერანარენაზე" ტრიუმფი დამოუკიდებელი რუსეთისთვის ასეთი დონის პირველი მიღწევაა. ხუმრობა საქმე — გუნდმა ტურნირზე ცხრავე შეხვედრა მოიგო, თანაც ისე, გამარჯვება სათუო ერთხელაც არ გამხდარა, გზიდან კი ყველაზე ტიტულიანი მეტოქეები — ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები ჩამოიცილა. ისიცაა სათქმელი, რომ რუსები ტექნიკით ბევრ მოწინააღმდეგეს ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ თავიანთი ტრადიციული კოლექტივიზმითა და ძალისმიერი თამაშით მიაღწიეს მიზანს. დანიელებთან ნახევარფინალური მატჩი მათთვის მეტად უხეიროდ დაიწყო — ოლიმპიურმა ჩემპიონებმა პირველივე წუთებზე ხუთბურთიანი (6:1) უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ რუსეთის დამსახურებულ მწვრთნელ ევგენი ტრეფილოვის გოგოებმა მალე დაძლიეს მღელვარება, მეკარე ანა სუსლინა სათადარიგო სვეტლანა ბოგდანოვამ შეცვალა. იგი მშვენივრად ჩაერთო თამაშში და რუსების ძალოვან-კოლექტიური მანქანაც ამოქმედდა: ტაიმის მიწურულს სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 11:12. მეორე ნახევრის დაწყებიდან ორ წუთში მატჩის გმირმა ელენა ჩაუსოვამ ანგარიში გაათანაბრა, სამი წუთის მერე კი ლარისა ბოდნიევამ პირველად დააწინაურა თავისიანები. კარგა ხანს თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო ხუთ-ექვს წუთიანი მონაკვეთი, როდესაც რუსებმა ოთხი ბურთით (5:1) იძალეს. ჩაუსოვამ საბოლოოდ ათი გოლი მიითვალა, რაც გამთამაშებლისთვის ჩინებული შედეგიანობაა.

ფინალში რუსეთის მეტოქე ნორვეგია გახლდათ. სკანდინაველებს წინა დღეს უმძიმესი ბრძოლა გადახდათ ჩემპიონატის აღმოჩენის — იუგოსლავიის ნაკრების დასამარცხებლად. აქვე აღვნიშნავთ, რომ იუგების შეტევის ხაზი ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა — ცხრა თამაშში 301 გოლი (საშუალოდ 33) ვაჟებსაც შეშურდებათ. მსოფლიოს ჩემპიონებმა მხოლოდ დამატებით დროში მოახერხეს უტიტულო მეტოქეთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა.

ეტყობა, მთავარი მიზეზიც ეს იყო, რომ ნორვეგიელები გადამწყვეტ შეხვედრაში ულიმღამოდ გამოიყურებოდნენ. მათ ვერაფერი დაუპირისპირეს მოწინააღმდეგის სწრაფ იერიშებს და უკვე მეათე წუთისთვის საგრძნობლად ჩამორჩნენ — 2:7. ტაიმის ბოლოს სხვაობა უფრო გაიზარდა — 12:18, მატჩის ბედიც პრაქტიკულად გადაწყდა, რადგან წინა დღის მომქანცველი წვალებით ძალაგაცლილი ჩემპიონები რუსთა შეკრული გუნდის მომრევნი არ იყვნენ. ნორვეგიელებს ვერც მათი ლეგენდარული მეკარის, სესილი ლეგანგერის ოსტატობამ უშველა და ვერც „ნორვეგიულ ტურბოდ" მონათლულ სუპერმეგოლე კირსტი გრინის შედეგიანობამ. ვეტერანმა ბომბარდირმა, რომელიც 14 წელია იცავს თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსებას, სწორედ ამ ტურნირზე გადალახა ათასგოლიანი (!) ზღვარი. გრინმა ფინალშიც შედეგიანად ითამაშა, მაგრამ საბოლოოდ რუსთა კოლექტივიზმი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

**რუსეთი:** ბოგდანოვა, ალიზარი; ბოდნიევა (5), პოლტორაცკაია (5), კარეევა (4), მურავიოვა (4), ჩაუსოვა (3), იგნატჩენკო (3), დიადეჩკო (3), დოლგიხი (2), ვერაკსო (1), რომენსკაია

**ნორვეგია:** ლეგანგერი, კოპერუდსი; გრინი (9), დუპოლტავენსკი (5), სორლი (3), როკნე (3), სანდვე (2), ნიამარპინკელუ (1), ჰამერსენგი (1), ჰილმოე (1), ლუნდე, ტუვენი

**გია ახალაძე**

| 15 დეკემბერი |
|---|
| ნახევარფინალი |
| რუსეთი 26:20 დანია |
| ნორვეგია 34:33 დდ. იუგოსლავია |
| 16 დეკემბერი |
| ფინალი |
| რუსეთი 30:25 ნორვეგია |
| მე-3 ადგილისთვის |
| იუგოსლავია 42:40 დდ. დანია |
| მე-5 ადგილისთვის |
| საფრანგეთი 31:30 დდ. უნგრეთი |
| მე-7 ადგილისთვის |
| ავსტრია 33:31 შვედეთი |

# ცხოვრება სლალომია

## სიკვდილი და სიცოცხლე: თხილამურების ნაკვალევმა ორმა პარალელურმა ხაზმა გადაკვეთას შეშინა

**ვაჟთა** სამი და ქალების ორი ეტაპით გაგრძელდა უქმეებზე მსოფლიოს თასი. პირველების მხოლოდ შედეგებს ვიტყვით, რადგან გამორჩეული არაფერი მომხდარა, მხოლოდ ფრედერიკ კოვილის მიერ გიგანტური სლალომის მოგებაა აღსანიშნი. ფრანგმა სეზონში მეორე ეტაპი მოიგო და ბოდე მილერის არ იყოს, იმ შედარებით მეცამეტე გოჭი ქვეყნების წარმომადგენელი გახლავთ (აშშ, საფრანგეთი), რომლებმაც წლეულს სერიოზულად შეუტიეს სამთოთხილამურობის მონოპოლისტებს და მეტადრე ავსტრიას. იგივე მილერს იტალიურ ალტა ბადიაში ზედიზედ მესამე სათასო ეტაპის მოგებაც სურდა, მაგრამ აგრესიულობა სამთოთხილამურობაში (ყველა სხვა საქმეშიც) ყოველთვის როდია გამოსადეგი. მილერმა თითქმის ბოლომდე დიდებულად ისრიალა, მაგრამ ორიოდე „ჭიშკარი" დარჩენოდა, როცა წაიქცა. ამერიკელი სალსალამათი წამოდგა და თავი გაჯორა: „პირველი სრიალის შემდეგ დიდებული შედეგი მქონდა, ამიტომ თავს ჩავაგონე, მეორედ ფრთხილად ვისრიალებ-მეთქი. როგორც კი სიჩქარე ავკრიფე, ყველაფერი დამავიწყდა".

გიგანტური სლალომის კლასიკოსი, შვეიცარიელი მიხაელ ფონ გრუნინგენი მე-2 ადგილზე გავიდა. ჯერჯერობით გრუნინგენს ეტაპი არ მოუგია, თუმცა ქულები საკმაოდ დაუგროვდა. და თუ თავისებურად ისრიალა, ბროლის ერთი მცირე გლობუსი უეჭველად დარჩება, რადგან არ ჩანს ჰერმან მაიერი, რომელმაც შარშანდელ სეზონში სლალომის გარდა ყველაფერი მოიგო. მათ შორის გიგანტური სლალომიც, სადაც გრუნინგენს დრამატულად, დათვლილი ქულებით გაუსწრო. მსოფლიოს ჩემპიონი ფონ გრუნინგენი, ცხადია, ოლიმპიადის მთავარი ფავორიტიც გახლავთ. აი, ასე, ახლა კი მივხედოთ ქალებს, რომლებმაც რეჟინ კავანიუს დაღუპვის შემდეგ საფრანგეთში პირველად ისრიალეს.

კავანიუს აჩრდილი ტრიალებდა ვალ დიზერში შაბათს, სუპერგიგანტისა და კვირას — გიგანტური სლალომის ეტაპებზე. სუპერგიგანტის გამარჯვებული ჰილდე გერგი პოდიუმის თავზე შედგა თუ არა, წუთიერი დუმილი მოითხოვა კავანიუს ხსოვნის პატივსაცემად.

„კავანიუ სუპერგიგანტში საუკეთესო იყო — თქვა გერგმა მწუხარედ — ის ჩვენთან არ არის და ამას ვერ ვიჯერებთ".

„კიდევ და კიდევ დრო გვინდა მომხდარის დასავიწყებლად — თქვა კვირას სონია ნეფმაც, როცა გიგანტური სლალომი მოიგო — კიდევ სილვიოზე ვფიქრობდი. დრო უნდა გავიდეს, ამდენი კოშმარი რომ დავივიწყოთ".

ნეფმა შვეიცარიელი სილვიო ბელტრამეტი ახსენა, რომელიც რამდენიმე დღის წინ შემზარავ სათხილამურო ავარიაში მოხვდა და კისრის ქვემოთ პარალიზებულია. მას სპეციალიზებულ კლინიკაში მკურნალობენ, მაგრამ საიმედო ჯერ არაფერი...

გამოჩნდა (სპორტული თვალსაზრისით ვამბობთ) რენატე გოეჩლი. 1999-2000 წლების მსოფლიოს თასის მფლობელს თებერვლის შემდეგ პოდიუმი არ ენახა და ამჯერად მე-2 საფეხურზე ავიდა. 22-ე იყო გერმანელი პეტრა ჰალტმაიერი, ვინც სეზონის პირველი სუპერგიგანტი მოიგო.

კიდევ ვინ გამოჩნდა, იცით? იანიცა კოსტელიჩი. ხორვატი გოგო, ვის ბინაშიც მსოფლიოს თასი ინახება, ჩვეულად მხნედ დაიძრა გიგანტური სლალომის ეტაპზე და მალე წაიქცა, თუმც გახარებული წამოდგა.

„მეტკინა თეძო, მხარი, მაგრამ არა მარჯვენა მუხლი — თქვა ცოცხლად კოსტელიჩმა — ეს ნიშნავს, რომ ჩემი ტრავმისგან კვალიც არ დარჩა".

გაიმარჯვა კი ასევე ტრავმებისგან წამებულმა სონია ნეფმა (მუხლზე ექვსი ოპერაცია აქვს გაკეთებული), რომელმაც შარშანდელი გიგანტური სლალომი ტრიუმფით დაინარჩუნა და წლეულსაც, ეტყობა, არანაკლებს აპირებს. მერე კი იყო სათხილამურო პოდიუმი და უბრალოდ პოდიუმიც: ეს ნეფი ერთობ საჰოლივუდე მანდილოსანია.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| **სწრაფდაშვება** |
| 1. კრისტიან გედინა (იტალია) 2.01,47; 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) 2.01,63; 3. კურტ სულზენბახერი (იტალია) 2.02,20 |
| **სწრაფდაშვება** |
| 1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2.01,24; 2. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) 2.01,46; ქეტილ ანდრე აამოდტი (ნორვეგია) 2.01,50 |
| **გიგანტური სლალომი** |
| 1. ფრედერიკ კოვილი (საფრანგეთი) 2.40,58; 2. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 2.40,60; 3. სამი უოტილა (ფინეთი) 2.40,67 |
| **ქალები** |
| **სუპერგიგანტი** |
| 1. ჰილდე გერგი (გერმანია) 1.12,23; 2. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 1.12,90; 3. ტანია შნაიდერი (ავსტრია) 1.12,94 |
| **გიგანტური სლალომი** |
| 1. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.23,80; 2. ანია პაერსონი (შვეცია) 2.24,46; 3. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 2.24,63 |



ფრედერიკ კოვილი ფრანგთა სათხილამურო აღმავლობის ლიდერი გახდა



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



კოლორადოს მეკარე დევიდ ებმერმა მინესოტელ პასკალ დიუპუის არ გაატანინა

14 დეკემბერი

**ბუფალო 3:2 კაროლინა (1:1 1:0 0:1 1:0)**
1:0 აფინოგენოვი (7), 1:1 კოული (17), 2:1 აფინოგენოვი (26), 2:2 ვასიჩეკი(54), 3:2 ვასიჩეკი (54)

**ატლანტა 1:3 ჩიკაგო (0:1 1:1 0:1)**
0:1 ჟამნოვი (8), 0:2 მირონოვი (26), 1:2 ჰრკაჩი (29), 1:3 ამონტე (54)

**ნიუ ჯერსი 2:3 ფლორიდა (0:1 0:1 2:1)**
0:1 ჰაგმანი (17), 0:2 ნილსონი (32), 0:3 ნოვოსელცევი (43), 1:3 გომესი (48), 2:3 ელიაში (52)

**პიტსბურგი 2:5 მინესოტა (0:0 1:2 1:3)**
0:1 ჟოლტოკი (28), 0:2 ჟოლტოკი (32), 1:2 ლანგი (39), 1:3 გაბორიკი (46), 2:3 ჰრდინა (55), 2:4 დიუპუი (56), 2:5 უოლცი (60)

**დალასი 3:4 კალგარი (2:1 0:2 1:1)**
1:0 ვერბიკი (5), 2:0 ბრიუნე (10), 2:1 კლარკი (11), 2:2 მაკამონდი (31), 2:3 სავარი (33), 2:4 ნიდერმაიერი (57), 3:4 მოდნო (60)

**ედმონტონი 2:1 ტამპა (0:0 0:1 2:0)**
0:1 კიფი (34), 1:1 პოროკოფი (44), 2:1 გრინი (63)

**კოლორადო 0:3 სან ხოსე (0:2 0:1 0:0)**
0:1 ტორნტონი (10), 0:2 შტურმი (12), 0:3 რიჩი (38)

**ანაჰაიმი 2:3 კოლუმბუსი(0:2 2:1 0:0)**
0:1 რაიტი (11), 0:2 ტიმანდერი (20), 0:3 უიტნი (30), 1:3 კარნი (36), 2:3 კალენი (39)

15 დეკემბერი

**ბოსტონი 2:5 ფილადელფია (1:1 0:3 1:1)**
1:0 როლსტონი (8), 1:1 რეკი (15), 1:2 რანჰეიმი (31), 1:3 ფედოტენკო (34), 1:4 რენიკი (40), 1:5 ლეკლერი (51), 2:5 სკინი (52)

**ვაშინგტონი 5:2 ატლანტა (2:1 1:1 2:0)**
1:0 იაგრი (8), 1:1 შტეფანი (13), 2:1 რიკი (20), 2:2 შტეფანი (24), 3:2 ბონდრა (29), 4:2 იაგრი (47), 5:2 ბონდრა (53)

**ოტავა 0:2 ნიუ ჯერსი (0:1 0:0 0:1)**
0:1 სიკორა (7), 0:2 არნოტი (48)

**რეინჯერსი 4:2 ბუფალო (1:0 2:0 1:2)**
1:0 იორკი(15), 2:0 ფლერი (31), 3:0 მესიე (38), 3:1 კოზლოვი (54), 3:2 აფინოგენოვი (57), 4:2 ტომსი (60)

**ტორონტო 6:4 მონრეალი (2:1 2:1 2:2)**
0:1 გრეტონი (8), 1:1 იუშკევიჩი (15), 2:1 კორსონი (17), 3:1 რობერტსი (34), 3:2 კინტალი (36), 4:2 რობერტსი (40), 5:2 ტაკერი (45), 5:3 ზედნიკი (46), 6:3 რაიხელი (58), 6:4 რიბეირო (59)

**აილენდერსი 1:3 ფლორიდა (0:2 1:0 0:1)**
0:1 პუსელიუსი (2), 0:2 ჰაგმანი (1:), 1:2 ისბისტერი (31), 1:3 პ. ბურე (60)

**ნეშვილი 5:2 ჩიკაგო (2:1 2:0 1:1)**
0:1 ნიულანდერი (8), 1:1 იაჩმენევი (10), 2:1 ჯონსონი (15), 3:1 ტენგრატი (34), 4:1 ტენგრატი (35), 5:1 ტენგრატი (48), 5:2 ბელი (55)

**სენტ ლუისი 4:0 კალგარი (0:0 1:0 3:0)**
1:0 პრონგერი (31), 2:0 ტკაჩუკი (44), 3:0 დრეიკი (47), 4:0 ტკაჩუკი (57)

**ფინიქსი 2:6 დალასი (0:4 2:1 0:1)**
0:1 კამენსკი (13), 0:2 ლეჰტინენი (13), 0:3 კამენსკი (15), 0:4 მოდანო (18), 0:5 ზუბოვი (28), 1:5 ბრირი (30), 2:5 მეი (34), 2:6 რუჩინსკი (46)

**ვანკუვერი 3:0 დეტროიტი (0:0 1:0 2:0)**
1:0 ბერტუზი (2[illegible]), 2:0 [illegible] (4[illegible]), 3:0 ბერტუზი (60)

**ლოს ანჯელესი 3:2 კოლუმბუსი (1:2 1:0 1:0)**
1:0 [illegible] (4), 1:1 [illegible] (10), 2:1 [illegible]ნსკი (30), 3:1 დედმარში (43), 3:2 შელი (44)

16 დეკემბერი

**პიტსბურგი 0:7 კაროლინა (0:1 0:3 0:3)**
0:1 ბრინდამორი (13), 0:2 ბატალია (28), 0:3 კოული (33), 0:4 დენიელსი (39), 0:5 ფრენსისი (43), 0:6 ფრენსისი (51), 0:7 ონილი (52)

**მინესოტა 2:3 კოლორადო (2:0 0:0 0:2 0:1)**
1:0 დიუდი (7), 2:0 ჰენდრიკსონი (13), 2:1 რაინპრეხტი (56), 2:2 ჰეიდუკი (59), 2:3 საკიკი (65)

**ფილადელფია 2:3 ედმონტონი (0:2 1:0 1:1)**
0:1 კომრი (10), 0:2 კომრი (15), 1:2 რეკი (23), 1:3 რიზონერი (44), 2:3 ფედოტენკო (53)

**ანაჰაიმი 2:3 ლოს ანჯელესი (1:1 1:1 0:0 0:1)**
1:0 ტიტოვი (12), 1:1 მილერი (16), 1:2 ბელანჟე (25), 2:2 ფრიზენი (3:1), 2:3 მილერი (61)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 33 | 20 | 2 | 3 | 8 | 101:77 | 45 |
| ბოსტონი | 32 | 16 | 3 | 3 | 10 | 79:76 | 38 |
| ოტავა | 31 | 16 | 4 | 0 | 11 | 101:77 | 36 |
| მონრეალი | 32 | 14 | 5 | 1 | 12 | 82:81 | 34 |
| ბუფალო | 34 | 14 | 2 | 1 | 17 | 91:90 | 31 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| რეინჯერსი | 35 | 18 | 2 | 2 | 13 | 101:100 | 40 |
| აილენდერსი | 32 | 16 | 5 | 2 | 9 | 89:80 | 39 |
| ფილადელფია | 31 | 15 | 5 | 1 | 10 | 88:67 | 36 |
| ნიუჯერსი | 31 | 14 | 3 | 2 | 12 | 74:79 | 33 |
| პიტსბურგი | 32 | 13 | 4 | 2 | 13 | 72:82 | 32 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 35 | 15 | 4 | 4 | 12 | 87:97 | 38 |
| ვაშინგტონი | 33 | 14 | 5 | 0 | 14 | 95:98 | 33 |
| ტამპა | 32 | 12 | 3 | 1 | 16 | 62:68 | 28 |
| ფლორიდა | 31 | 9 | 2 | 3 | 17 | 63:90 | 23 |
| ატლანტა | 32 | 6 | 4 | 2 | 20 | 71:122 | 18 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 33 | 23 | 2 | 1 | 7 | 101:77 | 49 |
| ჩიკაგო | 35 | 16 | 8 | 0 | 11 | 100:97 | 40 |
| სენტ ლუისი | 32 | 15 | 6 | 2 | 9 | 83:71 | 38 |
| ნეშვილი | 32 | 12 | 5 | 0 | 15 | 85:85 | 29 |
| კოლუმბუსი | 34 | 9 | 5 | 1 | 19 | 63:91 | 24 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| ედმონტონი | 35 | 19 | 4 | 2 | 10 | 93:75 | 44 |
| კოლორადო | 35 | 19 | 3 | 0 | 13 | 84:67 | 41 |
| კალგარი | 34 | 16 | 6 | 2 | 10 | 83:81 | 40 |
| ვანკუვერი | 36 | 14 | 4 | 0 | 18 | 91:95 | 32 |
| მინესოტა | 32 | 12 | 5 | 3 | 12 | 85:95 | 32 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 31 | 16 | 5 | 3 | 7 | 91:72 | 40 |
| დალასი | 32 | 14 | 6 | 3 | 9 | 93:87 | 37 |
| ფინიქსი | 32 | 12 | 5 | 3 | 12 | 75:88 | 32 |
| ლოს ანჯელესი | 33 | 12 | 5 | 2 | 14 | 86:83 | 31 |
| ანაჰაიმი | 34 | 9 | 4 | 3 | 18 | 72:93 | 25 |

# გრეცკიმ კანადას ჭკუა ასწავლა

**15 დეკემბერს** ოლიმპიური ნაკრების საბოლოო შემადგენლობა კანადამაც დაასახელა. ორი დღით ადრე, 13 დეკემბერს, ეს ფინეთმა გააკეთა. რვა „ხელშეუხებელი" კანადელი მანამდეც ცნობილი იყო, ახლა მათ 15 დაემატა.

*მეკარეები: კერტის ჯოზეფი (ტორონტო), მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), ედ ბელფორი (დალასი);*

*მცველები: კრის პრონგერი (სენტ ლუისი), რობ ბლეიკი (კოლორადო), სკოტ ნიდერმაიერი (ნიუ ჯერსი), ერიკ ბრიუერი (ედმონტონი), ადამ ფუტი (კოლორადო), ედ ჟოვანოვსკი (ვანკუვერი), ელ მაკინისი (სენტ ლუისი);*

*ფორვარდები: პოლ კარია (ანაჰაიმი), ოუენ ნოლანი (სან ხოსე), სტივ აიზერმანი (დეტროიტი), მარიო ლემიე (პიტსბურგი), ჯო საკიკი (კოლორადო), ერიკ ლინდროსი (რეინჯერსი), ტეო ფლერი (რეინჯერსი), ჯერომ იგინლა (კალგარი), რაიან სმიტი (ედმონტონი), ჯო ნუინდაიკი (დალასი), ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი), სიმონ განიე (ფილადელფია), მაიკ პეკა (აილენდერსი).*

ტურნირის მთავარ ფავორიტ კანადის ნაკრების შემადგენლობაზე თვალის ერთი გადავლებაც იკმარებს, რათა საქმეში ჩახედულმა კაცმა მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთოს: კანადელებმა, როგორც იქნა, ჭკუა ისწავლეს. ადრინდელ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მათი გუნდი უფრო სახელიანი, მაგრამ ვეტარანი ვარსკვლავებისგან შედგებოდა და ხშირად ისინი ვერ ამართლებდნენ იმედებს. ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა. ნაკრებში მხოლოდ ის ხანშესული მოთამაშეები მოხვდნენ, რომლებიც დღესაც ჩინებულ ფორმაში არიან და კლუბებში მთავარ როლს ასრულებენ. სამაგიეროდ, ბლომადაა ამბიციური ახალგაზრდობა. მათ სურთ, მალე მოიხვეჭონ სახელი და ეს ოლიმპიადაც ხომ თავის გამოჩენის ჩინებულ შანსს აძლევთ. გუნდის გენერალურმა მენეჯერმა უეინ გრეცკიმ 21 წლის განიე და 22 წლის ბრიუერი შემადგენლობაში რომ შეიყვანა, ამით დაადასტურა ის, რომ მისთვის მთავარი სახელი კი არა, დღევანდელი სათამაშო ფორმაა. სწორედ ამ მთავარ პრინციპს ეყრდნობოდა იგი, როცა ნაკრებში ერიკ ლინდროსი და ჯერომ იგინლა მიიწვია და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაიან სმიტიც, რომელმაც ნოემბერში მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ოლიმპიადამდე სრულად გამოჯანმრთელდება. იგივე ითქმის გუნდის კაპიტანსა და ლიდერ მარიო ლემიეზე, რომელსაც ნეკნის ტრავმის შემდეგ ერთობ გაუგრძელდა მკურნალობა.




უეინ გრეცკიმ ძველები და ახლები შეაამხანაგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ სადა ხარ

ჭეშმარიტად განვითარებულა ფიგურული სრიალი. ადრე ასეთი ილეთები თითქოს არ იყო. ის გვახსოვს, კაცი რომ ქალს აიტაცებდა და დააბზრიალებდა, მაგრამ ქალისგან კაცის მოყიდება თითქოს უცხოა... ერთი სიტყვით, ფრანგები გუენდალ პეიზერა და მარინა ანისინა (წმინდა წყლის ფრანგია) კანადაში, „გრან პრის" ფინალში ამტკიცებენ, რომ პროგრესს ბოლო არ აქვს.



REUTERS



REUTERS

# საჯანმრთელო

განასა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში დიფტერიის და B ჰეპატიტის ვაქცინაციის დიდი კამპანია წამოიწყეს. ეს ხომ ის სნეულებებია, დედამიწაზე ყოველდღიურად ათასობით ბავშვის სიცოცხლე რომ მიაქვს. კამპანიაში სპორტსმენებიც ჩაებნენ, მაგალითად, მძლეოსანი ვარსკვლავი მერიონ ჯონსი, რომელიც აკრაში განელ ბავშვებს მიუძღვის.



REUTERS

# ფიფქები ცვივა და...

„ფერარის" უხარია, საშობაო ზეიმებს აწყობს. რატომაც არა, განწყობა ხომ საზეიმოა და სანტა კლაუსები ისეთები, კაცი უკეთესს ვერ ინატრებ: რუბენს ბარიკელო, მიხაელ შუმახერი და ლუკა ბადოერი. ვფიქრობთ, განმარტება არ სჭირდება, რომ ლაპარაკია ფორმულა 1-ის ორ ვარსკვლავსა და ტესტ-მძღოლზე.

# ბომონდი

ნბა მართლაც ისეთი რამ არის, მის თამაშზე მისული ვის არ ნახავს ადამიანი. აი, მაგალითად, ბიზნესმენი ჯერალდ შვარცი და მსახიობი მაიკლ დაგლასი ტორონტოში იქაურთა და ვაშინგტონელთა მატჩზე მისულან, საუბრითაც გული უჯერებიათ და თან უნახავთ, მასპინძლებმა 88:93 როგორ წააგეს.



REUTERS

# სამი თითის კომბინაცია

მადა ჭამაში მოდისო — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ზედიზედ ორჯერ რომ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, მის ქომაგებს მესამედაც მოუნდათ. დამდგარან, გუნდის მაისურები ჩაუცვამთ, თავზე კობი ბრაიანტის ვარცხნილობის მონათესავე ჩამოუფხატავთ და სამ. თითს გვიჩვენებენ, ისევ ჩემპიონები გავხდებითო.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge